ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

კრებული

მიძღვნილი უშანგი სიდამონიძის ხსოვნისადმი

IV

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2002

УДК 93/94 (082)
კ 825

წინამდებარე კრებული მეოთხე ნაკვეთია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის შრომების სერიაში. პირველი კრებული გამოვიდა 1993 წელს და მიეძღვნა პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის ხსოვნას, მეორე კრებული — 1996 წელს, მიძღვნილია პროფესორ ვარლამ დონაძის ხსოვნისადმი, მესამე კრებული — 1998 წელს, მიეძღვნა პროფესორ გივი კილურაძის ხსოვნას.

რედაქტორი პროფ. მ. კალანდაძე

რეცენზენტები: დოც. ც. ჩიკვაიძე
დოც. ნ. ციხისთავი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

კ $\frac{0503000000}{608(06)-02}$

(1929-1997)

მერაბ კალანდაძე

პროფესორი უშანგი სიდამონიძე

იგი ოთხი ათეული წელი ერთგულად ემსახურა საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მან ბევრი შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას, არა ერთი სერიოზული გამოკვლევით გაამდიდრა.

უშანგი სიდამონიძე დაიბადა ქალაქ თბილისში 1929 წლის 8 ნოემბერს. დედა, ნინო ზაალიშვილი, პროფესიით პედაგოგი იყო. დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი, თუმცა, მასწავლებლად არასდროს არ უმუშავია. მამა, იოსებ სიდამონიძე, ორი წელი სწავლობდა მოსკოვში გ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში. შემდეგ იგი სულ სამეურნეო სამსახურში იყო.

1936 წელს უშანგი სიდამონიძე შევიდა შრომის მე-7 სკოლაში, ხოლო მას შემდეგ, რაც ცალკე გაიყო ვაჟთა და ქალთა სკოლები, გადავიდა რკინიგზის მე-7 სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაასრულა 1947 წელს. იმავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1952 წელს.

ნიჭიერი და მუყაითი სტუდენტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და პროფესორ გიორგი ხაჭაპურიძის ინიციატივით, იგი დატოვებულ იქნა ასპირანტურაში, სადაც მან სწავლა განაგრძო 1952-55 წლებში.

პროფესორ უშანგი სიდამონიძის შრომითი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ დიდ სამეცნიერო ცენტრთან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან, სადაც დაიწყო მუშაობა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1956 წელს, და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც მიწვეული იქნა ლექციების წასაკითხად 1969 წელს.

1956 წელს უშანგი სიდამონიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიის საკითხებზე.

1964-65 წლებში იყო ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

1975 წლის 29 მაისს უშანგი სიდამონიძე დაინიშნა ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ინფორმაციისა და ძეგლთა ნუსხის განყოფილების ხელმძღვანელად. აღსანიშნავია, რომ ამ განყოფილების

მონაწილეობით ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა აღწერილობის“ მრავალტომეულის მეხუთე ტომი. ამის გამო უ. სიდამონიძეს, ავტორთა კოლექტივთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1969 წლიდან, პროფესორ გივი კიღურაძის ინიციატივით, პროფ. უშანგი სიდამონიძე მოწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე „ისტორიის მეცნიერების შესავლის“ კურსის წასაკითხად. ეს კურსი საგულდაგულოდ იყო დამუშავებული უშანგი სიდამონიძის მიერ და იგი წლების განმავლობაში წარმატებით უკითხავდა სტუდენტებს ამ საგანს.

უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. იგი აშკარად გასცდა წმინდა აკადემიურ, მეცნიერულ ფარგლებს და მან მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიური და პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ავტორი შეეცადა, დაეძლია კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოები და ობიექტურად წარმოეჩინა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მაშინდელი კომუნისტური ელიტის დიდი გულისწყრომა და შედეგმაც არ დააყოვნა.

მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც მას სამეცნიერო-საკვალიფიკაციო საბჭოს მიერ მინიჭებული ხარისხი ჩამოართვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა პარტიულმა ინსტანციამ, კერძოდ, — თბილისის კომიტეტმა. ამას წინ უსწრებდა ბინძური პუბლიკაციები რესპუბლიკის პრესაში. ამის გამო მკაცრი საყვედური მიიღეს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გიორგი მელიქიშვილმა, დირექტორის მოადგილემ პროფ. ნიკოლოზ სტურუამ და პარტორგანიზაციის მდივანმა პროფ. გრიგოლ მარგიანმა. მათ, ამავდროულად, მიეთითათ, რომ ამგვარი „უმსგავსობა“ მეტი აღარ განმეორებულიყო.

ისტორიას აქვს თავისი განვითარების კანონები. ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მეთოდებით შეიძლება შენელება ისტორიული პროცესის, მაგრამ მას ვერ შეაჩერებ. 1972 წელს უშანგი სიდამონიძეს გაუუქმეს მინიჭებული ხარისხი და მხოლოდ 18 წლის შემდეგ აღსდგა სამართლიანობა, 1990 წლის 3 ივლისს, მან ხელმეორედ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა საძიებელი ხარისხი.

1997 წლის შემოდგომაზე, ქართულმა ისტორიოგრაფიამ

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 68 წლის ასაკში, გარდაიცვალა უშანგი სიდამონიძე. ის დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

უ. სიდამონიძეს ჰქონდა ორი ძალიან კარგი მიგნება, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი დამსახურება: „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“ და „ისტორიის მეცნიერების შესავალი“.

უ. სიდამონიძეს შეეძლო მოეცა ამ პრობლემის კონიუნქტურული გადაწყვეტა, რაც, მას უეჭველად, მოუტანდა წარმატებას, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. მას არ სურდა იოლი გზით სიარული, რაც მის, როგორც მკვლევარი ისტორიკოსის, პრინციპულობაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში მან არსებითად გადაუხვია თავისი მეცნიერ ხელმძღვანელის პროფესორ გიორგი ხაჭაპურიძის მიერ არჩეულ გზას და საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში სრულიად ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. მიუხედავად ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან ჩაქოლვისა, ეს მიმართულება საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ეს ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიერ დანერგილი შტამპებისა და სტერეოტიპების დაძლევისა და XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრინციპული საკითხების ობიექტური მეცნიერული შეფასების პირველი ცდაა. ამ სოლიდურმა გამოკვლევამ უ. სიდამონიძეს საკუთარი სამართლიანად დაუმკვიდრა სწორუპოვარი ისტორიკოსის სახელი.

ეტყობა, უ. სიდამონიძის ნაშრომის წარმატებამ და მის ირგვლივ შექმნილმა ემოციურმა ფონმა, ერთგვარად დაჩრდილა მისი მეორე სერიოზული წარმატება — ეს იყო წლების მანძილზე მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ, შესანიშნავად წაკითხული კურსი „ისტორიის მეცნიერების შესავალი“, რომელიც მან საგულდაგულოდ დაამუშავა.

თუ ისტორიის ინსტიტუტში უ. სიდამონიძე კარგად წარმოჩნდა როგორც ჩინებული მკვლევარ-ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ტალანტი სულ სხვა კუთხით გამომჟღავნდა და იგი შესანიშნავ ლექტორად მოგვევლინა.

პროფ. უ. სიდამონიძე (საბჭოთა კავშირში პირველად) კითხულობდა სრულიად ახალ კურსს „ისტორიის მეცნიერების შესავალი“ და ამით მან ისტორიის ფაკულტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე

დანერგა. დღეს ეს კურსი ფაკულტეტზე ერთ-ერთი ძირითადია და ამ საგანში სტუდენტებს მოეპოვებათ სახელმძღვანელო. ამ წარმატების სათავესთან კი სწორედ ბ-ნი უშანგი სიდამონიძე იდგა.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დახასიათება, რომელიც ისტორიის ფაკულტეტმა მისცა პროფ. უ. სიდამონიძეს 1992 წლის 10 მაისს. მას ხელს აწერს მაშინდელი ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი კარლო მეშველიანი: „სიდამონიძე უშანგი იოსების ძე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიისა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხის განყოფილების გამგედ. არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი 1969 წლიდან. უ. სიდამონიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციების კურსს ისტორიული მეცნიერების შესავალში. თავდაპირველად მუშაობდა საათობრივი ანაზღაურებით. 1988 წლიდან არის 0,25 განაკვეთზე.

ლექციების კურსი — „ისტორიული მეცნიერების შესავალი". მაშინ, 1969 წელს, ახალი საქმე იყო და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები პირველები იყვნენ, რომლებმაც ეს კურსი მოისმინეს. მაშინ არ არსებობდა პროგრამა, სახელმძღვანელოები და უ. სიდამონიძემ პირველმა შეადგინა ლექციების კურსის პროგრამა; ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ისმენენ ლექციებს ისტორიის თეორიისა და სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებში.

1988 წლიდან უშანგი სიდამონიძე ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს — ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლეს ისტორიაში (1870-1918). ეს კურსი ბოლო წლებში მეტად გართულდა, შეიცვალა ადრე მიღებული დოგმები და ლექტორები ძიებაში არიან, თუ როგორ გამართონ ახლებურად კურსი.

უ. სიდამონიძის ხელმძღვანელობით მომზადდა 15-ზე მეტი სადიპლომო ნაშრომი,რომელთა უმეტესობა სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ „ფრიადზე" შეაფასა. უ. სიდამონიძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 5 მოხსენება. უ. სიდამონიძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა მიერ დაწერილი ნაშრომები იმით იყო გამორჩეული, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები განხილული იყო ევროპის ისტორიის ფონზე

და ისინი პირველნი იყვნენ, ვინც ამ საკითხებს სწავლობდა. მათ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანეს ახალი ისტორიული ფაქტები და წყაროები.

უ. სიდამონიძე არის კვალიფიცირებული ლექტორი. მისი ლექციები გამოირჩევა საკითხის ახლებურად დაყენებით. ის ლექციებს კითხულობს თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირში. სტუდენტები მას ინტერესით უსმენენ. აუდიტორია ყოველთვის ყურადღებით არის მის მიმართ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი უ. სიდამონიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი კვლევის სფეროა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, ისტორიული მეცნიერების თეორიის საკითხები. უ. სიდამონიძის ნაშრომები გამოირჩევა პრობლემისადმი მიდგომის სიახლით. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან მრავალი ახალი პრობლემა შემოიტანა, რომელთა ერთი ნაწილი დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმატებით შეისწავლება".

პროფ. უ. სიდამონიძე სტუდენტებში უდიდესი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. ამ მხრივ საინტერესოა ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის ირმა ივანიაძის მოგონება: „პირველი კურსის ხსენებაზე ჯერ არ ყოფილა, რომ უწინარესად ბ-ნი უშანგი სიდამონიძის სახელი არ წამოტივტივებულიყო ჩემს გონებაში. იგი იყო ნამდვილი ისტორიკოსი, ღირსეული პიროვნება, რომელიც არა მხოლოდ ცოდნას გადმოგვცემდა, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნებსაც გვათხოვებდა ხოლმე. სპეციალობის შესავალს გვიკითხავდა. იგი ყოველთვის ინტერესით გვიყვებოდა ისტორიულ პირებზე. ზედმიწევნით კარგად გვიხსნიდა ისტორიული მეცნიერების არსს. დაწვრილებით გვესაუბრებოდა ისტორიის კვლევის მეთოდებზე და, რა თქმა უნდა, თვით ისტორიკოსის პროფესიაზე. ისტორიკოსს უნდა შეეძლოს დასკვნების გაკეთება. აი მაშინ იქნება მისი ნაშრომი ღირებულიო, დასძენდა ხოლმე ბოლოს. სტუდენტთა ერთი ნაწილი მას დიდ პატივს ვცემდით. პირადად მე კი არასოდეს არ ვაცდენდი ბ-ნ უშანგი სიდამონიძის ლექციებს, რადგან, რასაც იქ ვისმენდი, უდიდეს ბედნიერებას მანიჭებდა და მარწმუნებდა იმაში, რომ არ შევმცდარვარ, როცა მაინცდამაინც ისტორიის ფაკულტეტზე შევაჩერე ჩემი არჩევანი.

სხვათა შორის, ბ-ნ უშანგის ეტყობოდა, რომ ჯანმრთელობა დიდად არ უწყობდა ხელს, თუმცა, ერთი საათიც კი არ გაუცდენია, პირიქით, ბევრჯერ დერეფანშიც გაუგრძელებია ჩვენთან საუბარი,

როცა რომელიმე ჩვენგანი რაიმე საკითხის მიმართ დაინტერესებას გამოვიჩენდით, ბ-ნი უშანგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისტორია პოლიტიკური მეცნიერებაა. აღსანიშნავია, რომ ლექციებზე ხშირად ახსენებდა ხოლმე მაკიაველის „მთავარს" და გულმოდგინედ გვიხსნიდა მის მოძღვრებას. ბატონ უშანგის განსაკუთრებით უყვარდა ახალი ისტორია. გვეტყოდა ხოლმე: „მე ახალი ისტორიის სპეციალისტი ვარო". „ძველ ისტორიას" ცოტათი ეჭვის თვალით უყურებდა, ახალი ისტორიით გატაცებას კი, რასაკვირველია, დიდი რაოდენობით წყაროების, დოკუმენტების არსებობით ხსნიდა, რამეთუ ისტორიკოსის ხელში ახალი ისტორია ერთგვარი საწყისია წარსულის საკითხების საკვლევად. მაინც, რაც ყველაზე უფრო მხიბლავდა ამ ადამიანში, ეს იყო მისი პატრიოტული სულისკვეთება, ყოველ სიტყვაზე, სახეზეც კი, აშკარად რომ ეხატებოდა".

უშანგი სიდამონიძის ჯანმრთელობას, რა თქმა უნდა, დიდი ტრავმა მიაყენა იმ დევნამ, რომელიც განიცადა სადოქტორო დისერტაციის გამო. მისი მეუღლე, ცნობილი ექიმი, პატივცემული ანა ლალიძე, ყველაფერს აკეთებდა, რომ მისი შრომისუნარიანობა წესრიგში ყოფილიყო და ბ-ნი უშანგის სიცოცხლე გაეხანგრძლივებია.

უშანგი იყო ღირსეული შვილი თავისი ოჯახის, რომელმაც გაზარდა არა მარტო ის, არამედ მისი ერთადერთი ძმა, ცნობილი მეცნიერი ქიმიკოსი, პროფესორი შოთა სიდამონიძე. თავის ძმასთან ერთად ის იყო საზოგადოების საამაყო წევრი, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობდა მათ შორის, ვინც იცნობდა მის შემოქმედებას.

გივი გამრეკელი

ამიანე მარცელინე და იულიანე განდგომილი

ამიანე მარცელინეს „ისტორიაში“ ცენტრალური ადგილი ეთმობა IV საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომის იმპერატორ იულიანეს, რომელსაც „განდგომილი“ ეწოდა. თუმცა, იულიანეზე სხვა ისტორიკოსებიც ბევრს წერენ, ზოგი სიძულვილით, ზოგი ალტაცებით, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ყველაზე საყურადღებო მაინც ამიანეს ცნობებია. იგი არა მარტო იულიანეს თანამედროვეა (იულიანე დაიბადა 331 წელს, ჩვენი ისტორიკოსი კი არა უგვიანეს 333 წლისა), არამედ მისი ერთ-ერთი ქომაგი და თანამშრომელიც.

აქ მნიშვნელობა აქვს საკითხს, სარდალ ურზიცინუსის შტაბის წევრი ამიანე რამდენად ახლოს უნდა ყოფილიყო თვით იმპერატორთან. ეს გასათვალისწინებელი იქნებოდა ისტორიკოსის ცნობების სანდოობის თვალსაზრისით. ზ. უდალცოვას აზრით, ამიანე არ მიეკუთვნებოდა იმპერატორთან დაახლოებულ წრეებს[1]. ამას ხელს შეუშლიდა მათ შორის არსებული დიდი წოდებრივი განსხვავება. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. წოდებრივ განსხვავებას პირადად იულიანესათვის არასოდეს ჰქონია დიდი მნიშვნელობა. იგი მეგობრობდა ფილოსოფოსებთან, ამდენად, შეეძლო დაეახლოვებინა ისეთი განათლებული ადამიანიც, როგორიც ამიანე იყო. მნიშვნელობა ექნებოდა ამიანეს მრავალწლიან თანამშრომლობას იულიანეს ერთგულ სარდალ ურზიცინუსთან. აღვნიშნოთ ისიც, რომ ამიანე, როგორც ოფიცერი, მონაწილეობდა გერმანელებსა და სპარსელებთან ომებში პირადად იულიანეს ხელმძღვანელობით. მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე ამიანეს ეროვნებას და იმპერატორის, მეტი რომ აღარა ვთქვათ, ელინოფილურ განწყობილებას, აგრეთვე, რელიგიურ შეხედულებებსაც, თუმცა, აქ დაპირისპირებაზე არა, მაგრამ აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობაზეც შეიძლება ლაპარაკი.

ამიანე არ ეხება იულიანეს ბავშვობას, რომელიც ცნობილია სხვადასხვა ბერძნულენოვანი წყაროებით (ევნაპიოს სარდელი, ზოსიმე), მაგრამ ბევრ საყურადღებო ცნობას გვაძლევს 356 წლის შემდგომ ამბებზე, როცა იულიანე გალიაში იმყოფებოდა. აქ მის დასახმარებლად მივლინებულ იქნა გამობრძმედილი სარდალი ურზიცინუსი, რომლის შტაბის ერთ-ერთი წევრიც სწორედ ამიანე მარცელინე იყო. ამ

დროიდან მიეცა საშუალება მომავალ ისტორიკოსს ედეენებინა თვალი იულიანეს საქმიანობისთვის, ჰქონოდა მასთან პირადი ურთიერთობა. ყოველივე ეს ამიანეს ცნობებს იულიანეს ცხოვრების გალიური პერიოდის შესახებ დიდ დამაჯერებლობას აძლევს[2]. იგი ხომ მთელი ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა იულიანეს ჯარში და მონაწილეობდა ყველა ღონისძიებაში.

ამიანე, როგორც სამხედრო მოღვაწესა და სარდალს, იულიანეს, მაღალ შეფასებას აძლევს. გალიაში ჩასვლისთანავე მან მიზნად დაისახა იმ გერმანელი ტომების დათრგუნვა, რომლებიც არღვევდნენ საზღვარს და რაინის სამხრეთ-დასავლეთით მოიწევდნენ. უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა ცეზარმა დიდი დრო დაუთმო რომაული არმიის მომზადებას, რომლის საბრძოლო თვისებები ამ პერიოდისათვის უკვე საკმაოდ დაქვეითებული იყო. თვით იულიანემ ბევრი რამ შეისწავლა სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაში, ეჩვეოდა უბრალო ჯარისკაცის ცხოვრებასაც, მონაწილეობდა მანევრებში, ისროდა სხვადასხვა იარაღიდან, ჯარისკაცებთან საჭმელს ინაწილებდა, ეძინა უხეშ ქვეშაგებზე და ა. შ. ამან მას ჯარში პოპულარობა მოუპოვა. ეს მაშინ, როცა კონსტანტინოპოლის კარზე იულიანესადმი ირონიული დამოკიდებულება სუფევდა. მას, ელინური ლიტერატურისა და ცხოვრების წესებისადმი დიდი მიდრეკილების გამო, დაცინვით „პატარა ბერძენს“ უწოდებდნენ. მაშინაც კი, როცა ცეზარი სამხედრო სამზადისში მონაწილეობდა და შემდგომი ლაშქრობების დროსაც, მას ცოტა ეძინა და თავისი საყვარელი მწერლების: ციცერონის, პლუტარქეს, სვეტონიუსის, მარკუს ავრელიუსისა და სხვათა ნაშრომებს სწავლობდა[3].

არგენტორატთან გადამწყვეტ ბრძოლაში ალემანების წინააღმდეგ იულიანემ მხედართმთავრის ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა. ისტორიკოსი განსაკუთრებით აღნიშნავს იულიანეს დიდ გამჭრიახობას, თავშეკავების უნარს ბრძოლის მძიმე მომენტების დროს, მის სიმხნევესა და სიმამაცეს, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ბრძოლის საბოლოო შედეგზე[4].

შეიძლება ითქვას, რომ გერმანელებთან მეტისმეტად ხანგრძლივ, მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში რომაელების არც ერთ სარდალს არ ჰქონია იულიანესნაირი წარმატებები. ამის შემდეგ რაინზე კარგა ხნით სრული სიწყნარე დამყარდა. გალიაში ყოფნისას იულიანემ შეადგინა „ჩანაწერები“ თავისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ,

რომელიც, შესაძლოა, გაიუს იულიუს ცეზარის ცნობილი ნაშრომის გავლენით არის დაწერილი. მას იცნობდა იულიანე, მაგრამ შემდეგ ეს „ჩანაწერები“ დაიკარგა, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

„მას მოსვენებას არ აძლევდა თანდაყოლილი ენერგია, თავის გარშემო ომის ხმაური ესმოდა, ბარბაროსების დამარცხება ელანდებოდა და მზად იყო, გაეერთიანებინა დანაწილებული პროვინციები... გალიაში მისი გმირობა, სადაც გამოვლენილი ვაჟკაცობა მისივე ბედნიერების ტოლფასი აღმოჩნდა, ძველი დროის მრავალ სიქველეს აღემატებოდა... მან ისე გამოიჩინა თავი სწრაფი წარმატებებით სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში, რომ, სიბრძნის თვალსაზრისით, მეორე ტიტედ (ვესპასიანეს ვაჟი) თვლიდნენ, ომში მოპოვებული სახელით ტრაიანეს დაემსგავსა, მოწყალებით – ანტონინეს, ჭეშმარიტ ფილოსოფიაში ჩაღმარვებით კი მარკუს ავრელიუსს მიუახლოვდა, რომლის მოქმედება და ზნეობრივი სახე თავის იდეალად წარმოედგინა“[5].

როგორც ისტორიკოსი წერს, იმპერატორი კონსტანციუსი, რომელსაც ამიანე ყოველთვის იულიანეს უპირისპირებდა, უვარგისი საშუალებებით შეეცადა ახალგაზრდა ცეზართან ბრძოლას. კონსტანციუსმა გერმანელებთან მოპოვებული გამარჯვებები... თვით მიიწერა. ამის შესახებ იმპერიის ყველა კუთხეს აცნობებდნენ ხოლმე. ეს კონსტანციუსს, ყოველგვარი წარმატების გარეშე, სხვა დროსაც გაუკეთებია. ამის მიუხედავად, იულიანეს ავტორიტეტი მთელ სახელმწიფოში მეტად განმტკიცდა.

იულიანეს მოღვაწეობის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიანეს „ისტორიის“ XXV წიგნის მეოთხე თავს.

ისტორიკოსი ხატავს იულიანეს მეტად მომხიბლავ პორტრეტს. გარეგნობით თუ დავიწყებთ, იულიანე საშუალო ტანისა იყო, გადავარცხნილი რბილი თმებით, ხშირი, შეკრეჭილი წვერით, ცეცხლით სავსე, მეტად სასიამოვნო თვალებით, მის ჭკუასა და გონიერებას რომ გამოხატავდნენ. ლამაზი წარბები, სწორი ცხვირი. ერთი სიტყვით, იმპერატორი ლამაზი კაცი იყო, თუ არ ჩავთვლით მის ერთადერთ გარეგნულ ნაკლს, არაპროპორციულად დიდ პირს. თვით იულიანე ანტიოქიელებისადმი მიმართულ წერილში, „მისოპოგონში“ („წვერის მოძულე“) თავს ულამაზო და შეუხედავ ადამიანად თვლიდა. ისე რომ, აქ გარკვეულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. იგი ფიზიკურად ძლიერი იყო, ბევრს ვარჯიშობდა და კარგად შეეძლო სირბილი.

„ეს იყო მეტად ღირსეული ადამიანი, რომელიც მაღალი სულის მქონე გმირების რიცხვს მიეკუთვნებოდა, განთქმული თავისი საქმეებითა და თანდაყოლილი კეთილშობილებით“[6]. ფილოსოფოსების განმარტებით, წერს ამიანე, „არსებობს ოთხი მთავარი სათნოება: ზომიერება, სიბრძნე, სამართლიანობა და სიმამაცე, რომელსაც უნდა დავუმატოთ ზოგიერთი სხვაც: სამხედრო საქმის ცოდნა, მბრძანებლობის უნარი, ბედნიერება და კეთილშობილება. ყოველივე ეს იულიანეს ჰქონდა“[7].

ეხება რა პირველს, ზომიერებას, ისტორიკოსს მოჰყავს მაგალითი, რომ მეუღლის, ელენეს, ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ იულიანეს, საერთოდ, აღარ ჰქონია ვინმესთან სასიყვარულო კავშირი. როცა იმპერატორს ეკითხებოდნენ ამის შესახებ, მას მოჰყავდა პლატონის ნაამბობი დრამატურგ სოფოკლეზე. უკვე ხანში შესულ სოფოკლეს დაუსვეს კითხვა, აქვს თუ არა მას ურთიერთობა ქალებთან. დრამატურგმა უარყოფითად უპასუხა და თქვა, რომ თავს ბედნიერად გრძნობს ამგვარი ვნებებიდან განთავისუფლების შემდეგ, რომელიც ველურ და სასტიკ მბრძანებელს შეადარა. თუმცა იულიანე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ისე ზომიერად და თავშეკავებულად ცხოვრობდა, რომ თვით უახლოეს პირებსა და მოსამსახურეებსაც კი არავითარი ეჭვი არ ებადებოდათ.

იულიანე მეტად თავშეკავებული იყო კვებაშიც და ძილშიც. იგი მკაცრი რეჟიმით ცხოვრობდა, რომელსაც იცავდა არა მარტო შინ, არამედ მოგზაურობის დროსაც. მშვიდობიანობის დროს იგი ისე ცოტას ჭამდა, რომ თავისი ახლობლების გაოცებას იწვევდა, ხომ არ უნდოდა მას ისევ ფილოსოფოსის მოსასხამი ჩაეცვა“[8]. ლაშქრობის დროს კი არაერთხელ უნახავთ, როგორ მიუჯდებოდა ხოლმე იგი ჯარისკაცებს და ცოტაოდენ, სულ უბრალო საჭმელს შეექცეოდა.

იმპერატორი ძილს ძალიან ცოტა დროს უთმობდა. დგებოდა ჯერ კიდევთ სიბნელეში, თვით ამოწმებდა გუშაგებსა და პიკეტებს, ბრუნდებოდა თავის ოთახში, გათენებამდე კითხულობდა და წერდა, სანთლის შუქზე თავაუღებლად მუშაობდა. ამით განსხვავდებოდა იგი სხვა ხელმწიფეთაგან, ეს იყო მისი დიდი სიამოვნება[9].

როცა იულიანეს სიბრძნეზე ლაპარაკობს, ისტორიკოსი ხაზს უსვამს მის სისადავესა და უბრალოებას ადამიანებთან ურთიერთობაში, პიროვნების პატივისცემას. იმპერატორი უშუალოდ მონაწილეობდა სხვადასხვა სასამართლო პროცესებში და უაღრეს სამართლიანობას ამჟღავნებდა. იულიანეს ამ თვისებებს ხაზს უსვამს ისტორიკოსი ევნაპიოსიც[10].

იულიანე მეტად მკაცრი იყო, როცა საქმე ზნეობრივ საკითხებს ეხებოდა, საერთოდ კი, ადამიანებისადმი კეთილმოსურნე, სიმდიდრის მოძულე, გულგრილი ყოველგვარი უმნიშვნელო და წარმავლისადმი[11]. მას ასეთი გამოთქმა უყვარდა: „სირცხვილია ბრძენისათვის, თავისი ფიზიკური ძალით ცდილობდეს სახელის მოხვეჭას, მაშინ, როცა არსებობს სული“[12].

„მისი სამართლიანობა ბრწყინვალედ არის დადასტურებული მრავალი მაგალითით. უპირველეს ყოვლისა, იგი, ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ძალზე მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ სისასტიკის გარეშე. როცა ზოგიერთს სჯიდა, ამით ცდილობდა შეეკავებინა მანკიერება, უფრო იმუქრებოდა სამართალდამცავი მახვილით, ვიდრე ნამდვილად იყენებდა მას. შეიძლება ბევრი რამ არცკი გავიხსენოთ, აღვნიშნოთ ის, რაც ყველასათვის ცნობილია. ზოგ თავის აშკარა მტერს და ბოროტგამზრახველ ადამიანს იგი ისე ლმობიერად მოექცა, რომ კანონიერი სასჯელის სიმკაცრე თავისი თანდაყოლილი კეთილშობილებით შეარბილა“[13].

ამიანე, იულიანეს არაერთი ლაშქრობის მონაწილე, ხაზს უსვამს მის სულიერ სიმტკიცეს, გაუტეხავობას, რთულ სიტუაციაში წონასწორობის შენარჩუნების უნარს. ოსტატურად ანხორციელებდა ქალაქების გარემოცვას, იყო საბრძოლო ტაქტიკის დიდი მცოდნე, თვით ირჩევდა ყველაზე ხელსაყრელ და უხიფათო ადგილებს სამხედრო ბანაკების აგების დროს, ასევე იქცეოდა ფორპოსტებისა და პიკეტების განსაზღვრისას. მისი სამხედრო ავტორიტეტი მეტისმეტად დიდი იყო, უყვარდათ და ეშინოდათ კიდეც. იულიანე პირადად მონაწილეობდა ყველა ომსა და ბანაკების მშენებლობაში.

გარდა ომებში მოპოვებული წარმატებებისა, რომელმაც იულიანეს პოპულარობა მოუპოვეს, ამიანე მის საშინაო პოლიტიკაზეც ამახვილებს ყურადღებას. აქ უნდა აღინიშნოს, კონსტანციუსის მმართველობის წლებთან შედარებით, დაბალი გადასახადების დაწესება. „მისი გულუხვობა მრავალი აშკარა ფაქტით არის „დადასტურებული“[14]. ერთი ასეთი გახლავთ „Auzum coronarum“-ზე უარის თქმა. ეს იყო საგანგებო გადასახადი, რომელსაც შეაწერდნენ ხოლმე პროვინციებს ტახტზე ახლად ასული იმპერატორებისათვის მისართმევად. იულიანემ არ ისურვა ამ „გვირგვინის ოქროს“ მიღება. ისე კი უნდა ითქვას, რომ ეს საიმპერატორო რომის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა არ იყო. იგივე გააკეთეს ავგუსტუსმა, ადრიანემ, ანტონინე პიუსმა და

ალექსანდრე სუვერუსმა. იულიანე მოსახლეობას აპატიებდა ხოლმე ძველი დროიდან დაგროვილი გადასახადების გადაუხდელობას, არ ერეოდა საიმპერატორო ხაზინას, ე. ი. ფისკის დავაში ცალკეულ პირებთან. ცალკეული ქალაქებისადმი რბილ პოლიტიკას ანხორციელებდა, რომლებიც სხვა იმპერატორებმა დააჯარიმეს, მათ მიწები გაუყიდეს.

როცა ამიანეს მიერ იულიანეს მოღვაწეობის დადებით შეფასებაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება მას ისტორიკოს ევნაპიოს სარდელის (345-420 წწ.) აზრებიც შევადაროთ. თუ ევნაპიოსი, ყოველ შემთხვევაში, შემორჩენილ ფრაგმენტებში, უზომოდ აქებს იულიანეს და ნამდვილ პანეგირიკს გვთავაზობს, ამიანე თუმცა იმპერატორის უამრავ ღირსებას აღნიშნავს, თავის უმცროს თანამედროვესთან შედარებით, გაცილებით უფრო თავშეკავებულია, და, ჩვენი აზრით, აშკარად ობიექტურიც.

როცა ამიანე არაერთგზის წერს, რომ იულიანე იყო მეტისმეტად ნიჭიერი, ენერგიული, სამართლიანი იმპერატორი, დიდად პატიოსანი, კეთილმოსურნე პიროვნება, ამასთან, იგი არც მის უარყოფით თვისებებს მალავს, ხშირად ეკამათება კიდეც. ამიტომ ის, ჩვენი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ არის ტიპური პანეგირიკის ავტორი. ეს უფრო გახლავთ იულიანეს ისტორიული როლის აღნიშვნა, მისი ღირსებების ხაზგასმა, იმპერატორის დაცვა იმ მრავალრიცხოვან კრიტიკოსთაგან, რომლებსაც მეფე-რეფორმატორის სიკვდილის შემდეგ იულიანეზე მძაფრი თავდასხმის საშუალება მიეცათ. ამ კრიტიკოსებს ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ და ამხნევებდნენ იულიანეს შემდგომი დროის იმპერატორები ვალენტინიანე და ვალენტი, რომლებზედაც ამიანე აშკარად უარყოფითი აზრისა იყო[15].

აქებს რა ამ მართლაცდა გამოჩენილ პიროვნებას, ამიანე არც მის ნაკლოვანებებს მალავს, რაც, თავისთავად, „კლასიკური“ ანუ, ასე ვთქვათ, „სტერეოტიპული“ პანეგირიკისათვის სრულიადაც არ არის დამახასიათებელი. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: იულიანეს ღირსებებისა თუ ნაკლოვანებების აღნიშვნისას ისტორიკოსი ვინმეს აზრს კი არ იზიარებს, ან არ ეთანხმება, არამედ მხოლოდ საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე მსჯელობს. ასეთი დასკვნების საშუალება კი მას საკმაოდ ჰქონდა[16].

ამდენი ქების შემდეგ, შეიძლება რამდენადმე მოულოდნელად მოგვეჩვენოს იულიანეს ნაკლოვანებების ჩამოთვლის იმით დაწყება, რომ იგი, ცოტა არ იყოს, ჩქარი, არასერიოზული იყო[17], თუმცა ერთი

კარგი თვისება ჰქონდა — არ სწყინდა, როცა დაშვებულ შეცდომაზე მიუთითებდნენ. ლაპარაკობდა ძალიან ბევრს და იშვიათად ჩერდებოდა. „ეს, თუ გნებავთ, ავადმყოფობა გახლავთ (დღეს გერმანელები „Redcegoismus"-ს უწოდებენ). ამნაირი ნაკლი უფრო ბერძნებისათვის იყო დამახასიათებელი (გავიხსენოთ, რომ არაკეთილმოსურნენი იულიანეს დაცინვით „პატარა ბერძენსაც" უწოდებდნენ), ვიდრე გაცილებით უფრო თავშეკავებული რომაელებისათვის. ამიანე არ იწონებს იულიანეს გატაცებას სხვადასხვა წინასწარი მინიშნებებით, ამ მხრივ მას იმპერატორ ადრიანეს ადარებს, კიდევ ერთ აშკარა ფილოელინს. „უფრო ცრუმორწმუნე, ვიდრე წმინდა წესების ზუსტი აღმსრულებელი, იგი ყოველგვარ ზომაზე მეტად სწირავდა ღმერთებს ცხოველებს და შეიძლებოდა შიშის გამოთქმაც, რომ სამყოფი ხარები უკვე აღარ მოიძებნებოდა, თუკი იგი სპარსეთიდან (გამარჯვებული) დაბრუნდებოდა. ამ მხრივ ის იმპერატორ მარკუს (ავრელიუსს) ჰგავდა, რომელზედაც ასეთი მახვილგონივრული რამ თქვეს: „თეთრი ხარები მიესალმებიან იმპერატორ მარკუსს. ჩვენ დავიღუპებით, თუკი შენ კვლავ გაიმარჯვებ"[18].

იმის გამო, რომ იულიანესთან ერთად მარკუს ავრელიუსიც ამიანეს საყვარელი პიროვნება იყო, გამოითქვა ეჭვი ამ სიტყვების ნამდვილობის შესახებ. იგი უფრო ქრისტიანი ავტორების მიერ ჩართულ ადგილად მიიჩნიეს. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება, ეს ამიანეს იშვიათ ობიექტურობასა და პატიოსნებას მივაწეროთ. იგი ხომ არასოდეს ერიდებოდა არც თავისი გმირების ნაკლოვანებისა და შეცდომების აღნიშვნას, არც უარყოფით პიროვნებებს (ეს განსაკუთრებით კონსტანციუსის მიმართ ითქმის) უკარგავდა ამა თუ იმ დამსახურებას.

იულიანეს სხვა ნაკლიც ჰქონდა, „არ იყო გულგრილი პირფეერობისადმი, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ბრბოს აღტაცებული ტაში, მეტისმეტად სურდა შეექოთ თუნდაც უმნიშვნელო წარმატებისათვის. პოპულარობისადმი მისწრაფება აიძულებდა ისეთ ადამიანებთან ესაუბრა, რომლებიც ამის ღირსი არ იყვნენ"[19]. ამასთან, ამიანე წერდა, რომ ადრე ადამიანური უკეთურობით შეურაცხყოფილი სამართლიანობის ღმერთი დაშორდა მათ და ზეცაში ავიდა, იულიანეს დროს კი მიწას დაუბრუნდა. ასე იქნებოდა, თუ იულიანე არ უღალატებდა საკუთარ თავს და უმართებულო გადაწყვეტილებებს არ მიიღებდა.

ამიანე ეხება იულიანეს მიერ გამოცემულ ბრძანებულებებს, აღნიშნავს, რომ თუ ზოგიერთებს არ გავითვალისწინებთ, ისინი საკმაოდ კარგები იყვნენ. ახლა კი ვნახოთ, რას არ იწონებს ჩვენი ისტორიკოსი. მას ძალიან არ მოსწონს, რომ იმპერატორმა პედაგოგიური საქმიანობა აუკრძალა იმ რიტორებსა და გრამატიკოსებს, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ. ამასთან, მათ უთხრეს, რომ უფლებებს აღუდგენდნენ, თუკი თავის რელიგიურ რწმენას უღალატებდნენ და წარმართები გახდებოდნენ[20]. ასევე უსამართლობა იყო, ამიანეს აზრით, იულიანეს მიერ სხვადასხვა ქალაქების მმართველი საბჭოების შემადგენლობის გადასინჯვა. აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამიანე ადრე სწორედ ამ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა. რაც შეეხება ამ ღონისძიებას, მისი განხორციელება იმპერატორს ქალაქებზე მეტი კონტროლის მიზნით უნდოდა.

მტრები იულიანეს მძიმე დანაშაულად უთვლიდნენ სპარსელებთან ომის დაწყებას, რომელსაც რომის სახელმწიფოსათვის მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა. აქ ამიანე ცდილობს იულიანეს გამართლებას და ამბობს, რომ სპარსელებთან ომის ცეცხლი მან კი არ დაანთო, არამედ კონსტანტინემ. ამიანე სწორედ კონსტანტინეს აბრალებს რომაული არმიების სასტიკ მარცხს, ჯარისკაცების დიდი რაოდენობით ამოწყვეტას, ქალაქების იავარქმნას, ციხე-სიმაგრეების მიწასთან გასწორებას, პროვინციების აოხრებას, ერთი სიტყვით, ყველაფრის დაკარგვას აღმოსავლეთში.

აქ ამიანეს, ჩვენი აზრით, ღალატობს ობიექტურობის გრძნობა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინეს მიეწერება ის დიდი მარცხი, რაც ნაწილობრივ კონსტანციუსმა განიცადა, ნაწილობრივ კი, იულიანეს სიკვდილით იყო განპირობებული.

რომაელების ამ მარცხს ამიანე ადარებს იმ მდგომარეობას, რომელიც დასავლეთში შეიქმნა და სულ სხვაგვარი იყო. გალიაში თარეშთან ერთად გერმანელები იმუქრებოდნენ ალპების გადალახვით იტალიაში შეჭრას, რასაც რომის სახელმწიფოსათვის დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა. იულიანემ გასაოცარი სისწრაფით გადაჭრა ეს პრობლემა. შემდეგში, რათა აღმოსავლეთშიც მოეგვარებინა მდგომარეობა (აქ ავტორი გულისხმობს კონსტანტინესა და მისი მემკვიდრის, კონსტანციუსის მიზეზით აწეწილ-დაწეწილ საქმეებს), იგი სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა და იქიდანაც ტრიუმფით დაბრუნდებოდა, რომ მის გეგმებსა და ბრწყინვალე საქმეებს ცის მნათობთა კეთილი ნებაც დამთხვეოდა[21].

ძნელი სათქმელია, როგორ ხსნიდა ამიანე თავის დაკარგულ წიგნებში რომაელებისა და სპარსელების გაუთავებელ ომებს. რა თქმა უნდა, ეს არც კონსტანტინეს დაუწყია და არც მისი მემკვიდრეების დროს დამთავრებულა. ომები რომაელების მხრიდან მათი მუდმივი აგრესიულობით აიხსნებოდა, სპარსელებს კი ასევე მუდმივი პრობლემის, ხმელთაშუა და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების გადაჭრა უნდოდათ. ეს ომები, ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნიდან, კრასუსის ლაშქრობით დაწყებული, ხანგრძლივი დროით მიმდინარეობდა და, რომაელების ზოგი წარმატების მიუხედავად, საერთო ანგარიშით, მაინც ცვალებადი უპირატესობით აღინიშნებოდა. ეს იყო ისეთი პრობლემა, რომელიც რომის სახელმწიფომ ვერა და ვერ გადაწყვიტა.

პროფესიონალი სამხედროს, ამიანეს აზრით, რომის არმიის დაქვეითება,საბრძოლო თვისებების დაკარგვა და დისციპლინის დაცემა დიდი ხნით ადრე დაიწყო. ამ უარყოფით ამბებს ებრძოდნენ ვესპასიანე, ტრაიანე, ადრიანე და ალექსანდრე სეევერუსიც, თუმცა დიდი წარმატების გარეშე. მასზე წერდნენ „Historia Augusta"-ს ავტორები და ვალერიუს მაქსიმუსი. ამიანე ხაზს უსვამს იმას, რომ იულიანეს მიღწევები რომის არმიის ბრძოლისუნარიანობის აღდგენის საკითხში დიდი იყო. მან შეძლო არმიის ხელახალი მომძლავრება, წესრიგის აღდგენა. ამ მხრივ, მის მსგავს წარმატებებს ვერავინ მიაღწია. იულიანემ ხომ მძიმე დარტყმა აგემა გერმანელებს, რომლებიც უკვე ველარ ბედავდნენ რაინის გადმოლახვას. როგორც ავტორი აღნიშნავს, მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იულიანე დასავლეთიდან წავიდა, იგი დაიღუპა კიდეც, მაგრამ გერმანელები ისე დაშინდნენ, რომ ძალიან დიდხანს ვერ ბედავდნენ რომაელების სამფლობელოებში შეჭრას.

ერთი სიტყვით, ამიანე ბრწყინვალე მმართველად მიიჩნევს იულიანეს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უპირისპირებს მას რომაელ იმპერატორებს და აშკარა უპირატესობასაც ანიჭებს. იგი, ისტორიკოსის გაგებით, ნამდვილი გმირი და ფილოსოფოსია. მეტად ემოციურად არის დაწერილი იულიანეს სიკვდილის სცენა, როდესაც იმპერატორი მადლობას უხდის „მუდმივ ღმერთს" სწორედ ასეთი ნეტარებითი აღსასრულისათვის, რომ იგი არ შეეწირა არც მტრების საიდუმლო მოქმედებას, არც მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობას, არც არავის მიუსჯია მისთვის სიკვდილი, არამედ კვდება მაშინ, როცა დიდი სახელი მოიხვეჭა[22].

იულიანეს სიკვდილის შემდეგ „განდგომილის“ წინააღმდეგ არაერთმა სახელმწიფო მოღვაწემ და მწერალმა გაილაშქრა. მალე იმპერატორის სახელი სრულიად დაიგმო კიდეც. ასეთ ვითარებაში ამიანეს ნაშრომის გამოქვეყნება საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომ ავტორმა საჭიროდ ჩათვალა იმის ხაზგასმა, რომ იულიანეს დახასიათებისას სრულ ობიექტურობას იცავდა. „იულიანეს საქმეებმა ბევრ ძველ სიქველეს გადააჭარბეს. მთელი ჩემი მონათხრობი, თავისუფალი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბული სიცრუისაგან, ემყარება მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს, მაგრამ იგი თითქმის პანეგირიკს დაემსგავსება“[23].

ანტიკურმა მწერლობამ პანეგირიკების არაერთი მაგალითი დაგვიტოვა, რომლებსაც მეცნიერება, გასაგებია, დიდი სიფრთხილით ეკიდება, თუნდაც ჟანრის თავისებურების გამო. ამ შემთხვევაში ამიანე, მეტად ემოციური ტონის მიუხედავად, იულიანეს მოღვაწეობის შეფასებისას სავსებით ობიექტური ჩანს. როცა ლაპარაკია თათბირზე, რომელიც იულიანეს შემცვლელი იმპერატორის არჩევის მიზნით გაიმართა, ისტორიკოსს მოჰყავს „ერთი ცნობილი მეომრის სიტყვები“[24]. ეს ცნობილი მეომარი, ედუარდ გიბონის აზრით, არის თვით ამიანე მარცელინე. ასევე მიაჩნიათ მთელ რიგ ცნობილ მკვლევრებს[25]. აქ ამიანე იყენებს ჯერ კიდევ ქსენოფონტის მიერ „ანაბაზისში“ გამოყენებულ ხერხს[26].

წყაროები და ლიტერატურა:

1. З. В. Удальцова, Идейно-политическая борьба в раннсй Византии, М., 1974., стр. 15.
2. Ammianus Marcellinus, Romische Leschichte, Latainisch und Deutsch, Erster teil, B. 1983. შემოკლ. Amm. XVI, 11,13.
3. აქვე შეიძლება იმის თქმაც, რომ ყველა ამ მწერალს ამიანეც დიდად აფასებდა.
4. Amm. XVI, 2-12, ამ ბრძოლის პროფესიული ანალიზი მოგვცა დელბრიუკმა თავის „Leschichte der Kriegskunst“-ის პირველ-მეორე ტომებში, რუსული თარგმანი, СПб., 1994.

5. Amm. XVI, 2-4.
6. Amm. XXV, 4, 1.
7. იქვე.
8. Amm. XXV, 4, 4.
9. იქვე.
10. Eunap. Excerpt. fr. 1.
11. Amm. XXV, 4, 7.
12. იქვე.
13. Amm. XXV, 4, 8-9.
14. Amm. XXV, 4, 13.
15. Amm. XXVI, 10, 8.
16. H. Trankle, Antike und Abendland, I, 1962. 1. 33.
17. Amm. XXV, 4, 16.
18. Amm. XXV, 4, 17.
19. Amm. XXV, 4, 19.
20. Amm. XXV, 4, 20.
21. Amm. XXV, 4, 26.
22. Amm. XXV, 3, 19.
23. Amm. XV, 1, 2.
24. Amm. XV, 5, 3 " miles aduertens destinatius".
25. Ammianus Marcellinus, Romische Leschichte, III, s. 250.
26. საინტერესოა, რომ გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი დიმიტრი მერეჟკოვსკი, რომელიც ანტიკური კულტურის დიდი მცოდნე იყო, თავის ცნობილ რომანში „Юлиан Отступник“ ამიანე მარცელინეს მართლაც „დაასწრებს“ იმპერატორის სიკვდილს.

Гиви Гамрекели

АММИАН МАРЦЕЛЛИН И ЮЛИАН ОТСТУПНИК

Резюме

Центральное место в монументальной "Римской истории" Аммиана Марцеллина занимает выдающийся политический деятель IV века император-философ Юлиан.

Многие историки считали Аммиана прямым панегиристом Юлиана. По мнению автора этого очерка, наряду с очень высокой оценкой в целом деятельности Юлиана Отступника, историк все же не отходит от действительности и высказывает ряд критических, правда, довольно доброжелательных замечаний. Рассказывая о царствовании Юлиана, Аммиан Марцеллин занимает более объективную позицию, чем другие его современники – Либаний, Аврелий Виктор и Евтропий.

ნინო ნამორაძე

ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი თბილისში

2000 წლის 12-14 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, საქართველოში დაარსებული ნაპოლეონის საზოგადოების ინიციატივით, ჩატარდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი. ასეთი ფართო მასშტაბის ფორუმი, მიძღვნილი მსოფლიოს ისტორიის ამ რთული პიროვნებისადმი, საქართველოში პირველად გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება დაემთხვა მარენგოს ბრძოლის 200 წლისთავს (1800 წლის 14 ივნისი) და ამიტომ, კონგრესში მონაწილეობის მიღების ბევრი მსურველი იძულებული შეიქნა იტალიაში გამგზავრებულიყო, სადაც ტარდებოდა დიდი ფორუმი მიძღვნილი ამ ბრძოლისადმი. რომ არა ეს გარემოება, თბილისის კონგრესის შემადგენლობა, ალბათ, კიდევ უფრო სოლიდური იქნებოდა. სასურველია, რომ ანალოგიური შეხვედრები ტრადიციად იქცეს. ეს საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას გააღრმავებს.

XX საუკუნის მიწურული საქართველოში, ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ პროცესებთან, ლიბერალიზაციასთან, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის დაშლასთან და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენასთან. ამ პერიოდის ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვან შენაძენად, უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია პროფესორ დიმიტრი ცისკარიშვილის ორტომეული ნაპოლეონზე. პირველი წიგნის სახელწოდებაა „გენერალი ბონაპარტი“, ხოლო მეორესი — „იმპერატორი“.

ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში ასევე სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოების დაარსება, რომლის მთავარი ინიციატორი და სულისჩამდგმელია ახალგაზრდა მეცნიერი, ბატონი ალექსანდრე მიქაბერიძე. უთუოდ, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ საზოგადოებას აქვს თავისი ჟურნალი, რომელიც ორ ენაზე გამოდის: ქართულად და ინგლისურად.

ფორუმის მუშაობის პროცესში დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელი კოლეგების გამოსვლებმა. ამერიკელმა დევიდ მარექჰამმა წაიკითხა მოხსენება სათაურით „ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში: საბედისწერო შეცდომების და დაკარგული შესაძლებლობების მემკვიდრეობა“. მისმა თანამემამულემ ჯონ გალაჰერმა, რომლის კალამსაც ეკუთვნის სქელტანიანი წიგნი ნაპოლეონის მარშალ ლუი-ნიკოლა დავუზე, გააკეთა მოხსენება თემაზე: „ვანდამი, ჟერომი და რუსეთში ლაშქრობა“. ისრაელის წარმომადგენელმა ალონ კლებანოფმა — „დავიწყებული გამარჯვებები — ბრძოლა კაკოონთან“.

ამერიკელ მეცნიერთა გამოსვლები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, მდიდარი მეცნიერული ინფორმაციით და მისი საინტერესო გააზრებით, ინტერპრეტაციით. ეს, უეჭველად, ამ მოხსენებების ღირებულ მხარედ მივიჩნიეთ, თუმცა, ამავე დროს, მომხსენებლების მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება საკამათო იყო. შესაძლოა, ამერიკელი მეცნიერები ცოტათი აჭარბებენ რუსული ზამთრის როლს ნაპოლეონის დამარცხების საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ახალს არაფერს ამბობენ — მიჰყვებიან ინგლისურ და ამერიკულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტრადიციას (გარდინერი, სტრახოვსკი, ბოკოვერი). ამ მოსაზრებას იზიარებს ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკიც. ანალოგიური ინტერპრეტაცია დომინირებს ფრანგულ ისტორიოგრაფიაში, ადოლფ ტიერიდან დაწყებული ლუი მადლენით დამთავრებული. ეს, უთუოდ, მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იყო ნაპოლეონის წარუმატებლობის სხვა უფრო სერიოზული მიზეზები, რომელთა გვერდის ავლა უმართებული იქნებოდა. კონკრეტულ საკითხს ეხებოდა და ინტერესს მოკლებული არ იყო ა. კლებანოფის გამოსვლა.

საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა მკვლევრებმა. მათი გამოსვლები, ჩვენი ღრმა რწმენით, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აღემატებოდა, უცხოელი მეცნიერების გამოსვლებს. ესენი იყვნენ: დიმიტრი ცისკარიშვილი („ნაპოლეონი როგორც ფსიქოლოგი“), ინესა მერაბიშვილი („ბაირონი, პრომეთე და ნაპოლეონი“) და ივანე მენთეშაშვილი („ნაპოლეონის სახე XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში“). ვფიქრობთ, ბევრს მოიგებდა კონგრესი მეტი ქართველი ისტორიკოსი რომ გამოსულიყო მოხსენებით.

პროფესორმა დ. ცისკარიშვილმა ყურადღება გაამახვილა ნაპოლეონზე, როგორც ფსიქოლოგზე, და ხაზი გაუსვა იმას, რომ

ნაპოლეონი, როგორც მხედართმთავარი, ჩინებული ფსიქოლოგი იყო. პროფ. ი. მერაბიშვილის და პროფ. ივ. მენთეშაშვილის მოხსენება ორი მეცნიერების, ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიჯნას უნდა მიეკუთვნოს. ამიტომ მათ მიერ წამოჭრილი საკითხები აქტუალურად გვესახება.

მისასალმებელი იყო კონგრესში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა, ის ფაქტიც, რომ ისინი დაინტერესდნენ ნაპოლეონის ცხოვრებითა და მოღვაწეობით და გადაწყვიტეს მისი გაცნობა. თუმცა, სასურველი იქნებოდა სტუდენტებს მუშაობის პროცესში კონსულტაციები მიეღოთ სპეციალისტებისაგან, რითაც მათი მოხსენებები უთუოდ მოიგებდა და კონგრესის მიმდინარეობაც უფრო საინტერესო გახდებოდა.

ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესის ჩატარება თბილისში, უდავოდ მისასალმებელ ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო მისი მთავარი ინიციატორი, ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარი ალექსანდრე მიქაბერიძე, მადლობის ღირსია.

Нино Наморадзе

ТБИЛИССКИЙ КОНГРЕСС, ПОСВЯЩЕННЫЙ НАПОЛЕОНУ БОНАПАРТУ

Резюме

Впервые в Грузии, 12-14 июня 200 года, в здании Тбилисского государственного университета состоялся конгресс, посвящённый Наполеону Бонапарту, организованный основателем общества Наполеона в Грузии Александром Микаберидзе.

Выступления иностранных учёных (Д. Маркхэм, Дж. Галлахер, А. Клебанофф) отличались высоким профессиональным уровнем, если не считать того, что с некоторыми из их высказываний можно было поспорить. Не менее интересно звучали выступления грузинских исследователей (Д. Цискаришвили, И. Мерабишвили, Ив. Ментешашвили). Активное участие в конгрессе принимали студенты ТГУ.

ელენე მეძმარიაშვილი

ისრაელისა და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში

საშუალო სკოლაში უახლესი ისტორიის სწავლება ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა პოსტ-საბჭოთა პერიოდში. ამის მიზეზი არის არა მარტო შესაბამისი ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების და სხვა ლიტერატურის არარსებობა, არამედ მთელი პერიოდის გლობალური გადაფასების, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე, კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოების ფორმაციული განვითარების თეორიებზე უარის თქმის აუცილებლობა. ქართველი ისტორიკოსები ცდილობენ შეცვალონ საბჭოთა პერიოდის დროინდელი ისტორიული განათლების შინაარსიც და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მიზნები. მაგალითად, თუ წინათ მთავარი იყო მოსწავლეებში მტრული იდეოლოგიისადმი აგრესიული შეურიგებლობის გაღვივება, ახლა ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ისინი განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის გრძნობით, ტოლერანტულები, გავუღვივოთ ინტერესი და პატივისცემა არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა ხალხების ისტორიისა და კულტურისადმი, განვუვითაროთ მათდამი სოლიდარობის, სხვისი ისტორიული გამოცდილების სწორად გაგების უნარი და სხვ.

ან კიდევ, თუ წინათ ისტორიულ ფაქტებს მხოლოდ კლასობრივი, ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ვაფასებდით, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მიერ დადგენილი კრიტერიუმებით ვადგენდით პროგრესულია ისინი, თუ რეაქციული, ახლა აუცილებელია დამოუკიდებელი, ობიექტური განსჯა, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება არსებული ფაქტების ანალიზისა და განსხვავებული შეხედულებების შესწავლის საფუძველზე. მთავარია იმის შეგნება, რომ ახალი ფაქტებისა თუ მტკიცებულებების შესაბამისად, შესაძლებელია ყოველი დასკვნის გადაფასება.

ამასთან ერთად, სკოლაში ისტორიის სწავლების მიზნების უკეთ გაგებისათვის აუცილებელია არა მარტო ზოგადსაკაცობრიო, არამედ ეროვნული პრიორიტეტებისა და ფასეულობების გათვალისწინება. სწორედ ამიტომ ისტორიის და, განსაკუთრებით, უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები უნდა პასუხობდნენ ამ მოთხოვნებს, მით უმეტეს,

რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიული პრიორიტეტები როგორც საქართველოს, ისე ზოგადად ევროპული განათლების სისტემაში.

ბევრს არარეალურად, განუხორციელებლად მიაჩნია სკოლის პირობებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით XX საუკუნის ყველა მოვლენის დეტალური და ღრმა შესწავლა. ისინი ამ საუკუნის მხოლოდ სამ საკვანძო თარიღს გამოყოფენ როგორც ლოკალური, ევროპული და მსოფლიო ისტორიის განმსაზღვრელ მომენტს: 1917, 1945 და 1989 წლებს. ამიტომ ბევრი მათგანი გვთავაზობს XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის ცალკეულ საკვანძო თემებს, თუმცა ძირითადად ევროცენტრისტული ხასიათისას. სამწუხაროდ, ისეთი დიდი ქვეყნები, როგორიცაა: ინდოეთი, ირანი, თურქეთი, ხშირად აფრიკის მთელი კონტინენტიც, იშვიათად გვხვდება ისტორიის სასკოლო კურსებში.

საქართველოში, რომელიც, მართალია, ევროპის ნაწილია, მაგრამ დღევანდელი თავისი მდგომარეობით განვითარებადი ქვეყნების რიცხვში შედის, ინტერესი საკუთარი უშუალო აზიელი მეზობლებისადმი საკმაოდ დიდია. იგივე შეიძლება ითქვას ისრაელზეც, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას არა მარტო ყოველმხრივი ოფიციალური ურთიერთობები, არამედ აქტიური პირადული კონტაქტებიც აკავშირებს. შთამომავლები იმ ებრაელებისა, რომლებსაც ორი ათასი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრებისას არავითარი ანტისემიტიზმი არ უგრძნიათ, დღეს ისტორიულ სამშობლოში არ ივიწყებენ თავიანთ მეორე სამშობლოს და მჭიდრო კონტაქტი აქვთ მასთან. ამავე დროს, საქართველოში სხვა ხალხების გვერდით კიდევ არაერთი ებრაელი ცხოვრობს, როგორც ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე.

სწორედ ამიტომ უახლესი ისტორიის ახალ სასკოლო სახელმ-ძღვანელოებში აზიის ისეთი დიდი ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა: ინდოეთი, ირანი ან თურქეთი, ცალკე თავი ეძღვნება ისრაელსა და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტს. პირველად ასეთი სახელმძღვანელო XI კლასისათვის (ავტორები ნ. კიღურაძე და ე. მეძმარიაშვილი) გამოქვეყნდა 1997 წელს და მას შემდეგ ყოველ წელს იბეჭდება. 2000 წელს კი გამოვიდა უახლესი ისტორიის კიდევ ერთი სახელმძღვანელო უკვე რეფორმირებული სკოლის IX კლასისათვის (ავტორები გ. ბოლოთაშვილი, ნ. კიღურაძე და ე. მეძმარიაშვილი), რომელშიც აღნიშნული თავი შემოკლებული და გამარტივებული სახით არის შესული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიისადმი მიძღვნილი ყველა თავი ორივე სახელმძღვანელოში დაწერილია ამ სტატიის ავტორის მიერ.

მოცემული რეგიონისადმი ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის მიზეზია მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის უდიდესი მნიშვნელობა, მისი ადგილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში და, როგორც უკვე აღინიშნა, ის მეგობრული, მრავალმხრივი ურთიერთობები, რომლებიც ჩამოყალიბდა ისრაელსა და საქართველოს შორის. ამავე დროს, ამ ორი საკითხის ერთ პარაგრაფში გაერთიანება მარტივად შეიძლება აიხსნას — ისრაელის ისტორიას მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემას ვერ მოვწყვეტთ, თუმცა ეს უკანასკნელი იხსენიება ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების განხილვისას, მაგრამ სქემატურად.

მოცემულ სტატიაში განხილულია XI კლასის სახელმძღვანელოში გადმოცემული შესაბამისი თავის სწავლების პრობლემები.

ძირითადი ტექსტი აქ გადმოცემულია თხრობის სახით და ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ჩანართებში კი პეტიტით მოცემულია დამატებითი ტექსტი. ის უმთავრესად შემეცნებითი, სამეცნიერო-პოპულარული, ზოგჯერ კი დოკუმენტური ხასიათის არის, თუმცა მოცულობით ძირითადზე ნაკლები. ჩვენი ჩანაფიქრით, ის უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს საკითხის უფრო ღრმად შესწავლაში. ასევე დამატებითი მასალის როლს ასრულებს დოკუმენტური ილუსტრაციები და რუქები თან დართული ტექსტით.

აღნიშნულ თავს დართული აქვს აგრეთვე კითხვები და დავალებები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ფაქტების შემოქმედებითი რეკონსტრუქციისა და პრობლემული საკითხების ჩამოყალიბებისათვის. ისინი შედარებით განმაზოგადებელია. ძირითადი თარიღები გამოყოფილია და მოცემულია თავის ბოლოს.

ჩვენ ვცადეთ გადმოგვეცა მხოლოდ ობიექტური ფაქტები და თავი შეგვეკავებინა საკუთარი სუბიექტური შეფასებისაგან. თუმცა, ალბათ, ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი მაინც ჩანს. შესაბამისად შერჩეულია ფაქტები, განსაზღვრულია თხრობის კომპოზიცია და სტილი, გამოყენებულია დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური საშუალებები. მაგრამ მასწავლებელმა უნდა სცადოს ასწავლოს მოსწავლეებს, განასხვავონ ისტორიული ფაქტები და მათი ინტერპრეტაცია, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითგამოხატვასა და ტოლერანტულობის აღზრდას.

ამასთან ერთად, განსაკუთრებით XI კლასში, მოსწავლეებს უკვე კარგად უნდა შეეძლოთ კრიტიკული აზროვნება. ამიტომ შეიძლება ვუბიძგოთ მათ მოცემული თავის და, საერთოდ, მთელი სახელმძღვანელოს კრიტიკულად წაკითხვისაკენ; მივცეთ შესაძლებლობა, დადებითად ან უარყოფითად შეაფასონ ცალკეული ფაქტები და შეხედულებები.

მოცემული თემა ორგანულად არის დაკავშირებული როგორც განვლილ მასალასთან, ასევე მომდევნო თავებთან. წინა მასალის გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი ამზადებს კლასს ახალი მასალის გადმოსაცემად. ამისათვის ახსენებს ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობებს: ინგლისის კოლონიური იმპერიის დაშლას, სიონიზმის აღმოცენებას, არაბული ნაციონალიზმის გამწვავებას, ამ რეგიონისადმი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ინტერესის ზრდას, აღნიშნული რეგიონის ადგილს ცივ ომში, ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობას.

გაკვეთილზე შემოქმედებითი, ემოციური ატმოსფეროს შექმნის მიზნით, მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მოსწავლეებს ქართველი და ებრაელი ხალხების ორი ათასწლოვანი მეგობრობა, ებრაელების მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და, მათ შორის, საქართველოში ჩამოსახლების მიზეზები, სხვადასხვა ქვეყანაში მათდამი დამოკიდებულება, ხაზი უნდა გაესვას, რომ ჩვენთან არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმი.

მასწავლებელი ასევე უხსნის მოსწავლეებს, თუ რომელი რეგიონია „მახლობელი აღმოსავლეთი", რომ მათ უკვე ისწავლეს ამ რეგიონის ორი არაარაბული ქვეყნის. ჩვენ. ძეზობლების — თურქეთისა და ირანის ისტორია. არაბული ქვეყნების უახლეს ისტორიას კი შემდეგ გაკვეთილზე გაეცნობიან. მახლობელი აღმოსავლეთის მესამე არაარაბული ქვეყანა კი ისრაელია.

სასურველია აიხსნას, თუ რატომ გახდა ეს ტერიტორია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესის ობიექტი და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის სფერო. ამის ახსნისას მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას ამ რეგიონში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ სამ მთავარ მოვლენას: პირველი, დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოების შექმნასა და არაბული ნაციონალიზმის აღორძინებას; მეორე, ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის ურთიერთობის გამწვავებას, სამ დიდ ომს, მათ შორის, 1956, 1967

და 1973 წლებში, რის შემდეგაც არაბული სამყარო გაითიშა; 1964 წ. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შექმნას; და მესამეც, ნავთობის მზარდ როლს. სწორედ ამ სამმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ცივმა ომმა ორ ზესახელმწიფოს — შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმასაც, თუ ვის და რატომ ეხმარებოდნენ შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი.

ამას გარდა, მასწავლებელმა უნდა ახსნას, როდის და რატომ წარმოიშვა სიონიზმი, რას ნიშნავს ეს ტერმინი, ვინ იყო სიონისტური მოძრაობის ორგანიზატორი; რატომ გამოჩნდნენ პალესტინაში პირველი ებრაელი ლტოლვილები; ძირითადად როდის და რამდენი ადამიანი გადმოსახლდა აქ; რატომ გაიზარდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში ლტოლვილთა ნაკადი საბჭოთა კავშირიდან და, მათ შორის, საქართველოდან; როგორ რეაგირებდა ინგლისი პალესტინაში ებრაელთა გადმოსახლებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; რატომ ვერ შეძლო მან აქ თავისი მანდატის შენარჩუნება; რატომ თვლიან ებრაელებიც და არაბებიც პალესტინას თავის სამშობლოდ; როგორ და რატომ წარმოიშვა პალესტინის გაყოფის გეგმა და რატომ გახდა საჭირო პალესტინის საკითხის გაეროსათვის გადაცემა; რატომ დაუჭირეს მხარი პალესტინის გაყოფას შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც სიონიზმს რეაქციულ მოძრაობად ნათლავდა (ძველ საბჭოთა სახელმძღვანელოებში მას აიგივებდნენ აშკარა შოვინიზმსა და ღვარძლიან ანტიკომუნიზმთან), დაამყარა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა და პირველ წლებში აიარაღებდა კიდეც მას. მასწავლებელს შეუძლია რამდენიმე მიზეზით ახსნას საბჭოთა კავშირის პოზიცია:

— ისრაელისადმი თავისი დახმარებით საბჭოთა კავშირს სურდა ამ რეგიონში ბრიტანეთის გავლენის შესუსტება და საბოლოო ჯამში, მისი ადგილის დაკავება;

— საბჭოთა კავშირს იმედი ჰქონდა, რომ ებრაული სახელმწიფოს შექმნა გაართულებდა დასავლეთის სახელმწიფოების ურთიერთობას არაბულ ქვეყნებთან და ამგვარად გაუადვილებდა მახლობელ აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების განმტკიცებას;

— შესაძლებელია სტალინი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ისრაელი მომავალში სოციალისტური სახელმწიფო და საბჭოთა კავშირის მოკავშირე გახდებოდა.

მაგრამ, როდესაც ასე არ გამოვიდა და ინიციატივა შეერთებული შტატების ხელში გადავიდა, სტალინმა მკვეთრად შეცვალა თავისი პოლიტიკა, აქტიურად დაუჭირა მხარი არაბულ ქვეყნებს და გაწყვიტა ურთიერთობა ისრაელთან. მას სურდა არაბული ქვეყნების დაპირისპირება შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სტალინურ ეპოქას, ბრძოლას კოსმოპოლიტიზმთან, რომელიც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაულ ინტელიგენციას დასწამეს. სტალინური პერიოდის ანტისემიტური პოლიტიკა მის შემდეგაც დარჩა, მაგრამ ანტისემიტიზმის ისეთ ოდიოზურ ფორმაზე, როგორიც ებრაელი ექიმების საქმე იყო, უარი თქვეს.

მასწავლებელი შეიძლება მოსწავლეების აზრითაც დაინტერესდეს, ჰკითხოს, რას ფიქრობენ ამ საკითხზე, დაუმატონ საკუთარი მოსაზრებები, სხვაგვარად ახსნან საბჭოთა კავშირის პოზიცია (მათ ხომ უკვე გავლილი აქვთ საბჭოთა კავშირის შესაბამისი პერიოდის ისტორია).

ამ საკითხების გარკვევის შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამს არაბული ქვეყნების რეაქციას ისრაელის სახელმწიფოს შექმნაზე და აღნიშნავს, რომ ეს იყო ეგვიპტის, სირიის, იორდანიის, ერაყისა და ლიბანის აგრესია ისრაელის წინააღმდეგ, ე. წ. პალესტინის ომი (1948-1949), რომლის შედეგად წარმოიშვა დღემდე გადაუჭრელი პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა. აქ მასწავლებელს შეუძლია პარალელების გავლება ქართველ დევნილებთან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ამ ორი პრობლემის შედარება და იმის აღნიშვნა, რომ მათი გადაჭრის გზები განსხვავებულია. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს იფიქრონ ამ პრობლემებზე და შემდეგ გაკვეთილზე განიხილონ, შეადარონ პალესტინელი და ქართველი ლტოლვილების მდგომარეობა, მოძებნონ ამ რთული პრობლემების გადაჭრის გზები (XI კლასში ისინი პარალელურად საქართველოს ისტორიის შესაბამის პერიოდს სწავლობენ). თუმცა მსგავსი საკითხების განხილვამდე მოსწავლეებმა მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტისა და ისრაელის სახელმწიფოს ისტორია უნდა ისწავლონ.

პალესტინის ომში ისრაელის გამარჯვებამ გამოავლინა არაბების სისუსტე, მათი გათიშულობა და, საპირისპიროდ, ებრაელების ერთიანობა და მათი სახელმწიფო ძლიერების ზრდა, რომელიც დასავლური ნიმუშის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით, თუმცა სამხედრო წარმოების უპირატესობით, რასაც ისრაელის სპეციფიური მდგომარეობა განაპირობებდა. ის ხომ ცხოვრობდა ომიდან ომამდე, მტრულად განწყობილი მეზობლების გარემოცვაში.

ისრაელ-არაბების მეორე ომის, 1956 წლის ე. წ. სინას კამპანიის ან სუეცის კრიზისის ახსნისას მასწავლებელმა შეიძლება გაახსენოს მოსწავლეებს სუეცის არხის მოკლე ისტორია. ის ხაზს უსვამს ომის მიზეზებს და ნათელს ხდის ისრაელის უპირატესობას. ომმა ბოლო მოუღო ამ რეგიონში ევროპის სახელმწიფოების ჰეგემონობის პრეტენზიებს. შეერთებული შტატები გახდა ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც გამოხატავდა დასავლეთის ინტერესებს მახლობელ აღმოსავლეთში.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარების შეჭრამ ეგვიპტის ტერიტორიაზე აიძულა ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი მოხვედრილიყო ნიკიტა ხრუშჩოვის ხელში, რაც გარედან სამხედრო დახმარების მიღების ერთადერთი საშუალება იყო. ამავე დროს, ამანვე საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს მოეპოვებინა პროპაგანდისტული ქულები დასავლეთის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის სწრაფმა რეაგირებამ შეუქმნა მისი, როგორც არაბული სამყაროს მეგობრის იმიჯი. თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელების განცხადება ატომური იარაღის გამოყენების შესახებ არავინ აღიქვა სერიოზულად, მით უმეტეს, რომ იმავე პერიოდში გაერომ დაგმო საბჭოთა კავშირი უნგრეთში ანტიკომუნისტური აჯანყების სისხლში ჩახშობის გამო (იხ. გაეროს რეზოლუცია, გვ. 197). საბჭოთა პერიოდის ყველა სახელმძღვანელოში კი ომის შეწყვეტის მთავარ მიზეზად დასახელებულია სწორედ საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

მახლობელი აღმოსავლეთის ომებზე საუბრისას მასწავლებელი აქტიურად იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ რუქებს. მოსწავლეები მასთან ერთად სწავლობენ ამ რუქებს („ისრაელი და მისი მეზობლები 1948-1949 წწ. და 1956 წ. ომების დროს“ (გვ. 201) და არკვევენ მათ შედეგებს.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას 1964 წელს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შექმნასაც, უნდა ითქვას მის თავმჯდომარეზე იასირ არაფატზეც, რომლის პორტრეტი სახელმძღვანელოში არის.

„ისრაელი და მისი მეზობლები 1967 წლის ექვსდღიანი ომის დროს" და „ისრაელი და მისი მეზობლები 1974-1982 წ.წ." რუქების (გვ. 201) გამოყენებით მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ამ წლების ომებსა და მათ შედეგებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ის აქცევს კემბ-დევიდის მოლაპარაკებას და 1979 წლის საზავო ხელშეკრულებას. ხაზგასასმელია, რომ სწორედ სამშვიდობო პროცესის დაწყების შემდეგ შეილახა საბჭოთა კავშირის პრესტიჟი მახლობელ აღმოსავლეთში. სამშვიდობო მოლაპარაკების ინიციატორი და ხელშეკრულების გარანტი შეერთებული შტატები იყო. საბჭოთა კავშირი კი ამ პროცესიდან განზე დარჩა. მის პროტესტს არავინ მიაქცია ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში ამბები 90-იანი წლების დასაწყისამდეა მოთხრობილი, სასურველია, რომ მასწავლებელმა თხრობა დღევანდელ დღემდე მიიყვანოს და ხაზი გაუსვას, რომ სამშვიდობო პროცესი გარდამავალი წარმატებით წლების მანძილზე გრძელდება, თუმცა მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა, პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ვერა და ვერ მოხერხდა.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არსებული ახალი მონაცემების გამოყენებას და მახლობელი აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრის გზების თანამედროვე მეთოდების შეფასებას.

ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ისრაელის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, ხაზს უსვამს, რომ ისრაელი პარლამენტური რესპუბლიკაა. ოფიციალური რელიგია იქ არ არის. სახელმწიფო ენებია ივრითი და არაბული. პარლამენტს უწოდებენ ქნესეთს. ქვეყანა მრავალპარტიულია, მაგრამ გამოიყოფა ორი მთავარი პოლიტიკური ძალა: თავისი ხასიათით სოციალ-დემოკრატიული შრომის პარტია „მაარახის" ბლოკში და მემარჯვენე ხერუთის პარტია ბლოკში — „ლიქუდი". სწორედ ეს ორი ძალა რიგრიგობით მართავს ისრაელში.

მასწავლებელი ახსენებს ქვეყნის პირველი პრემიერ-მინისტრის დავით ბენ გურიონის სახელს და ხაზს უსვამს, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრების უმრავლესობა რუსეთში იყო დაბადებული,

ზოგიერთის ფესვები კი (მაგალითად, შარონის) საქართველოშიც არის. ისრაელის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიზეზია იმიგრაცია. ემიგრანტებმა თან ჩამოიტანეს არა მარტო ცოდნა, შრომითი ჩვევები, არამედ კაპიტალიც. დიდ დახმარებას უწევდნენ მას დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების ებრაული დიასპორები. მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბ-ლიკიდან 1952-1965 წლებში ისრაელმა მიიღო 3,5 მილიარდი მარკა, ფაშისტების მმართველობის დროს ებრაელების გენოციდის საკომპენსაციოდ. შეერთებული შტატები კი ისრაელს ბევრად უფრო დიდ დახმარებას უწევდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას. ასე რომ, 90-იანი წლებისათვის ისრაელი წარმოადგენდა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანას. აქვე მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს იმასაც, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოების დონეზე, რომ ჩვენი ყოფილი თანამოქალაქენი არ კარგავენ კავშირს საქართველოსთან, რომ ზოგიერთი მათგანი აქტიურ როლს თამაშობს ისრაელის ცხოვრებაში და ა. შ.

გაკვეთილის ახსნისას მასწავლებელი აქტიურად იყენებს არა მარტო რუკას, არამედ დაფასაც, სადაც წერს ყველა თარიღსა და საკუთარ სახელს.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კითხვებს „ღია პასუხებით", რომელზეც ყოველ მასწავლებელს და მოსწავლეს იმ პასუხის გაცემის უფლება აქვს, რომელიც საჭიროდ მიაჩნია. ჩვენი ამოცანაა, არ მივცეთ მოსწავლეებს მზამზარეული პასუხები, ვაიძულოთ ისინი იაზროვნონ დამოუკიდებლად. იმისათვის, რომ გავუადვილოთ ეს ამოცანა, დასავლური მაგალითისაგან განსხვავებით, სადაც სახელმძღვა-ნელოებში მინიმალური შინაარსია მოცემული, ჩვენ ბოლომდე უარი არ ვთქვით საბჭოთა პერიოდის ისტორიული განათლების სისტემაზე და შევთავაზეთ გადასინჯული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლო-გიისაგან, ფორმაციული განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიებისაგან და ა. შ. განთავისუფლებული, ობიექტური, შედარებით სრული მასალა, რომლის საფუძველზეც მოსწავლეს ეძლევა საკუთარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს სწავლების თანამედროვე, მათ შორის, ინტერაქტიური მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეძმარიაშვილი ე. ისრაელი და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტი. სახელმძღვანელოში: ნ. კილურაძე, ე. მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია. 1945-1991 წწ. სახელმძღვანელო XI კლასისათვის, თბილისი, გამომცემლობა „კონა“, 2000, გვ. 196-201.
2. მეძმარიაშვილი ე. ისრაელი და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტი. სახელმძღვანელოში: გ. ბოლოთაშვილი, ნ. კილურაძე, ე. მეძმარიაშვილი. უახლესი ისტორია. 1918-1991 წწ. სახელმძღვანელო IX კლასისათვის, თბილისი, გამომცემლობა „კონა“, 2000, გვ. 157-161.
3. „უახლესი ისტორია. 1939-1986“. X კლასის სახელმძღვანელო. ვ. ფურაევის რედ. თბ., 1988.
4. Вяземский Е. Е., Стрелова О. Ю. Как сегодня преподавать историю в школе. М., 1999.
5. Вяземский Е. Е., Стрелова О. Ю. Методика преподавания истории в школе. М., 1999
6. Короткова М. В. Противоречивые проблемы современного преподавания истории: взгляд методиста. "Преподавание истории в школе", М., 1997, N1
7. Мейтлэнд С. Совет Европы и историческое образование, "Преподавание истории в школе", М., 1995, N7.
8. Современные подходы в преподавании истории, Материалы международного семинара. СПб., 1996
9. Ann Low-Beer. The Council of Europe and School History. Strasbourg, 1997.
10. The preparation and publication of new history textbooks for schools in European countries in democratic transition. Report by Dr. Robert Stradling. Council for cultural cooperation. Warsaw, Poland, 14-16 November 1996; The Gaelic College, University of the Highlands and Islands, Isle of Skye. Strasbourg, 1997.

Елена Медзмариашвили

ПРЕПОДАВАНИЕ ИСТОРИИ ИЗРАИЛЯ И БЛИЖНЕВОСТОЧНОГО КОНФЛИКТА В ГРУЗИНСКОЙ СРЕДНЕЙ ШКОЛЕ

Резюме

В статье рассматривается проблема преподавания данных вопросов в современной грузинской школе на основе учебника по новейшей истории для XI класса (авторы Н. Кигурадзе и Е. Медзмариашвили), в котором одна глава посвящена этой теме.

Автор объясняет причины интереса в Грузии как к истории Израиля, так и ближневосточного конфликта. В статье дается методика преподавания данных вопросов. При этом автор учитывает не только новое содержание и цели исторического образования вообще, но и общечеловеческие и национальные приоритеты и ценности.

В статье поставлены вопросы, на которые учитель должен ответить максимально объективно, кроме того, дать возможность ученикам самим поразмыслить над наиболее актуальными проблемами (например, проблемой палестинских беженцев), провести параллели с проблемами Грузии (грузинские беженцы), найти разницу, предложить пути решения. Таким образом, в статье предложен интерактивный урок на данную тему, который может максимально активизировать независимое мышление учащихся.

В статье подчеркивается, что учитель особое внимание должен уделить всесторонним отношениям Израиля с Грузией не только на государственном, официальном, но и на личностном уровне.

Соответствующая глава, дополнительный материал, иллюстрации, карты, "открытые" вопросы в новом грузинском учебнике дают возможность ученику делать собственные заключения.

ნიკა ხიდურელი

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტი

ჯონ მაინორდ კეინზის იდეები და მათი მნიშვნელობა

1929-1933 წლებში თითქმის მთელი კაპიტალისტური სამყარო ღრმა კრიზისმა მოიცვა. წარმოების მოცულობა კატასტროფულად შემცირდა, ამან კი მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია. დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის მაჩვენებელი 20%-ზე ქვემოთ არ ჩამოდიოდა, ხოლო გერმანიაში – 25%-ზე ზემოთაც კი ადიოდა.

ეკონომისტები არ იყვნენ ერთიანნი ამ კრიზისის მიზეზებისა და კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებაში. ერთნი ახსნას ეძებდნენ ჭარბ მოთხოვნაში, მეორენი, პირიქით, იმაში, რომ მოთხოვნა არნახულად დავარდა, მესამენი – კაპიტალდაბანდებების შემცირებაში, მეოთხენი კი – საბანკო რეგულირების სისტემის შეცდომებში.

მმართველი წრეები, ბიზნესმენები, სპეციალისტები ეკონომიკის ხანგრძლივი კრიზისიდან გამოყვანის გზებს ეძებდნენ.

სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა ჯონ მაინორდ კეინზის წიგნი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის საერთო თეორია“ (1938; წ.). თავის ნაშრომში კეინზი თეორიულ ბაზას უქმნიდა იმ რეკომენდაციებს, რომლებიც გულისხმობდა უმუშევრობის შემცირებისათვის საზოგადოებრივი სამუშაოების წარმართვას, დასაქმების სფეროში სახელმწიფოს ზემოქმედების გაძლიერებას, მოთხოვნის სტიმულირებას, ანუ იმას, რაც გახდა ამერიკის უდიდესი პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის პოლიტიკის, მისი „ახალი კურსის“ საფუძველი.

ჯონ მაინორდ კეინზი იყო კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ფინანსებისა და ფულადი მიმოქცევის სფეროში წამყვანი სპეციალისტი, ხაზინის მრჩეველი, ინგლისის ბანკის ერთ-ერთი დირექტორი, ჟურნალ „ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი, სამეფო საზოგადოების აქტიური მოღვაწე და მრავალი სხვა. როგორც მასზე წერს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. მიდი, „კეინზი არ იყო მხოლოდ ეკონომისტი, რომელიც წერდა მემუარებს... ის იყო პიროვნება, რომელსაც სჯეროდა სამართლიანი, ლიბერალური და ეფექტური საერთაშორისო

ეკონომიკური წყობისა, რომელიც დაეფუძნებოდა ისეთ პირობებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა შემდგომ აყვავებასა და ექსპანსიას"[1].

კეინზის იდეები ჰაერიდან არ წარმოშობილა. რასაკვირველია, კეინზს ჰყავდა წინამორბედები. მათი გამორჩევა შეიძლება მაკროეკონომიკური ანალიზით და შემდეგი კრიტერიუმებით: სრული დასაქმების არარსებობის აღიარება; ინტერვენციონისტული დოქტრინები; რეალურ და ფულად მოვლენებს შორის არსებული დისატომიის აღიარება.

კეინზის აზრით, მსოფლიოში არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკა[2]. სწორედ ამიტომ მისი თეორია არ შეიძლებოდა საბაზრო ეკონომიკის პოსტულატების შესაბამისი ყოფილიყო. კეინზის მთავარი მიზანი იყო დაემტკიცებინა თავისი თეორიის რეალურ სამყაროსთან სიახლოვე და ამის გამო მის თეორიას უნდა შეეცვალა იმ ცოდნის ძირითადი ნაწილი, რომელიც რეალობას არ შეესაბამებოდა. ამერიკელი მეცნიერის ჯ. უილიამსონის აზრით, კეინზი იყო მთავარი არქიტექტორი იმ ეკონომიკური წყობისა, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა და რომლის შემდეგაც 1950-1970-იან წლებში „ეკონომიკური ბუმი" მოხდა[3].

კეინზი არ ეთანხმებოდა იმ ეკონომისტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ადრე თუ გვიან ბაზარი თვითონ დაარეგულირებდა თავის თავს. ეკონომისტების ასეთ დამოკიდებულებას ბაზრისადმი ის ადარებდა ოკეანეს, რომელიც „შტორმის დამთავრებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ ისევ მშვიდი იქნება"-ო[4]. მაგრამ „შტორმი" ხომ მთელ ეკონომიკას დაანგრევს, ეკონომიკის ნგრევას კი უმუშევრობა და, აქედან გამომდინარე, სილატაკე, შიმშილი და სხვ. არაერთი უბედურება მოსდევს.

კეინზის კონცეფციის ძირითადი არსი არის ეფექტიანი მოთხოვნის თეორია. ამ თეორიის არსი კი, თავის მხრივ, იყო საერთო მსყიდველო-

---

1 Meade J. Memorries of Maynord Keynes. In: D. Worswick and J. Trevithick (eds). Keynes and the Modern World. Cambridge, Cambridge Iniversity Press, 1984, p. 130.

2 Keynes J. M. The Collected Writings: The Economic Consequences of the Peace. London, Macmillan, 1971, p. 95.

3 Williamson J. Keynes and the International Economic Order. In: D. Warswich and Trevithich (eds), op. cit., p. 87.

4 Keynes J. M., Op. Cit., p. 65.

ბითუნარიანობის გაზრდისა და, სტიმულირების მეშვეობით, წარმოებისა და მიწოდების გაფართოება.

კეინზამდე მსოფლიოში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც მთავარი როლი მინიჭებული ჰქონდა დანაზოგებს, რომლებიც თავისთავად გამოიწვევდა ინვესტიციებს. კეინზმა თავისი ეფექტიანი მოთხოვნის თეორიით უარყო ეს შეხედულებები. მან გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ინვესტიციებს. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფომ ინვესტიციებზე უნდა იმოქმედოს საპროცენტო (სესხის, საბანკო) განაკვეთის რეგულირების, ან საზოგადოებრივ სამუშაოებში და სხვა სფეროში ინვესტიციების განხორციელების გზით.

კეინზმა გააკრიტიკა, აგრეთვე, ფართოდ აღიარებული სეის კანონი. ჟ.ბ.სეი მიიჩნევდა, რომ საქონელზე შესაბამისი მოთხოვნის უზრუნველყოფის შემდეგ წარმოება აყალბებს შემოსავლებს და გამორიცხავს საქონლისა და მომსახურების საერთო ჭარბწარმოებას. დარღვევები შესაძლებელია ცალკეულ საქონელსა და საქონლის ჯგუფებში მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ფაქტორების გამო. ეს პოზიცია გამომდინარეობდა არა ფულადი, არამედ ნატურალური გაცვლიდან. მაგრამ რეალურ ეკონომიკურ პრაქტიკას არაფერი საერთო არა აქვს „რობინზონ კრუზოს გაცვლისგარეშე ეკონომიკასთან" — წერს კეინზი[5].

ის მივიდა დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი წარმოებისა და დასაქმების მოცულობა და მათი დინამიკა განისაზღვრება არა მიწოდების, არამედ გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფაქტორებით.

კეინზმა ჩამოაყალიბა გადახდისუნარიანი მოთხოვნის და, შესაბამისად, საზოგადოებრივი წარმოებისა და დასაქმების მოცულობის გაზრდის საშუალებები. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა „მულტიპლიკატორი" (ლათინურად „სიმრავლე"). ის ამრავლებს, აძლიერებს მოთხოვნას შემოსავლის ზრდაზე ინვესტიციების ზემოქმედების შედეგად.

[illegible] აგრეთვე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფასის აწევის შედეგად, შემცირებული მოთხოვნის გასაზრდელად და თაროებზე დარჩენილი საქონლის გასასაღებლად მეწარმე იძულებული იყო შეემცირებინა ფასი, რომელიც, ორივე მხარეს, — მიმწოდებელსაც და მომხმარებელსაც, — დააკმაყოფილებდა.

---

5 Keynes J. M., Op. Cit., p. 105.

კეინზმა უარყო შეხედულება, რომ მხოლოდ ფასების შემცირება იყო ის საშუალება, რომლითაც მეწარმეს შეეძლო თავისი ჩაწოლილი ნაწარმის გასაღება. მან მიუთითა იმას, რომ მეწარმეს წარმოების მოცულობის შემცირებითაც შეუძლია გაასაღოს მთელი თავისი ნაწარმი და მიიღოს იგივე მოგება[6]. წარმოების მოცულობის შემცირება კი ნიშნავს უმუშევართა რიცხვის გაზრდას.

ასე რომ, კეინზმა დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას ეკონომიკურ თეორიაში. ამ მიმართულების ცნობილი წარმომადგენლები არიან: ე. დომარი, რ. ჰაროდი, ვ. სანსენი, დ. მიდი (1970 წ. ნობელის პრემია), ჯ. ტობინი (1981 წ. ნობელის პრემია), ფ. მოდელიანი (1985 წ. ნობელის პრემია), ა. ბარერი, უ. დენიზე, ლ. კლეინი (1980 წ. ნობელის პრემია), ნ. კალდორი, თ. ჰალოგი და სხვ.

კეინზიანელობა წარმოადგენს არა მხოლოდ უბრალოდ კეინზის ნაშრომების აღიარებას, არამედ ეს არის იმ ადამიანთა პოლიტიკური ალიანსი, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოს ჩარევას ქვეყნის ეკონომიკაში[7]. უილიამსონის ამ მოსაზრებას სავსებით ვეთანხმები.

კეინზიანელთა მიზანია — ეკონომიკური სამყაროს მობილიზება და ეკონომიკის დეპარტამენტების ყურადღების საბაზრო ეკონომიკიდან კეინზიანური ეკონომიკური კლევების პროგრამებისაკენ გადანაცვლება.

კეინზიანური რევოლუცია წარმოადგენს სერიოზულ ცვლილებას და ცდას, განდევნოს საბაზრო ეკონომისტები როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სამყაროდან.

როგორც ინგლისელი ეკონომისტი სკიდელსკაი წერს თავის ნაშრომში — „კეინზიანური ერის დასასრული", კეინზმა უზრუნველყო პოლიტიკოსები „ფილოსოფიური ქვის" ექვივალენტით... კეინზი იმსახურებს იმას, რომ მისი სახელი დაერქვას ერას, რომელმაც დასავლეთის ხალხებს „ცივილიზირების შესაძლებლობა" მისცა[8].

მიუხედავად იმისა, რომ კეინზის იდეები გენიალურია, ვფიქრობ, მათ მინუსიც აქვს. ისინი არ არის უნივერსალური. კეინზის იდეების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დიდ და მდიდარ ქვეყნებში,

---

6 Op. Cit., p.

7 Mullard Maurice. Understading Economic Policy. London and New York, 1992, p. 95.

8 Skidelsky A. The End of the Keinsian Era. London, Macmillan, 1977, p. 1.

რომლებსაც ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდება შეუძლიათ. ეს კი, სამწუხაროდ, საქართველოსათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია.

ბიბლიოგრაფია:

1. „ამერიკის ეკონომიკა. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა". შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის რეგიონალური ბიურო, ვენა, 1999.
2. ვეშაპიძე შ. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1998.
3. „ეკონომიკური თეორია". სახელმძღვანელო. მთ. რედაქტორები: გ. ადეიშვილი და რ. ასათიანი, თბ., 1998.
4. Альбертини В. Понимать экономические теории. Москва, 1996.
5. Бартенев С. А. Экономические теории и школы (История и современность). Москва, 1996.
6. "История экономических учений" Под общей редакцией Ф. В. Боровика, М. В. Научителя, И. М. Лемещевского, Минск, 1984.
7. Keynes J. M. The Collected Writings: The Economic Consequences of the Peace. London, Macmillan, 1971.
8. Meade J. Memories of Maynard Keynes. In: D. Worsuich and J. Trevithick (eds). Keynes and the Modern World. Cambridge, Cambridge University Press, 1984.
9. Skidelsky A. The End of the Keynesian Era. London, Makmillan, 1997.
10. Williamson J. Keynes and the International Economic Order. In: D. Worsuich and J. Trevithick (eds). Keynes and the Modern World. Cambridge, Cambridge University Press, 1984.
11. "The Reader`s Companion to American History". Ed. By Eric Foner and John A. Garraty, Boston, 1991.
12. Mullard Maurice. Understanding Economic Policy. London and New York, 1992.

Ника Хидурели

Студент экономического факультета ТГУ

ИДЕИ ДЖОНА МАЙНОРДА КЕЙНЗИ И ИХ ЗНАЧЕНИЕ

Резюме

В статье рассматриваются основные идеи главного идеолога Нового курса Франклина Делано Рузвельта известного британского экономиста Джона Майнорда Кейнзи. Подчёркнуто, что Кейнзи, кроме конкретных рекомендаций, на которых был основан Новый курс Рузвельта, предоставил всем политикам теоретически обоснованные пути воздействия и контроля над экономическим положением. По мнению автора, это значительно ослабило позиции господствовавшей в то время неоклассической школы, представители которой категорически отрицали вмешательство государства в экономику.

Автор статьи считает, что несмотря на гениальность идей Кейнзи, они имеют один большой минус – они не универсальны. Их можно использовать лишь в больших и богатых странах, которые могут вложить крупные инвестиции в свою экономику и не бояться денежной эмиссии, чего не может себе позволить Грузия.

რუსუდან დაუშვილი

სტამბულის პოლიტიკური კომისია

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ლტოლვილთა დიდი ნაკადი სტამბულს მიაწყდა, სადაც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული არსებობდა ქართული უბანი და დიასპორა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფერი-კვეის რაიონში პეტრე ხარისჭირაშვილის მცდელობით აშენდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერი — ღვთისმშობლის უმანკო ჩასახების მამათა ლავრა. მონასტერთან გაიხსნა ქართული სკოლა და ამუშავდა სტამბა, რომელიც საეკლესიო წიგნებითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით ამარაგებდა არა მარტო სკოლას, არამედ საქართველოში არსებულ საბალხო სკოლებსაც. მონასტერში აღიზარდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველები, როგორებიც იყვნენ: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, რაფიელ ინგილო-ივანიკკი, შალვა ვარდიძე, მიხეილ თარხნიშვილი და სხვები.

მონასტერი მალე გახდა ქართული კულტურის ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ არა მარტო კათოლიკე, არამედ მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველებიც. ამიტომ, საქართველოს მთავრობა სტამბულში ჩავიდა, მონასტერმა ფართოდ გაუღო კარი ლტოლვილებს და თავშესაფარიც მისცა მათ. დამოუკიდებელი საქართველოს მხედართმთავარი გიორგი კვინიტაძე თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ ლტოლვილი მამაკაცები მონასტრის სენაკებში დააბინავეს, მათი ოჯახები — საკონსულოში (1). საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დახმარებით სტამბულელმა ქართველებმა ლტოლვილთა მისაღებად და დასაბინავებლად შექმნეს კომიტეტი გენერალ ზ. მდივნის, ი. კემულარიას, ძნელაძისა და სხვათა შემადგენლობით.

ოსმალეთში ამ დროს განსაკუთრებული ვითარება იყო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების და მუდროსის უმძიმეს დაზავებაზე ხელმოწერის შემდეგ, ანტანტის ქვეყნებმა სამხედრო ფლოტი შეიყვანეს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. ყველა საქმეს განაგებდნენ სტამბულში დანიშნული ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის უმაღლესი კომისრები. სულთანი მეჰმედ VI ვაჰიდედდინი, ფაქტიურად მარიონეტად იქცა. ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და საბერძნეთმა ოსმალეთის რიგი ოლქების ოკუპაციის შემდეგ, ხელთ იგდეს ყველა

სასიცოცხლო ცენტრი. ომით გაჩანაგებულ, ეკონომიკურად გამოფიტულ და ოკუპირებულ ოსმალეთში განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც დასავლეთ ანატოლიაში დაიწყო, სათავეში ჩაუდგა გენერალი მუსტაფა ქემალ-ფაშა ათათურქი. 1919 წ. ბოლოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ქემალისტებმა შეიმუშავეს „ეროვნული აღთქმა", რის საპასუხოდაც 1920 წ. 16 მარტს ინგლისელებმა სტამბული დაიკავეს, პარლამენტი გარეკეს, ძალაუფლება კი ინგლისის სარდლობის ხელში გადავიდა. იმავე დღეს, ქემალისტებთან დადებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ქართული და სომხური მიწები.

1920 წ. 23 თებერვალს ანკარაში შეიკრიბა ახალი პარლამენტი, მეჯლისი მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით, რომელმაც 3 მაისს სულთანის ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადა. 10 აგვისტოს ანტანტის ქვეყნებმა სულთანს ხელი მოაწერინეს სევრის კაბალურ ხელშეკრულებაზე, რასაც საერთო-სახალხო წინააღმდეგობა მოჰყვა. 1921 წ. 10 იანვარს, სოფელ ინენიუსთან, თურქებმა დაამარცხეს საბერძნეთის არმია და დაიწყეს ანატოლიიდან ოკუპანტების განდევნა. ასეთი ვითარება დახვდა საქართველოს მთავრობას, როდესაც 1921 წ. 21 მარტს იტალიურმა გემმა „კირალმა" სტამბულის ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა, მაგრამ აღარ დაელოდა ფრანგული გემების „ვესტას" და „მარიას" ჩამოსვლას, რომლებზეც დანარჩენი ლტოლვილები იმყოფებოდნენ. 28 მარტს მანვე შექმნა ორი კომისია — ლტოლვილთა და სამთავრობო და საფრანგეთს გაემგზავრა. მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნულ კონსტანტინე გვარჯალაძეს დაევალა უცხოეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, რათა მათი საშუალებით ხმა მიეწვდინათ მათივე ქვეყნების მთავრობებისადმი. ინგლისის გარდა, რომელმაც 1921 წ. 16 მარტს სავაჭრო ხელშეკრულება დადო რუსეთთან, სტამბულში აკრედიტებული ყველა ქვეყნის წარმომადგენელი დიდი გულისხმიერებით ეპყრობოდა საქართველოს გასაჭირს, განსაკუთრებით კი იაპონიისა, რომელსაც დიდი მეტოქეობა ჰქონდა რუსეთთან შორეულ აღმოსავლეთში. იმდენად, რომ მას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობების მოგვარებაშიც კი ეხმარებოდა (2).

ლტოლვილთა კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა თბილისის ყოფილი ქალაქისთავი ბენია ჩხიკვიშვილი. კომისიას უნდა ეზრუნა ლტოლვილთა მიღებასა და დაბინავებაზე, ამიტომ მას შეუერთდა

გენერალ მდივნის კომისია. ლტოლვილთა ბანაკის კომენდანტად დანიშნეს გენერალი ჩხეიძე. საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ძნელი აღმოჩნდა ლტოლვილთათვის სამუშაოს შოვნა. მით უმეტეს, რომ მათ შორის ცოტანი იყვნენ მუშები. ლტოლვილებს დიდი დახმარება აღმოუჩინა ამერიკულმა კომიტეტმა. მიუხედავად სირთულეებისა და მძიმე პირობებისა, პანიკას და დეპრესიას ადგილი არ ჰქონია. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ლტოლვილობა დროებითი იყო.

ლტოლვილთა ერთმა ნაწილმა სტამბულში ქართული კლუბიც კი ჩამოაყალიბა, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ: გვარდიის შტაბის ყოფილი წევრი დათა მაჭავარიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი მგალობლიშვილი, გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი, პოლკოვნიკები – დავით ვაჩნაძე, ალეკო მაღალაშვილი, კანდელაკი და კაპიტანი ვაჩნაძე. როგორც გ. კვინიტაძე შენიშნავდა: „ქართული კლუბი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თბილისის გარემოს დაუბრუნდებოდი და დაისვენებდი; იქ შეიძლებოდა თითქმის ყველა ჩვენიანის ნახვა, თუმცა ბობოლები იქ არ დადიოდნენ" (1). კლუბი არსებობდა წლის ბოლომდე, სანამ ლტოლვილები არ გაიყვანეს სტამბულიდან. 26 მაისს მთავრობამ აღნიშნა დამოუკიდებლობის დღე. დილით წირვა ჩატარდა მონასტერში, შემდეგ დამსწრეებს შესთავაზეს ჭიქა ღვინო. ქართულ კლუბში გაიმართა სადილი.

ქემალისტები თანდათან მიიწევდნენ სტამბულისაკენ. 1922 წ. 18 სექტემბერს კი, რუსეთის სამხედრო მრჩევლების დახმარებით მომზადებული ჯარით, თურქებმა განდევნეს ანტანტის წარმომადგენლები. 1922 წ. ნოემბერში ლოზანის საზავო კონფერენციამ აღიარა ოსმალეთის საზღვრები, რომელშიც თურქულის გარდა მოექცა ქაროული და სომხური მიწებიც. ბუნებრივია, ბრძოლის არენად ქცეულ სტამბულში ლტოლვილებს აღარ დაედგომებოდათ, ამიტომ საქართველოს საელჩომ, ერთა ლიგისა და ამერიკული კომიტეტის საშუალებით, რომელმაც გაიღო ლტოლვილთა ევაკუაციის ხარჯების ნაწილი, 1921 წ. ბოლოს დაიწყო მათი გადაყვანა ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. სამხედრო პირთა საკითხიც მოგვარდა. 20 იუნკერი ათენის სამხედრო სკოლამ მიიღო, 25 იუნკერი და 40 ოფიცერი ოჯახებით – პოლონეთმა, რომელთა გაყვანაც, ასევე, ამერიკულმა კომიტეტმა ითავა. ამგვარად გადაწყდა ლტოლვილთა საკითხი.

სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელად დანიშნული ყოფილი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი განაგებდა მთავრობის გატანილ ქონებას და მეთვალყურეობას უწევდა ლტოლვილთა კომისიას. სამთავრობო კომისიაში შედიოდნენ: ვაჭრობისა და მომარაგების ყოფილი მინისტრი გიორგი ერაძე, აგრეთვე, პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, მათი ევროპაში წასვლის შემდეგ — კონსული იოსებ გოგოლაშვილი. პირველსავე დღეებში იმდენი ხალხი მიაწყდათ, იძულებული გახდნენ კომისია საკონსულოდან გაეტანათ და სამი პატარა ოთახი დაექირავებინათ. ერთში მოათავსეს კანცელარია, მეორეში — საგამომძიებლო კომისია, მესამეში — მისაღები და კომისიის წევრების სამუშაო ოთახი (2). კერძო თუ სამთავრობო ქონების ლიკვიდაცია რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამდენად, ამ კომისიის მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა.

შეიქმნა კიდევ ერთი „სტამბულის პოლიტიკური კომისია“ — ყოფილი მიწათმოქმედებისა და იუსტიციის მინისტრების ნოე ხომერიკისა და რაჟდენ არსენიძის ხელმძღვანელობით. მასში შედიოდნენ: ელჩი სიმონ მდივანი, კონსული იოსებ გოგოლაშვილი, ატაშე ვასო წულაძე და სხვები. კომისიამ ბინა დაიდო საქართველოს წარმომადგენლობაში. მისი საქმიანობა გასაიდუმლოებული იყო და, ამდენად, პრაქტიკულად უცნობი საზოგადოებისათვის. კომისიასთან შეიქმნა საინფორმაციო სამსახური დავით შარაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც უნდა დაპირისპირებოდა საბჭოთა პროპაგანდას და ფრანგულ და თურქულ გაზეთებში რეგულარულად მოეთავსებინა ინფორმაცია ოკუპირებულ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

1921 წ. 15 მაისს გამოვიდა კომისიის ბეჭდური ორგანოს „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომერი (სულ გამოვიდა 27 ნომერი, ბოლო — 1922 წ. 15 ოქტომბერს), რომლის რედაქტორიც იყო რ. არსენიძე (3). გაზეთი იბეჭდებოდა ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში. „მთავრობასთან დაარსებული პოლიტიკური კომისია, რომელიც ცდილობს შეაერთოს ყველა ჯგუფები და მიმდინარეობანი ჩვენი დამოუკიდებლობის ნიადაგზე, შეუდგა ჟურნალის გამოცემას, რომ თავისუფალი აზრი და სწორი ცნობები აუწყოს სიმართლეს მოწყურებულ საქართველოს...“,— აუწყებდა სარედაქციო წერილი მკითხველს (4).

გარდა გაზეთისა, გამოდიოდა ბიულეტენი საქართველოს ამბებით, რომლისთვისაც მასალას იღებდნენ საიდუმლო სამსახურის წყალობით.

თბილისსა და სხვა ქალაქებში სანდო პირებიდან იღებდნენ დაშიფრული წერილების, რომელთა შიფრიც ხშირად იცვლებოდა. დაშიფრული წერილები გრიფით – „სრულიად საიდუმლოთ“ და შიფრის გასაღებები მრავლად გვხვდება არქივებსა თუ პირად ფონდებში. ჰქონდათ როგორც ციფრებიანი, ასევე ტერმინოლოგიური შიფრიც. ინფორმაციის ავტორების სახელები გასაიდუმლოებული იყო. იყენებდნენ ფსევდონიმებს და მეტსახელებს. ხშირად ორი ან რამდენიმე პიროვნება ატარებდა ერთსა და იმავე დაშიფრულ სახელს. ინფორმაცია საქართველოდან მოდიოდა სტამბულში, ხდებოდა მისი გაშიფვრა და შემდეგ იგზავნებოდა პარიზში, საქართველოს მთავრობის ლეგაციაში. მასთან ერთად – საბუთების ჩამონათვალიც, რომელსაც ხელს აწერდნენ და უკანვე გზავნიდნენ. უფრო სასწრაფო საქმეებისათვის მიმართავდნენ დეპეშას, არაიშვიათად – დაშიფრულს. ინფორმაციას რეგულარულად იღებდნენ, აგრეთვე, რუსეთის არმიის შტაბიდან („ოკა“).

პარიზში, თავის მხრივ, ჩამოყალიბდა ცენტრალური საპროპაგანდო-საგიტაციო კომისია ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. წევრები იყვნენ: სიმონ მდივანი, ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე საბახტარაშვილი, ვლადიმერ ვოიტინსკი. მოგვიანებით კომისიაში შეიყვანეს: სოციალ-დემოკრატი იოსებ სალაყაია, სოციალისტ-ფედერალისტები – აკაკი პაპავა, ჯაბა ხაბულიანი, ეროვნულ-დემოკრატი – ტიტე მარგველაშვილი, უპარტიო – გიორგი წერეთელი და გიორგი კერესელიძე. სეკრეტარიატს ხელმძღვანელობდა კონსტანტინე საბახტარაშვილი, სამდივნოს – ქალბატონი ვოიტინსკი, მდივანი იყო ანტონ ჟორჟოლიანი. კომისიას მიზანად ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროპაგანდა ევროპაში. კომისია მიმართავდა ევროპის ყველა ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებს და დაჯგუფებებს სიტყვით, გამოსვლებით, პრესით და გამოცემებით. ემიგრაციაში საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე, ბოლშევიკური ოკუპაციის მხილებისა და საქართველოსთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მოგვითხრობს კ. გვარჯალაძის წიგნი „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში" (5). კომისიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სტამბულის პოლიტიკურ კომისიასთან, ამ უკანასკნელს კი – საქართველოსთან. დამაკავშირებელი იყო ექსპრესი პარიზი-სტამბოლი-პარიზი, რომლითაც კვირაში სამჯერ იცვლებოდა ინფორმაცია.

პოლიტიკურ კომისიასთან შეიქმნა სამხედრო კომისიაც, რომელიც რეგულარულად იკრიბებოდა. სხდომებს თავმჯდომარეობდა გენერალი იასონ ოდიშელიძე, მდივანი იყო გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: გენერლები — მდივანი, ყაზბეგი, ქუთათელაძე, ბაქრაძე, კონიაშვილი, პოლკოვნიკები — ვაჩნაძე, კანდელაკი, ჭავჭანიძე, გვარდიის შტაბიდან — ჯუღელი და აუშტროვი. სამხედრო კომისიის წევრებს დაეგზავნათ დამფუძნებელი კრების 31 კითხვიანი ანკეტა, რომლის საფუძველზეც უნდა დაწერილიყო მოხსენებითი ბარათი. ანკეტას ხელს აწერდნენ: რ. არსენიძე, ნ. ელიავა, ი. ჭავჭანიძე და გაბუნია. კითხვარის მიხედვით ყველას უნდა ეპასუხა, თუ რატომ დამარცხდა საქართველო, მიეთითებინათ მიზეზები, გამოეთქვათ მოსაზრება, როგორი უნდა ყოფილიყო შემდგომში სამხედრო ძალები და ა.შ. კითხვარის განხილვაში თითქმის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. გენერლების — ქუთათელაძისა და ზაქარიაძის გარდა ყველამ ჩათვალა, რომ ცალ-ცალკე უნდა მიეცათ პასუხი. საბოლოოდ, მომზადდა ორი მოხსენება. ერთობლივს ხელს აწერდა გენერალი ზაქარიაძე, მეორე შედგენილი იყო გენერალ ოდიშელიძის მიერ. ეს მოხსენებები შეტანილი აქვს გ. კვინიტაძეს თავის წიგნში (1).

სექტემბერში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს შორის დაიწყო შეხვედრები. სხდომებს ესწრებოდნენ: სოციალ-დემოკრატები — ნ. ხომერიკი, რ. არსენიძე, დ. შარაშიძე, ვ. ჯუღელი; სოციალისტ-ფედერალისტები — ლ. ჯაფარიძე, ი. გოგოლაშვილი, ნ. ჭუმბურიძე; ეროვნულ-დემოკრატები — გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, პ. სურგულაძე, გ. გვაზავა; სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი) — ი. გობეჩია და სხვები. მათ განიხილეს პარტიათა შეთანხმების საკითხი და ბათუმის ინტერპარტიული კომისიის წერილი, რომ რაც შეიძლება მალე მომხდარიყო პარტიათა შეთანხმება. 12 სექტემბრის სხდომაზე გადაწყდა ინტერპარტიული ორგანოს შექმნა, რომელიც, პარტიებთან კავშირის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად, შევიდოდა თითო კაცი ყოველი პარტიიდან. დამპყრობლების განდევნის შემდეგ შეიქმნებოდა დროებითი მმართველობა და კოალიციური მთავრობა, დამფუძნებელი კრება კი შეიკრიბებოდა საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად. შეთანხმების მიხედვით, ბოლშევიკთა ლიკვიდაციამდე პარტიები საჯაროდ არ უნდა გამოსულიყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

1921 წ. 21 დეკემბერს გაერთიანებულ კრებაზე მიღებულ იქნა პარტიათა შეთანხმების პროექტი. იქმნებოდა ეროვნული ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა საქართველოს განთავისუფლების საქმეს. მუშაობა უნდა გაშლილიყო საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, რათა მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება. ცენტრში შევიდოდა ყველა ძალა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. უნდა გაუქმებულიყო გვარდია და შექმნილიყო რეგულარული ჯარი. ქალაქებში დაინიშნებოდა დროებითი გამგეობა. მთავრობა არ მიმართავდა რეკვიზიციას. სათანადო ორგანოებთან მოლაპარაკების წარმოება დაევალა: ნ. ნიკოლაძეს, გრ. ვეშაპელს, გ. გვაზავას, პ. სურგულაძეს, ლ. ჯაფარიძეს და რ. გაბაშვილს.

1922 წ. აპრილში საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი". მასში შედიოდა: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური, გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის, „სხიველების" თითო წარმომადგენელი. „დამკომს" სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა. მას უნდა შეესრულებინა დროებითი მთავრობის ფუნქცია, ხოლო დამოუკიდებლობის, კონსტიტუციის აღდგენისა და დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ — გადამდგარიყო. მსგავსი კომიტეტი შეიქმნა საქართველოში იმავე პარტიებისგან. იგი „პარიტეტული კომიტეტის" სახელითაა ცნობილი და მისი საქმიანობის შესახებ არაერთი წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის — „ჩეკას" საიდუმლო მასალებიც (6), ამიტომ ამ საკითხზე ჩვენ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

1922 წ. ოქტომბერში სტამბულის პოლიტიკური კომისიის ხელმძღვანელი ნოე ხომერიკი საქართველოში დაბრუნდა (7). 1923 წ. თებერვალში, სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ, 19 მაისს დამკომთან დაარსდა სამხედრო კომისია — კოტე ანდრონიკაშვილის, იასონ ჯავახიშვილის, ვასო ნოდიას, გოგიტა ფაღავას, გიორგი წინამძღვრიშვილის და სოლომონ ზალდასტანიშვილის შემადგენლობით.

1923 წ. დამკომმა ერთა ლიგას მიმართა მოწოდებით, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა: „განათლებულ კაცობრიობის წარმომადგენელნო! ათხოვეთ ყური ხმას ძველი ცივილიზაციის ერისას, რომელსაც სურს დამოუკიდებელი დარჩეს. ამ ერს ფიზიკურად მოსპობის მუქარა უდგას, მისი მატერიალური და ზნეობრივი სიმდიდრე ნიავდება. მის ეროვნულ კერას დამსების

შიში მოელის. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს მტკიცედ სწამს, რომ ერთა ლიგა, სიმართლის უმაღლესი ორგანო, აიმაღლებს თავის მძლავრ ხმას რუსეთის დღევანდელი ბატონების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ" (8). ერთა ლიგაში საქართველოს გამოსარჩლება ითავა ბელგიის დელეგატმა დე ბრუკერმა. მაგრამ კრემლს მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების შესრულებით.

1923 წ. ნოემბერში დააპატიმრეს ნოე ხომერიკი, მალე „ჩეკამ" ხელთ იგდო გ. ფაღავა და გ. წინამძღვრიშვილი. 1924 წლის თებერვალში ვ. ნოდია საზღვარგარეთ გაგზავნეს მდგომარეობის გასარკვევად და ემიგრაციიდან ახალი ხალხის ჩამოსაყვანად. აპრილში მთავარსარდლად არჩეულ იქნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. მაისში საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ვ. ნოდია, მას ჩამოყვნენ ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. ჯუღელი, ვ. მგელაძე, ბ. ცენტერაძე და ციხცაბაძე. ივლისის შუა რიცხვებში დამკომმა მოიწვია გაფართოებული სხდომა, რომელსაც პარტიების წარმომადგენლების გარდა, მთავარსარდალიც დაესწრო. აჯანყების დღედ დანიშნა 17 აგვისტო. 6 აგვისტოს ვ. ჯუღელის დაპატიმრებამ აჯანყების გეგმა შეცვალა. 29 აგვისტოსთვის დანიშნული აჯანყება 24 საათით ადრე დაიწყო და იგი ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს, მძევლებად აყვანილი ნ. ხომერიკი, ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. ნოდია, გ. ფაღავა და გ. წინამძღვრიშვილი სუზდალის ციხიდან გამოითხოვეს და გზაში დახვრიტეს, ვ. ჯუღელი კი — „ჩეკას" ჯურღმულებში.

აგვისტოს აჯანყების შემდეგ, სტამბულის პოლიტიკურ კომისიას დიდხანს აღარ უარსებია, საკონსულო კი დიდხანს მოქმედებდა სტამბოლში იოსებ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით და დახმარებას უწევდა საქართველოდან ლტოლვილთა თუ პოლიტიკურ დევნილთა ახალ-ახალ ჯგუფებს.

ლიტერატურა

1. კვინიტაძე გ., მოგონებები, ტ.II, თბილისი, 1999, გვ.172, 237, 257-171
2. გვარჯალაძე კ., ანგარიში საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923
3. შარაძე გ., რაჟდენ არსენიძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ.III, თბილისი, 1993, გვ.16-30
4. სარედაქციო – „თავისუფალი საქართველო", სტამბოლი, 1921, 15 V, №1, გვ.1
5. გვარჯალაძე კ., საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936
6. კირთაძე ნ., კაენ, სად არის ძმა შენი?! წიგნი I, თბილისი 1998
7. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ.II, თბილისი, 1993, გვ.98-111
8. ზურაბიშვილი ივ., საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936, გვ.37-38

Даушвили Русудан

СТАМБУЛЬСКИЙ ПОЛИТИЧЕСКИЙ КОМИТЕТ

Резюме

Тайная организация "Стамбульский политический комитет" с целью объединения всех политических сил эмиграции и освобождения Грузии, был создан после оккупации страны в 1921 г. правительством демократической республики Грузии. Руководили комитетом бывшие министры земледелия и юстиции Ной Хомерики и Ражден Арсенидзе.

1922 г. был создан "Освободительный комитет Грузии", в который входили представители всех политических сил грузинской эмиграции. В Грузии те же партии создали "Паритетный комитет", который подготовил восстание 1924 года.

ეკა ანთია

მიხაკო წერეთელი და გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში

დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობის დაკარგვამ მრავალი ქართველი მოსწყვიტა მშობლიურ ადგილსამყოფელს და შორს, ევროპაში გადაისროლა. ქართული სული, პათოსი ბობოქრობდა მათ მიერ დაწერილსა თუ ნააზრევში.

მიხაკო წერეთელი და გრიგოლ რობაქიძე საქართველოს ღვიძლი შვილები, საქართველოს ულამაზესი კუთხის, იმერეთის წარმომადგენლები არიან. საუკუნის ორი უდიდესი ადამიანი ერთმანეთთან მეგობრობის მტკიცე ნასკვით იყვნენ დაკავშირებული. ერთი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი და, მეორე, როგორც მწერალი. ორივემ ქუთაისში მიიღო პირველადი განათლება. ორივე იძულებული იყო, დაეტოვებინა სამშობლო, მაგრამ საქართველოს სიყვარული იყო მათი მამოძრავებელი ფესვი. ორივესთვის გერმანია იქცა დროებით თავშესაფრად. მათი საფლავები გაბნეულია მიუნხენსა და ლევილში.

მიხაკო წერეთელი სიცოცხლის ბოლო სიტყვით თუ კალმით დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს ბედნიერი მერმისისათვის. მისი პუბლიკაციები ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა „Baton"-ის, „ალაროდიელის" და „სანგალას" ფსევდონიმით. 1909 წლის აგვისტოდან მ. წერეთელზე პოლიციას ფარული მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული, მაგრამ საეჭვო პუბლიკაციების ნამდვილი ავტორის დადგენა დიდხანს ვერ მოხერხდა (1,369).

ანარქისტული იდეებით მიხაკო წერეთლის გატაცება დიდხანს არ გაგრძელებულა. მისმა მსოფლმხედველობამ მალე ჩამოყალიბებული სახე მიიღო და წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დადგა, რისი ნათელი დასტურია 1910 წელს თბილისში გამოსული მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა", რომელიც მიუძღვნა თავის მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს.

ავტორი ერის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ერი სოციალური სუპერორგანიზმია... შემდგარი... მრავალგვარ ეთნიკური და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი, გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება, თავის შემადგენელ

ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებით: ენით, სარწმუნოებით, მეცნიერებით, ზნეობით, ხელოვნებით, სიმართლით და პოლიტიკით, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიით, ტიპითა და თვითშეგნებით სრული ინდივიდუალობით" (2,15).

სამშობლოს, მისდამი ერთგულ პატრიოტიზმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მ. წერეთელი: „სამშობლო ის ადგილია, სადაც ერს შეუქმნია თავისი ისტორია და სადაც იგი განსაზღვრულ მომენტში სცხოვრობს". შეიძლება ერი კიდევ არსებობდეს, მაგრამ სამშობლო დაკარგული ჰქონდეს: „სამშობლო ეს ის არსებაა, რომლის წიაღთა შინა ადამიანი მუდამ ვარჯიშობს მამულიშვილობით, საკუთარი მამულიშვილობით" (2,111).

მ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების განვითარებაზე არსებითი გავლენა მოუხდენია ექვთიმე თაყაიშვილს, რომელსაც მისთვის უსაყვედურია ანარქისტული იდეებით გატაცება და სწავლა-განათლების მიღება ურჩევია „ კაცო, შენ, რაღაც „ანარქისტულ" სტატიებს რომ სწერ, და თანაც საქართველოსთვის გინდა ყველაფერი, ამ შენი ქვეყნის რამე უნდა გაგეგებოდეს, კარგად იცოდე მისი წარსული და აწმყო, თვარა, ისე ვერც მომავალს შეუქმნით მას ვერც შენ და ვერც სხვა, ვინც ქვეყნის გაბედნიერებას გვპირდება" (3,316).

პოლიტიკურად როგორც არასაიმედო, პოლიციამ მ. წერეთელზე მეთვალყურეობა დააწესა და მალე კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებით 1910 წელს კავკასიიდან ხუთი წლით განდევნილ იქნა. საქართველოს მოწყვეტილმა ლონდონს შეაფარა თავი და სწორედ ამ პერიოდიდან შეესხა ფრთები ე. თაყაიშვილის რჩევას და მ. წერეთელმა დაიწყო ასირიოლოგიის შესწავლა. 1911 წლიდან იგი გადასახლდა ლაიპციგში და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაასრულა სწავლა 1914 წელს.

საქართველოდან დევნილი მ. წერეთელი მეუღლის დახმარებით ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, რომელსაც მოუხერხებია მიელო ნებართვა თვით მეფისნაცვლისაგან. ამას მოწმობს 1913 წლის 1 ივნისს მანჰეიმში, მ. წერეთლის სახელზე, რუსეთის კონსულის მიერ გაცემული პასპორტი და თბილისის სამისამართო ცნობა, რომ 13 ივლისს მ. წერეთელი ჩამოვიდა თბილისში და დაბინავდა სუპერ-ნიშანსკის ქუჩის №2 სახლში (4,370).

ამ დროს თბილისში აქტიურად მოქმედებდა 1910 წელს პეტრე სურგულაძის მიერ ჟენევაში დაარსებული ქართველ სეპარატისტთა

ჯგუფი, რომელიც გადაკეთდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად“, მასში მიხაკო წერეთელიც შედიოდა. თბილისში ყოფნის დროს ჰქონდა შეხვედრები ამ კომიტეტის წევრებთან და ენერგიულად მუშაობდა მათთან პირველი მსოფლიო ომის დროს.

პირველი მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის ზაფხულში. იმხანად ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ძირითად ნაწილად გაიყო: ერონი ანტანტის გამარჯვებას იმედოვნებდნენ და კვლავ რუსეთთან კავშირს ესწრაფოდნენ, მეორენი კი, რომელთა სათავეში დამოუკიდებლობის კომიტეტი იდგა, გერმანიასა და მის მომხრე ქვეყნებს თანაუგრძნობდნენ და მათი დახმარებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობდნენ.

გერმანული ორიენტაცია იმდენად ფეხმოკიდებული ყოფილა ქართულ ინტელიგენციაში, რომ პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას საქართველოში ერთგვარი აღფრთოვანებითაც შეხვედრიან (5,252-253).

მ. წერეთელმა ომის მსვლელობის პერიოდში მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა, რათა გაეცნო, თუ როგორ მიმდინარეობდა გერმანიაში დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობა. ქუთაისში მან შესძლო, შეხვედროდა ნოე ჟორდანიას, რომლის მოგონებითაც: „... გაიღო კარები და გამოჩნდა მიხაკო წერეთელი. მან ამიხსნა შეხვედრის მიზეზი. გერმანიაში დაარსებულა ქართული კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს განთავისუფლება გერმანია-ოსმალეთის დახმარებით. მე კატეგორიული უარი ვუთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე. ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ ანჯანყების მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს, ჩვენი გზა სძევს არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუციის ხაზზე და სხვა. თან დავუმატე, იმუშაონ საზღვარგარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგეს-თქვა“ (6,83-84).

ამ აზრის მატარებელი მ. წერეთელი მონაწილეობს ერთა კონფერენციაში, რომელიც 1916 წლის 27 ივნისს გაიხსნა ლოზანის ერთ-ერთ საუკეთესო მონტბენონის კაზინოს დარბაზში. საქართველოს აქ წარმოადგენდნენ მიხაკო წერეთელი და კონსტანტინე გამსახურდია.

კონფერენციაზე მწვავე მსჯელობის საგნად იქცა ირლანდიის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, კავკასიის და სხვა საკითხები. კონფერენციაზე ერცელი სიტყვა წარმოთქვა მიხაკო წერეთელმა. კ. გამსახურდიას მოწმობით, „მიხაკო წერეთლის დასაბუთებულსა და დიდის ნიჭითა და უნარით დაწერილ დეკლარაციას თითქმის ყოველი ერის წარმომადგენელი ტაშით

მიეგება. თვით ეგვიპტიდან მოსულ ფერადკანიან ერების წარმომადგენელთაც შეისმინეს უფლებააყრილი უმართებულოდ შეურაცხყოფილი ერის საჩივარი და გულისტკივილი" (7,3).

მ. წერეთელმა კიდევ ერთხელ შესძლო თავი სამსხვერპლოზე მიეტანა და 1917 წლის 8 ოქტომბერს წყალქვეშა ნავით ფოთსა და ანაკლიას შორის საიდუმლოდ შემოეტანა დიდძალი იარაღი და ფული. შემოზიდული იარაღის დაბინავებაში დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს მთავრის ყოფილმა მოურავმა ნიკო ხორავამ, რომელიც დაჯილდოვდა თამარ მეფის ორდენით.

მ. წერეთლის დაუღალავი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ფასდაუდებელია. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ საბოლოოდ ფრთები შეაკვეცა მიხაკო წერეთლისა და მისი თანამოაზრეების გერმანულ ორიენტაციაზე აღებულ კურსს.

მისი პოლიტიკური ბრძოლა სამშობლოსათვის მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ შესცვალა. 1920 წელს ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და აღმოსავლეთის კათედრის გამგედ. ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა, რომ მოწვევა ერთი წლით გადადებულიყო „... და შევედი ქართველ მეცნიერთა იმ საპატიო წრეში, რომელსაც ეკუთვნოდნენ ისეთი ძალები, როგორიც იყო თვით ივანე ჯავახიშვილი..." იგონებს მეცნიერი (3,337), რომელიც 1924 წლამდე საქართველოშია და აჯანყების დამარცხების შემდეგ მიდის ევროპაში და მას შემდეგ საქართველო აღარ უხილავს. იგი თავისი ცხოვრების არსს ქართველი ერის სამსახურში ხედავდა და საუკეთესოდ შეუთავსა ერთმანეთს პოლიტიკა და მეცნიერება.

მიხაკო წერეთელი ცდილობდა, საქართველოს, ქართველი ერის ვინაობას ჩასწვდომოდა კვლევის მეცნიერული ხერხით, რომ განესაზღვრა ჩვენი ერის მოქმედების ხაზი, ხოლო გრიგოლ რობაქიძე ამავე გზას დაადგა, როგორც შემოქმედი, ხელოვანი და უმცროსი თანამებრძოლი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა გრიგოლ რობაქიძემ სწავლა 1895 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში განაგრძნო, სადაც სწავლობდა 1901 წლის ივნისამდე. სწორედ რომ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში ჰქონდა ცხოველი ინტერესი შემოქმედს, რომ ახლოს გასცნობოდა მიხაკო წერეთელს, რომლის ნიჭიერება მთელ ქუთაისში იყო ცნობილი,

მაგრამ მათი დაახლოება მაშინ ვერ მოხერხდა და მწერლის მოგონებით: „შემდგომ იგი ქუთაისში აღარ მინახავს, ხოლო ჩემს ოცნებაში ცოცხალი დარჩა“ (6,131).

1901 წლიდან იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გრიგოლ რობაქიძე, 1902 წელს ტოვებს უნივერსიტეტს და მიდის სასწავლებლად ევროპაში. 1902 წლიდან 1906 წლამდე სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1907-1908 წლებში უსმენდა ლექციებს გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ევროპაში ყოფნის დროს გაიგო გრიგოლმა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის ამბავი და დასაფლავების დღეს წარმოთქმული მიხაკო წერეთლის სიტყვა. მწერლის თქმით, „მიხაკო წერეთლის ამ საპროგრამო სიტყვამ შინაგანად შეარხია მაშინ მთელი საქართველო“ (3,314).

1908 წელს თბილისში დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე ხვდება მიხაკო წერეთელს, სადაც ხდება მათი დაახლოება. საქართველოში მყოფი მწერალი გახდა 1916 წელს აღმოცენებული „ცისფერყანწელების უპირველესი მოძღვარი და მეტრი. ფრიად განსწავლული, მაღალი ინტელექტის, დახვეწილი გემოვნების, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს ნაზიარები“.

„სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. ბატონ რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ელობება გაუგებრობის გალავანი. იმას არაფრად დასჯდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება, ახალ ძიებათა ფეიერვერკების გასროლა“ — წერდა ტიციან ტაბიძე (8,9).

ცისფერყანწელები მეგობრობდნენ, აღმერთებდნენ გრიგოლ რობაქიძეს; ცისფერყანწელებმა მოძებნეს, ჩამოაყალიბეს თავიანთი აზროვნებისა და ცხოვრების ორიგინალური სტილი და უწოდეს მას სიმბოლისტური. საქართველო ამ დროს ისეთივე ქაოტური ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც მთელი ევროპა. ბუნებრივი ნიჭი, სიახლის წყურვილი, ევროპის მაჯისცემა მათში საოცარ ძვრებს იწვევს. ნაპერწკლებზე კი ნავთს ასხამს გრიგოლ რობაქიძე და ხანძარი ჩნდება პოეზიაში. გრიგოლ რობაქიძის ლექციებით, იდეებით აღფრთოვანებული ცისფერყანწელები არ ერიდებოდნენ არავითარ რისხვას. მათი პოეზია შერწყმული იყო მათსავე პირად ცხოვრებასთან, ყოფით ურთიერთობებთან.

საქართველოში ყოფნის დროს გრ. რობაქიძე აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და ძალას და ენერგიას არ იშურებდა სხვადასხვა საქმეების შესასრულებლად. სხვადასხვა წლების განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე. მონაწილეობდა კულტურული ღონისძიებების, საღამოების, იუბილეების ჩატარებაში, კითხულობდა ლექციებს ქართული და უცხოური ლიტერატურის შესახებ.

ათიან-ოციან წლებში საშობლოში გაიფურჩქნა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება: რომანი „გველის პერანგი", დრამატიული ნაწარმოებები: „მალშტრემი", „ლონდა", „ლამარა", კრიტიკული ნარკვევები ვაჟაზე, აკაკიზე, ფიროსმანზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ყველა თავის ნაწარმოებში შემოქმედი ამჟღავნებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის წარსულის, მითოლოგიური საწყისების, ქართული ენის დიდ ცოდნას და სიყვარულს. ის სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ქართული ენის მაღმერთებელი. „ენა ქართველთა უგენიალურესი ქმნილებაა ენათა შორის. მისი ფესვეული დენა აცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ მსოფლიოისა" — წერს მწერალი (3,195).

გრ. რობაქიძემ „გველის პერანგი" თარგმნა გერმანულად და 1927 წელს წავიდა გერმანიაში, იქ რვა თვე დარჩა და დასტამბა. რომანს წინასიტყვაობა წაუმძღვარა ავსტრიელმა სახელმოხვეჭილმა მწერალმა სტეფან ცვაიგმა.

1931 წელს გრიგოლ რობაქიძე ხელახლა მიდის გერმანიაში და მას შემდეგ საქართველოს მიწაზე ფეხი არ დაუკარებია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი ცხოვრება სამშობლოში არარაობა იყო, როგორც მან თქვა: „საბჭოეთში ხალხის ალაგას მასაა გაბატონებული, რომელშიაც ჰიროვნება, ეს უღვთიურესი მოვლენა, ითქვიფებაო" (6,6). ამის შემდეგ იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, რომლის დროს მან შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა როგორც ქართულ, ასევე გერმანულ ენაზე.

სამშობლოდან გადახვეწილი მიხაკო წერეთელი და გრიგოლ რობაქიძე ურთიერთს ევროპაში ხვდებიან და მეგობრობის მტკიცე ნასკვი იკვრება 1931 წლიდან 1943 წლამდე. საქართველოს ორი გენიალური შვილი ჭირსა და ვარამს, სიხარულს ერთმანეთს უზიარებს. ხვდებოდნენ თითქმის კვირაში ხუთჯერ. გრიგოლ რობაქიძის თქმით: „დაახლოება მეგობრობაში გადაიზარდა" (6,132). ყოველი ახალი

ნაწარმოების შექმნის დროს მიხაკო წერეთელი გულდასმით ადევნებს თვალყურს, კითხულობს და მაღალ შეფასებას აძლევს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მწერლის შემოქმედებას.

წერდა გრ. რობაქიძე ქართულად თუ გერმანულად, საქართველო, ქართველი ერი, მისი წარსული და აწმყო იყო მისი შემოქმედების ქვაკუთხედი. გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი ამბობს: „გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას, მაგრამ მას ჰკლავდა წლების განმავლობაში და სულს უფერფლავდა ჯავრი სამშობლოსი... სამშობლოს – საქართველოს სიყვარული გრიგოლ რობაქიძისა დაუცხრომელი სულის მარადიული ღელვა იყო. სამშობლო მან დასტოვა ბავშვივით ატირებულმა და ამ ქვეყნიდან განვიდა მარადისობაში, საქართველოსთან განშორების ლამაზი სევდით“ (3,184).

უცხოეთში მყოფ მწერალს არ ასვენებს სამშობლოზე ფიქრი და გულს მძიმე დარდი აწევს. „მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია უცხოეთში რომ მაცოცხლებენ“ (6,6).

მიხაკო წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის ღვაწლი სამშობლოს წინაშე ფასდაუდებელია. მათ დავიწყების ბინდი არასოდეს დაჰფარავთ.

ლიტერატურა:

1. სცსსა, ფ. 94, აღწ 1, საქ. №652, ფურც. 369.
2. წერეთელი მიხაკო „ერი და კაცობრიობა“, თბ., 1990.
3. გურამ შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი პირველი, თბ., 1991.
4. სცსსა, ფ. 94, აღწ. 1, საქ. №652, ფურც. 370.
5. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992.
6. რობაქიძე გრიგოლი, კრებული, შემდგენელი კარლო ინასარიძე, მიუნხენი, 1984.
7. გამსახურდია კონსტანტინე, გაორებული საქართველო, გაზ. „სახალხო ფურცელი“.
8. ჯალიაშვილი მაია, თაობიდან თაობამდე, თბ., 1994.

Эка Антиа

МИХАКО ЦЕРЕТЕЛИ И ГРИГОЛ РОБАКИДЗЕ В ГЕРМАНИИ

Резюме

Грузинские эмигранты, в разное время находившиеся в Германии, внесли определённый вклад в научно-культурное развитие Грузии. В этом отношении весьма значительную роль сыграла общественно-политическая деятельность Михако Церетели, который провел в Германии студенческие годы – с 1911 по 1914 гг., а позже, с 1924 года, проживал в разных городах Германии вплоть до своей кончины в 1965 году. Михако Церетели, будучи активным членом "Независимого Комитета", боролся за независимость Грузии.

Младший современник Церетели – Григол Робакидзе боролся за свободу Грузии своим творчеством. Грузия и грузинский народ, его прошлое и будущее постоянно находились в центре внимания автора. Он одинаково пламенно писал о своей любимой Грузии как на грузинском, так и немецком языках.

Михако Церетели и Григол Робакидзе были большими друзьями. Они постоянно общались, обменивались своими творческими планами и не теряли надежды на спасение родины.

ლალი ფირცხალავა

გაზეთი „ივერია“ ევროპის სახელმწიფოებში არსებული განათლების სისტემის შესახებ

გაზეთი „ივერია“, რომელსაც 1877 წლიდან 1902 წლამდე ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მამულიშვილი, მოაზროვნე, მწერალი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, მრავალმხრივ მებრძოლ ორგანოს წარმოადგენდა. იგი მოწოდებული იყო აემაღლებინა ქართველი ხალხის ცოდნის დონე და ხელი შეეწყო მთელი რიგი არსებითი საკითხების გადაჭრაში.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ: „უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებასო“[1].

სწორედ ამიტომ, ევროპულ ლიტერატურასა და ისტორიულ ცოდნასთან ნაზიარები ქართველი განმანათლებლები, რომლებმაც თავი მოიყარეს „ივერიის“ ირგვლივ, გაზეთის საშუალებით ცდილობდნენ გადაეჭრათ მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანები — ქართველ მოსახლეობაში გაევრცელებინათ განათლება, აღეზარდათ იგი პატრიოტული სულისკვეთებით, დაენერგათ და განევითარებინათ პროგრესული იდეები.

ეს ძალზედ მნიშვნელოვანი მისია იყო მაშინ, როცა რუსეთის იმპერიაში ქართული ენა იდევნებოდა არა მარტო სასწავლებლებიდან, თვით ეკლესიიდანაც კი. სასწავლო დისციპლინათა რიგში საერთოდ არ ფიგურირებდა საქართველოს ისტორია. იმპერიულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოაყალიბა.

ამ ფონზე გასაგები ხდება გაზეთის დაინტერესება ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების განათლების საკითხებით.

„ივერია“, ეცნობა რა ინგლისის განათლების სისტემას, გადმოგვცემს: „ისეთი თავისუფლება ბავშვებს, როგორც ინგლისურს სკოლაში, მართლაც არც ერთ სხვა სკოლაში არა აქვთ, თვალსაჩინო ღირსება დაბალ, განსაკუთრებით — კი საშუალო და მაღალ სკოლებისა ის არის, რომ მოსწავლეთ შეძლებას აძლევენ საკუთარის აზრის,

---

1. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, გვ. 249.

შეხედულების შემუშავებისას. ცუდი იქნება თუ კარგი, კაცს მაინც საკუთარი აზრი და შეხედულება უნდა ჰქონდეს, ამბობს ინგლისელი" — აღნიშნავდა გაზეთი. „ივერიის" ცნობით, სკოლებში ხშირად იმართებოდა კამათი ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. განსაკუთრებით უნივერსიტეტებში იყო მიღებული დისპუტები. კემბრიჯის უნივერსიტეტში კვირაში ერთხელ იმართებოდა ასეთი კამათი. საკამათოდ ირჩევდნენ პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ და ლიტერატურულ საკითხებს. სტუდენტები წინასწარ ემზადებოდნენ და ისე გამოდიოდნენ საკამათოდ. სტუდენტთა კამათის შესახებ ანგარიშები იბეჭდებოდა გაზეთებში, რომელსაც საზოგადოება დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს. რა თქმა უნდა, ასეთი ვარჯიშით ახალგაზრდობა სკოლაშივე ემზადებოდა პოლიტიკური და საპარლამენტო მოღვაწეობისათვის. „ასეთ კამათს აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, და ოქსფორდი და კემბრიჯი მართლაც უზრდიან ინგლისს სახელმწიფო მოღვაწეებსო"[1], აღნიშნავდა გაზეთი.

ბუნებრივია, „ივერია" მიესალმებოდა აღზრდის ასეთ სისტემას, რაც დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული, და რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, მით უმეტეს, საქართველოში არსებული მეფის მთავრობის უხეში რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის დროს, როცა გიმნაზიებსა და სემინარიებში გამეფებული იყო პოლიციური რეჟიმი და უაზრო ზეპირობა.

განიხილავდა რა იტალიის მძიმე მდგომარეობას XIX ს-ის დასასრულისათვის, „ივერია" აღნიშნავდა, რომ თუკი სადმე დედამიწის ზურგზე არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება მოითხოვს იარაღის აყრასა და ჯარის გაუქმებას, ასეთი სახელმწიფო სწორედ რომ იტალია უნდა იყოსო, რადგან სამხედრო საქმეს უზარმაზარი თანხები ხმარდებოდა. ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვით იტალია ძალზე ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს, 100 კაცში 47-მა იცოდა წერა-კითხვა და ეს მაშინ, განაგრძობდა გაზეთი, როცა მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით იტალიაზე ბევრი უნივერსიტეტი არც ერთ სახელმწიფოში არ არისო[2].

1. „ივერია", 1901, №49.
2. „ივერია", 1899, №11.

გაოცებას ვერ მალავდნენ „ივერიის“ თანამშრომლები, როცა მდგომარეობის თითქოსდა გასაუმჯობესებლად იტალიის მმართველმა წრეებმა ზოგიერთი უნივერსიტეტის გაუქმებაც კი განიზრახეს, რაც, რა თქმა უნდა, ბიუჯეტს საგრძნობ შეღავათს ვერ მისცემდა და ამ ღონისძიებას ქვეყნის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყვებოდა[1]. განათლების მოტრფიალე გაზეთი, ბუნებრივია, უმაღლესი სასწავლებლების დახურვას ვერ მიესალმებოდა და ეს ღონისძიება მას სამარცხვინოდ მიაჩნდა:

„განა შესაძლებელია ამ პირობებში მყოფ სახელმწიფოს წინსვლა და განვითარება?“ ან რა სწავლა-განათლება უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას იზიდავს მხოლოდ თოფი, ხიშტი და ზარბაზანი, სადაც მთავრობისათვის გერმანიისა და ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ხმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელის იტალიის ერისას, რომელიც არსების პურსა თხოულობს. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთს სახელმწიფოში ყოვლად შეუძლებელია ხალხში სწავლა განათლების გავრცელება“. მით უმეტეს რომ, როგორც გაზეთი აღნიშნავდა იტალიაში, „მძიმეა მასწავლებლის მდგომარეობაცო“[2].

„ივერია“ დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველ საზოგადოებას შვეიცარიაში არსებული დაწყებითი განათლების შესახებ და აღნიშნავდა,რომ ძნელად თუ მოიპოვება დღეს იმისთანა სახელმწიფო, რომელიც შეედრება შვეიცარიას ერის განათლების საქმეშიო:

„ეს პატარა სახელმწიფო, რომელიც მეტად ხელმოჭერილია და ფრთხილი ყოველ სხვა ხარჯში, სკოლებისათვის — კი მეტად ხელგაშლილია და მეტად უხვი. აქ იგი, რაც შეუძლიან, არაფერს არ ჰზოგავს, არავითარს ხარჯს არ ერიდება, რომ შეძლებისამებრ სკოლა ერისა სავსებით მოწყობილ იყოს და თავისის წმინდა დანიშნულების მისაღწევად არა გზით არა გაუჭირდეს-რა“. შვეიცარიაში არსებული კანონით ყველა მოქალაქე ვალდებული იყო შვილი, როგორც კი შვიდი წლის გახდებოდა, სკოლაში გაეგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ყოველ სოფელში, განაგრძობდა გაზეთი, ერთ-ერთი ყველაზე კარგი შენობა სკოლისაა. „აქ სკოლაში მუქთად ასწავლიან და საფუძვლიანადაც“. შვიდი წლიდან ცამეტ წლამდე ყველა წოდების ბავშვს ერთად ასწავლიდნენ. მასწავლებელს

1. „ივერია“, 1892, №87.
2. „ივერია“, 1899, №11.

აკრძალული ჰქონდა კლასში 40-50-ზე მეტი ბავშვი ჰყოლოდა. სკოლის შენობის ნახევარში ვაჟები სწავლობდნენ, მეორე ნახევარში გოგონები. ვაჟებს მასწავლებლად მამაკაცებიც ჰყავდათ და ქალებიც, გოგონებს — კი მხოლოდ ქალები ასწავლიდნენ. თუ ბავშვს უმიზეზოდ გააცდენინებდნენ სწავლას, მშობლებს ჯარიმას ახდევინებდნენ, ამიტომ შვეიცარიაში ბავშვი მხოლოდ მაშინ აცდენს სკოლას, თუ დიდი სიცივეებია ან გზები შეიკვრება დიდთოვლობის გამოო, განაგრძობდა „ივერია". ზოგან ბავშვებს სახელმძღვანელოები და სასკოლო ნივთები მუქთად ურიგდებოდათ. სკოლებში ყველაზე ვრცლად ასწავლიდნენ შვეიცარიის გეოგრაფიასა და ისტორიას:

„სხვა ერთა ისტორიას ასწავლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა იგი ერი შეხვედრია შვეიცარიას დროთა განმავლობაში ისტორიის გზაზე. სხვა ნაწილს ისტორიისას მასწავლებელნი აუწყებენ ხოლმე ბავშვებს, როცა კითხვის გაკვეთილი აქვთ"[1]. ასეთი სასწავლო პირობები მართლაც საოცნებო იყო საქართველოსათვის, ჩვენთან, სამწუხაროდ, არა მხოლოდ იმ პერიოდში, როცა მას ილიასეული „ივერია" შენატროდა, მრავალი პრობლემა განათლების სფერში ერთი საუკუნის შემდეგაც გადაუჭრელი რჩება.

შვეცია-ნორვეგიის შესახებ ცნობების მიწოდებისას გაზეთი მკითხველებს შეახსენებდა, რომ მართალია, შვეცია-ნორვეგია პოლიტიკურად დაქვეითდა, მაგრამ სწავლა-განათლებით ლაბის მოწინავე სახელმწიფოებს გაუსწრო, მცირე სოფელიც კი არ იყო დარჩენილი კარგად აღჭურვილი სკოლის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო შვეცია-ნორვეგიისათვის არ იყო დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი სოფლები:

„შვეციის მთავრობა აღარ გამოეკიდა თავის ჩვეულებურ პოლიტიკურ სახელის აღდგენასა და თავის ძალ-ღონეს დღეს ერის განათლებას ანდომებსო", მიუთითებდა გაზეთი"[2].

შვეცია-ნორვეგიაში ის აზრი იყო გაბატონებული, რომ „სახელმწიფოში თითოეულმა მკვიდრმა, ქალი იქნება, თუ კაცი, უსათუოდ წერა-კითხვა, და პირველდაწყებითი ანგარიში მაინც უნდა იცოდესო". ამის განსახორციელებლად, ეგრეთ წოდებული, მოძრავი სკოლებით მოჰფინეს ქვეყანა. ამგვარი სკოლის მასწავლებელი დადიოდა სოფლიდან სოფელში და მოზარდ თაობას წერა-კითხვას და ანგარიშს

1. „ივერია", 1895, №254.
2. „ივერია", 1890, №243.

ასწავლიდა. ამის შემდეგ მოსწავლეები საერო სკოლაში გადადიოდნენ. საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული დაწყებითი პროფესიული სასწავლებლებიც. საყოველთაო განათლებამ თავისი ნაყოფიც გამოიღოო, წერდა „ივერია" — „სხვა ქვეყნებთან შედარებით შვეცია-ნორვეგიაში დანაშაულობაც ნაკლებია, რადგან სწავლა-ცოდნით აღჭურვილი ერი შრომისმოყვარე, ბეჯითი და მუყაითია"[1].

ქართველი ხალხის განათლების საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მტკივნეულად იდგა სამოციანელთა წინაშე. მათთვის, როგორც ყველა განმანათლებლისათვის, დამახასიათებელი იყო მხურვალე დაცვა განათლების, თავისუფლებისა და ცხოვრების ევროპული ფორმების. როგორც ილია აღნიშნავდა: „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა გაფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად"[2]. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია გაზეთ „ივერიის" დაინტერესება საზღვარგარეთული ქვეყნების განათლების სისტემით და ამ საქმეში ევროპის მოწინავე ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება ქართველი მკითხველისათვის.

ჩვენთვის ეს საკითხები ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს მიერ შექმნილ მსოფლიო ისტორიის ახალი ყაიდის სახელმძღვანელოებში VII და X კლასებისათვის მაქსიმალურად შევეცადეთ გვეხელმძღვანელა ჩვენი დიდი წინაპრების პრინციპებით,ბუნებრივია, დღევანდელობასთან მისადაგებით. ის, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ილიასეული „ივერია" ინგლისის განათლების სისტემაში „საკუთარის აზრის, შეხედულების, შემუშავება", „კამათის აღმზრდელობითი მნიშვნელობა" დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, ვიდრე ერთი საუკუნის წინ და ჩვენს სახელმძღვანელოებში ვცდილობთ მოზარდს დამოუკიდებელი აზროვნების, მსჯელობის უნარი ჩამოვუყალიბოთ.

ილიასეულ „ივერიაში" ასევე წინ არის წამოწეული ის საკითხი, რომ შვეიცარიაში მთავარი ყურადღება შვეიცარიის ისტორიის სწავლებას ეთმობა. ჩვენც იგივე პრინციპით ვსარგებლობთ — დღეს მსოფლიო ისტორიის ჩვენს სახელმძღვანელოებში ყოველთვის ვეძებთ კავშირს საქართველოსთან, და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველო ხომ მსოფლიო ისტორიის ნაწილია. ჩვენ ჩვენს თავს ქართველ სამოციანელთა იდეურ მემკვიდრეებად მივიჩნევთ, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას მომავალი თაობის წინაშე.

1. „ივერია", 1889, №192.

2. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV. გვ. 249.

Лали Пирцхалава

ГАЗЕТА "ИВЕРИЯ" О СИСТЕМАХ ОБРАЗОВАНИЯ В ЕВРОПЕЙСКИХ СТРАНАХ

Резюме

Грузинские просветители, приобщенные к европейской культуре, объединившись вокруг газеты "Иверия", старались через нее решить ряд неотложных задач – просветить население Грузии, воспитать его в духе патриотизма, насадить и развить прогрессивные идеи. Логичны поэтому заинтересованность газеты "Иверия" системой образования зарубежных стран и желание поделиться с грузинским читателем опытом, накопленным в передовых странах Европы. В то время это являлось весьма ответственной и своевременной миссией, так как имперская просветительская политика целенаправленно формировала комплекс национальной неполноценности. Для нас важно, как рассматривала газета систему просвещения европейских стран, так как в учебниках всемирной истории нового типа, созданных нами для VII и X классов, мы старались максимально руководствоваться принципами наших великих предков, естественно, применительно к современности.

თამარ ჯოჯუა

ადამიანის სხეულისა და მის ნაწილთა აღმნიშვნელი სპარსული და ძართული სახელწოდებების პოლისემურობა

პოლესემია, ანუ ერთი სიტყვათმნიშვნელობის საფუძველზე ახალი სიტყვათმნიშვნელობის ან სიტყვათ მნიშვნელობათა წარმოქმნა, ამ სიტყვათმნიშვნელობათა დაჯგუფების ტიპი თვით სიტყვის სისტემაში, ცალკეული სიტყვათმნიშვნელობისა თუ სიტყვათმნიშვნელობათა დომინანტურობა ყოველთვის წარმოადგენდა საენათმეცნიერო კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ საგანს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მხოლოდ ნაწილობრივად ასახავს პოლისემიის პრობლემატიკას (I; 1).

გზები და მიზეზები სიტყვის პოლისემანტიზაციისა რთულია და მრავალმხრივი, ისინი შიგა – და გარეენობრივი ფაქტორებითაა განპირობებული. პოლისემიურობის თვალსაზრისით მომხდარი ყველა სემანტიკური ცვლილების გათვალისწინებას საკმაოდ აძნელებს ის ფაქტი, რომ ეს ცვლილებები ენის ხანგრძლივი განვითარების მანძილზე მიმდინარეობდა (I; IV; 39), ამიტომ, ვფიქრობთ, პოლისემიურობის ანალიზისას მკაფიოდაა გასამიჯნი სინქრონული და დიაქრონული ასპექტები.

პოლისემიურობის უპირველესი ბიძგი სიტყვის ხატოვნად, გადატანითი მნიშვნელობით ხმარების ფაქტებია, ამგვარ ფაქტებს კი განაპირობებს ფუნქციაზე დაფუძნებულ სხვადასხვა ასოციაციურ კავშირთა არსებობა, მსგავსება, სივრცითი და დროითი მეზობლობა, მომიჯნავეობა, რის საფუძველზეც მრავალი სიტყვა ზრდის თავის სემანტიკურ შესაძლებლობებს. ცხადია, პოლისემიურობის განმაპირობებელ ფაქტორთა შესწავლაში უდიდესი როლი ფსიქოლინგვისტიკას ეკისრება, მაგრამ ამ მიზეზთა საფუძველზე ჩამოყალიბებული უკვე მზა ენობრივ ფაქტთა შესწავლა საკუთარივ ლინგვისტიკის ჩარჩოებში ექცევა.

სხვადასხვა მონათესავე თუ არამონათესავე, მეტ-ნაკლებად კონტაქტირებად და არაკონტაქტირებად ენათა შედარების საფუძველზე ცალკეულ ლექსიკურ ველთა და თემატურ ჯგუფთა პოლისემიურობის თვალსაზრისით შესწავლამ შესაძლებელია საინტერესო ტიპოლოგიური ერთობანი თუ სხვაობანი და, იქნებ, ენობრივი უნივერსალიებიც კი გამოავლინოს.

წინამდებარე სტატიაში სინქრონულ პლანშია განხილული ადამიანის სხეულისა და მის ნაწილთა აღმნიშვნელი პოლისემიური სპარსული სახელწოდებების ზოგიერთი საკითხი და ეს სახელწოდებები შესადარებელია ამავე შინაარსის ქართულ დასახელებებთან. ჩვენი კვლევა წმინდა ენობრივი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს ფსიქოლინგვისტურ ასპექტებს.

მასალა ამოკრეფილია მოინისეული და რუბინჩიკის რედაქციით გამოსული ლექსიკონებიდან, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და ასევე გამოყენებულია, ბარანოვის არაბულ-რუსული ლექსიკონიც (II; 1; 2; 3; 4). განხილულია მხოლოდ ერთსიტყვიანი სახელწოდებები, და არა შესიტყვებები.

საანალიზო სპარსულ სახელწოდებებში (მათი მთლიანი რაოდენობაა 345 ერთეული) მონოსემანტები რიცხობრივად სჭარბობენ პოლისემანტებს. ჩვენ მიერ მოძიებულია 198 მონოსემანტი და 147 პოლისემანტი.

19 შემთხვევაში საქმე გვაქვს გრამატიკულ პოლისემიასთან. ამგვარი პოლისემია გულისხმობს ისეთ მოვლენას, როცა პოლისემანტი მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს მიკუთვნებულ სიტყვათმნიშვნელობებს მოიცავს. ასე მაგალითად. dide – 1. "didän" ზმნის ნამყო დროის მიმღეობა: 2. არს. სახ. 1) „თვალი"; 2) „ნახული, ნანახი"; 3) „დარაჯი, გუშაგი"; მოტანილ მაგალითში დასტურდება როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური პოლისემია – გაარსებითებული ნამყოს მიმღეობა თავისთავად სამ სიტყვათმნიშვნელობას მოიცავს, ე. ი. „dide" წარმოადგენს შერეულ (ლექსიკურ-გრამატიკულ) პოლისემანტს. ჩვენს მიერ მოძიებული 19 სახელწოდებისაგან 14 შერეული პოლისემანტია, მაგალითად: yäsär – 1. ზედ.სახ. „მარცხენა"; 2. არს.სახ; 1) „მარცხენა მხარე"; 2) „მარცხენა ხელი".

გრამატიკული პოლისემიის თვალსაზრისით, საკვლევ თემატურ ჯგუფს ახასიათებს შემდეგი სპეციფიკა – სხეულის ნაწილთა სახელწოდებების ბაზაზე წარმოიქმნება ადგილმდებარეობისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედები, წინდებულები და თანდებულები. ამ ტენდენციას გარეენობრივი ფაქტორი განაპირობებს – ადამიანი ერთ-ერთ უმთავრეს სივრცით ორიენტირად საკუთარ სხეულს აღიქვამს. საზოგადოდ, ნასახელარი წინდებულები საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი სპარსულში და არსებითთა წინდებულის კატეგორიაში გადასვლა გრამატიკული დერივაციის ერთ-ერთი ყველაზე

უფრო პროდუქტიული ხერხია ენაში (I; 3; 98). 10 ნასახელარ სპარსულ წინდებულს ჩვენს მიერ საკვლევი სახელწოდებები უდევს საფუძვლად. ათივე შემთხვევაში საქმე გვაქვს იზაფეთურ წინდებულებთან: bär – 1. არს. სახ. 1) „მკერდი“ წელი, ფერდი“; 2) არქ. „ტანის ზედა ნაწილი“. 2. წინდ. 1) „ახლოს, თან“. 2) – „კენ“[1]; på 1. არს. სახ. 1) „ფეხი, ტერფი“; 2) „ქვედა ნაწილი“. 2. წინდ. 1) „ახლოს, თან, ქვეშ“, 2) „კენ“. pošt 1. არს. სახე. 1) „ზურგი“; 2) „უკანა მხარე“, 2. წინდ. 1) pošt-e (=bär (där) pošt-e) „უკნიდან, უკანა მხრიდან, ზურგიდან“. 2) pošt-e (=bär (där) pošt-e)-ზე, 3) pošt-e – sär-e „კვალდაკვალ“, 4) äz pošt-e ა) „-დან“, ბ) „გამო, მიზეზით“, pählu-1. არს. სახ. 1) „ფერდი, გვერდი“, 2) „ზღვარი, კიდე, გვერდითა მხარე“, 2. წინდ. 1) „თან, ახლოს, გვერდით“, 2) „გვერდით, ცხვირწინ“, pei-1. არს. სახ. 1) „ფეხი, ტერფი“, 2) „კვალი“, 2. წინდ. „კვალზე, კვალდაკვალ“. ru-1. არს. სახ. 1) „სახე“, 2) „ზედაპირი, მხარე“, 2. წინდ. „-ზე“. sär-1. არს. სახ. „თავი“, 2. წინდ. 1) „-ზე“ 2) „ახლოს, თან“. qäfä-1. არს. სახ. “კეფა“, 2. წინდ. 1) äz qäfä-ye „კვალდაკვალ“, 2) där qäfä-ye „უკან“. läb-1. არს. სახ. 1) ბაგე, პირი“, 2) „კიდე“, 2. წინდ. 1) „პირას, ნაპირას, კიდეზე“, 2) „-კენ“.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ნასახელარი წინდებული რთული ფორმითაა წარმოდგენილი – ისინი ეხამებიან პრეპოზიციაში მყოფ საკუთრივ წინდებულებს (där pošt-e, äz qäfä-ye და სხვა).

ზემოთ მოყვანილი ნასახელარი წინდებულებიც პოლისემიურია. მათი მნიშვნელობა მხოლოდ ადგილმდებარეობა-მიმართულებას არ მოიცავს. ასე მაგალითად, (ru-ye) წინდებულს აქვს ასევე მნიშვნელობა. „მიხედვით“, „თანახმად“, sär-e-ს „დროზე“, „განმავლობაში“ და ა. შ.

däst-ის ბაზაზე წარმოქმნილ ნასახელარ წინდებულს სივრცითი სემანტიკა საერთოდ არა აქვს, თუმცა არსებით სახელ däst-ში „ხელ“-ის პარალელურად წარმოდგენილია სიტყვათმნიშვნელობა „მიმართულება, მხარე“. მაგალითად, däst-e råst (cåp) 1) „მარჯვენა, (მარცხენა) მხარე“, 2) „ხელმარჯვნივ (მარცხნივ)“; ქართული „(ხელ) მარჯვნივ“ და „(ხელ)მარცხნივ“ პრაქტიკულად იზომორფულია däst-e råst-ისა და däst-e cåp-ის ზმნიზედური მნიშვნელობებისა.

ნასახელარი წინდებული däst წარმოდგენილია რთული ფორმით (საკუთრივ წინდებულს + ნასახელარი წინდებული) და განმარტებულია შემდეგნაირად: 1) ა) äz däst-e „მიზეზით“ (მიუთითებს

1. ციტირებულია რუბინჩიკისეული ლექსიკონის დეფინიციები (II,2).

რაიმე ბრალეულობაზე, შდრ. ქართ. „ხელიდან“, მაგ. "hämiše äz däst-e u geriye mikärd" – „მისი ხელიდან (მისი მიზეზით) სულ ატირებული იყო“, ბ) äz däst-e მიუთითებს იმ პირზე, რომელსაც უჩივიან, რომელზედაც ბრაზდებიან და ა. შ., მაგ. äz däst-e män šekäyät mikärd „მე მიჩივლა“, 2) be- däst-e მიუთითებს მოქმედ პირზე პასიურ კონსტრუქციაში: in xäne be däst-e kärgerän säxle šod „ეს სახლი მუშების ხელით (მიერ) აშენდა“; 3) (där) zir-e däst-e „ხელმძღვანელობით, ხელქვეითად“, მაგ. zir-e däst-e u kär mikärdäm „მისი ხელმძღვანელობით, მის ხელქვეითად ვმუშაობდი“. ნიშნეულია, რომ ზემოთ მოტანილ მაგალითთა თარგმანებში უმეტესად ფიგურირებს „ხელ“ რაიმე გრამატიკული ფორმით, ვთქვათ, მოქმედებითი ბრუნვით თუ კომპოზიტის კომპონენტის სახით, რაც გარკვეულ ტიპოლოგიურ ერთობაზე გვაფიქრებინებს (რუსულ თარგმანშიც შეიძლება ჩანდეს „рука“ – „дом был построен рабочими (руками рабочих)", "я работал под его начальством (руководством)“.

სხეულის ნაწილთა სახელწოდებების საფუძველზე წარმოქმნილი ზმნიზედები და თანდებულები ქართულშიც გვაქვს. ისინი ძირითადად წარმოდგენილი არიან ბრუნვის მარტივი ან თანდებულიანი ფორმით და კონტექსტის მიხედვით (ზმნასთან – ზმნიზედა, სახელთან – თანდებული) ასრულებს ზმნიზედის ან თანდებულის ფუნქციებს, მაგალითად:

„გვერდით (ზმნიზედა) ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული“.

„დედოფალი მეფის გვერდით (თანდ) დაბრძანდა“.

„ზღვის პირას (თანდ) იჯდა“ (შდრ სპარს. läb-e däriya). „პირას“-ა და läb-e-ს სემანტიკური სიახლოვე კარგად ჩანს ასევე შემდეგი მაგალითით: „სიკვდილის პირას“ „tä läb-e gur“, „საფლავამდე, სიკვდილამდე“, „თვალწინ (ზმნიზედა) საოცრებები ხდება“; „ვერ ხედავს, მის ცხვირწინ (თანდ) რა დატრიალდა?“;

ჩვენს მიერ მოძიებულია სხეულის ნაწილთა რვა ქართული სახელწოდება, რომელთა საფუძველზე წარმოიქმნება ზმნიზედა ან თანდებული: „ფე(რ)ხი“ – „ფერხთით“; „გვერდი-გვერდით, გვერდზე“; „თავი“ – „თავს, თავზე, თავიდან“; „თხემი“ – „თხემზე“ (=თავზე, ზედაპირზე), „ზურგი“ – „ზურგზე, ზურგიდან“, „პირი“ – „პირს, პირას, პირზე“; „ცხვირი“ – „ცხვირწინ“; „თვალი“ – „თვალწინ“. ბოლო ორი მაგალითი კომპოზიტის სახითაა წარმოდგენილი, რომლის პირველი კომპონენტი სხეულის ნაწილის სახელწოდებაა, მეორე კი

ზმნიზედა — თანდებული „წინ“ სპარსულში „ცხვირ-ისა“ და „თვალ-ის“ აღმნიშვნელი სახელწოდებები არ წარმოქმნიან ნასახელარ წინდებულებს.

ორივე ენაში დადასტურებული მაგალითების მიხედვით, საკვლევ სახელწოდებათა წინდებულ-თანდებულისა და ზმნიზედის კატეგორიაში გადასვლას განაპირობებს დენოტატის ტიპიც — ამ კატეგორიაში გადადის სხეულის მხოლოდ გარეგან ნაწილთა და არა შინაგან ორგანოთა აღმნიშვნელი სახელწოდებები[2]. ქართულში მოძიებული ზმნიზედა — თანდებულებიც მეტწილად ადგილმდებარეობა-მიმართულებას გამოხატავენ. დასტურდება გრამატიკული პოლისემიის ერთადერთი ქართული მაგალითი, როცა სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვათმნიშვნელობის პარალელურად წარმოდგენილია უკუქცევითი ნაცვალსახელური მნიშვნელობა „თავი“, მაგ. „თავს მოუარე!“, „თავს უფრთხილდება“. ანალოგი სპარსულში არა გვაქვს. ქართული „თავ“-ის ექვივალენტი არის სპარსული ძირეული უკუქცევითი ნაცვალსახელი xod.

გრამატიკული პოლისემიის სფეროს მიეკუთვნება ასევე შემთხვევები, როცა ერთ სტრუქტურაში თანაარსებობენ სრულფასოვანი ნომინატური ღირებულებისა და მხოლოდ დერივაციული დატვირთვის მქონე მნიშვნელობები, კერძოდ, ნახევრადფიქსები. ნახევრადფიქსაცია ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სიტყვათწარმოების ხერხია ირანულ ენაში (I, 3; 4), სახელადი ნახევრადფიქსები რაოდენობრივად საკმაოდ ჩამორჩებიან ზმნურ ნახევრადფიქსებს, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპარსული სალექსიკონო ფონდის გამდიდრებაში (I; 3,88). სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სპარსული სახელწოდებათაგან är-ს („თავი“) აქვს ნახევრადფიქსური მნიშვნელობა — „მთავარი“, მაგ. särmohändes „მთავარი ინჟინერი“, särpezešk მთავარი ექიმი“, ქართულშიც დასტურდება „თავ“-ის ამგვარი დერივაციული მნიშვნელობა: „თავკაცი“ — მეთაური, წინამძღოლი“.

სპარსულში დადასტურებულია ასევე გრამატიკული პოლისემიის 3 შემთხვევა, როცა სხეულის ნაწილის სახელწოდება წარმოქმნის ნუმერატივს: däst — 1. არს. სახ. „ხელი“, 2. ნუმერატივი: „ხელი, კომპლექტი“, მაგ. yek däst lebås. „ერთი ხელი ტანსაცმელი“, särl. არს. სახ. „თავი“, 2. ნუმერატივი საქონლის დათვლისას däh sär

2. გამონაკლისია ქართული თანდებული „გულისთვის“ — „გამო, მიზეზით“, რომელიც შინაგანი ორგანოს სახელწოდების („გული“) ბაზაზეა წარმოქმნილი.

gusfänd „ათი (სული) ცხვარი“ šekäm 1. არს. სახ. „მუცელი“, 2. სასაუბრო; ნუმერატივი ნამშობიარობის თვლისას – „ჯერი“, მაგ. in zän se šekäm zåiyide äst „ეს ქალი სამჯერაა ნამშობიარები“.

ქართულში ამ ტიპის ორი მაგალითი გვხვდება საკვლევი თემატური ჯგუფიდან: „ხელი“ კომპლექტის მნიშვნელობით – „სამი ხელი თეთრეული“ (შესაძლებელია სპარსულიდან კალკირებას ჰქონდეს ადგილი), სახელობის ნუმერატივის მნიშვნელობით – „ორი თავი ყველი“. გვხვდება ასევე „სახე“, არა როგორც ნუმერატივი, არამედ როგორც საგანთა ან მოვლენათა დაჯგუფების მცირე ერთეული, მაგ. „სპორტის ეროვნული სახეები“.

სპარსულ მასალაში დასტურდება ასევე გრამატიკულსა და ლექსიკურ პოლისემიას შორის მომიჯნავე 6 ფაქტი, როცა საკვლევი სახელწოდება ანთროპონიმს უდევს საფუძვლად, ე. ი. იცვლება არა ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, არამედ ლექსიკურ-გრამატიკული თანრიგი – ხდება საზოგადო სახელის ანთროპონიმიზაცია, მაგ. cehre 1) „სახე, ღაწვი“; 2) „იერი“; 3) ქალის საკუთარი სახელი „ჩეჰრე“ ან årån – 1) არქ. „იდაყვი“. 2) მამაკაცის საკუთარი სახელი „არან“-ი. ქართულში ამ ტიპის ანთროპონიმები ვერ მოვიძიეთ.

განსახილველი თემატური ჯგუფის სპარსულ-ლექსიკურ პოლისემანტებში სიტყვათმნიშვნელობა, ანუ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტთა რაოდენობა ორიდან ათამდე ერთეულითაა წარმოდგენილი. მაგ. bonån 1) იშვ. „თითი“; 2) „თითის წვერი“ däst „ხელი, ხელის მტევანი“, 2) „წინა თათი“, 10) არქ. „მანერა“, „ქცევა“.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ თემატურ პოლისემიას შევეხებით. ამგვარი მოვლენა ლექსიკური პოლისემიის ისეთ სახეობას განეკუთვნება, როცა სხვადასხვა სიტყვათმნიშვნელობები ერთსა და იმავე თემატურ ჯგუფში შედის. იხ. ზემოთ მოტანილი bonån იშვ. – 1) „თითის წვერი“, 2. „თითი“ däst 1) „ხელი“; 2) „ხელის მტევანი“ ან kåm – II 1) „სასა“, 2) „პირი“, „პირის ღრუ“.

საკვლევ სპარსულ სახელწოდებებში დაძებნილია თემატური პოლისემიის 52 მაგალითი. ამათგან 30 შემთხვევაში ყველა სიტყვათმნიშვნელობა თემატურ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. იხ. ზემოთ მოყვანილი bonån ან busegåh 1. „ბაგე“ 2. პოეტ „სატრფოს სახე“.

---

3. ხაზგასმული თემატური სიტყვათმნიშვნელობები.

22 პოლისემანტში დასტურდება როგორც თემატური, ასევე არათემატური 3 სიტყვათმნიშვნელობა, მაგალითად: rox I 1) „სახე“[3], „შუბლი“. 2) „ლაწვი, ლოყა“. 3) ფოლკ. „როხი“ (ზღაპრული ფრინველი)“. 4. არქაიზმი „გვირგვინი, დიადემა“. gorde – 1) „თირკმელი“; 2) „წელი“, 3) სასაუბრო „ზურგი“; 4) „ქეჩო“ 5) არქაიზმი „სიმამაცე, გულადობა“.

თემატურ სიტყვათმნიშვნელობათა რაოდენობა ორიდან ოთხამდე მერყეობს: åränj – 1) „იდაყვი“, „წინამხარი“, kålbod 1) „სხეული, ტორსი, ტანი“ 2) „სხეული, გვამი“, 3) „ჩონჩხი“, 4) იშვ. „საშვილოსნო“.

შესაბამის ქართულ სახელწოდებებში 35 ერთეული პოლისემიურია. 31 კი მონოსემიური. გვხვდება თემატური პოლისემიის 10 მაგალითი, ამათგან, 6 შემთხვევაში ყველა სიტყვათმნიშვნელობა თემატურია, მაგ. „ყბა-1“. „პირისახის ძვალი“, 2. იგივეა, რაც „ლოყა“; „ნუნა“ – 1) „კანი ფრჩხილის ირგვლივ“, 2) „ღრძილის გარეთა ნაწილი კბილის ირგვლივ“. დანარჩენ შემთხვევებში დასტურდება როგორც თემატური, ასევე არათემატური სიტყვათმნიშვნელობები: „წელი“ – 1. „ადამიანის სხეულის ნაწილი ნეკნების დასასრულსა და ძვლებს შორის“, 2. „ცხოველის სხეულის ნაწილი ზურგსა და გავას შორის“; 3. „ნაწილი“ (მდინარისა, მთისა); 4. იგივეა, რაც „ნაწლავი“.

დენოტატის ტიპი არც სპარსულში და არც ქართულში არ განაპირობებს საკვლევი თემატური ჯგუფის ერთეულთა პოლისემიურობას – პოლისემანტი შეიძლება იყოს როგორც სხეულის გარეგანი ნაწილის, ასევე შინაგანი ორგანოს დასახელება.

მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილია სხვადასხვა შინაარსობრივი კავშირები ცალკეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს შორის. ამ შინაარსობრივ კავშირთა დაჯგუფებისას ჩვენ ვეფუძნებით ნიკიტინის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას (I; 2; 34-46), რომლის მიხედვით, სიტყვაში არსებული შინაარსობრივი კავშირები წარმოდგენილია ორი ძირითადი ტიპით: I – იმპლიკაციური ტიპი, რომელსაც საფუძვლად უდევს სახეობებსა და თვისებებს შორის არსებული კავშირები, იმპლიკაციის კერძო სახეობაა მეტონიმია (II; 2; 37); II – კლასიფიკაციური ტიპი, რომელიც ორი სახეობითაა წარმოდგენილი; ა) ჰიპო-ჰიპერონიმულით; ეს ქვესახეობა გულისხმობს როგორც გენერალიზაციის კავშირს (მნიშვნელობის გაფართოება), ასევე სპეციალიზაციის კავშირს (მნიშვნელობის დავიწროება) (II; 2; 40); ბ) სიმილაციურით, რომელიც

საგანთა და მოვლენათა თვისებების მსგავსება-ერთობას ეფუძნება, აქ ერთი სიტყვათმნიშვნელობა მეორეს არ ფარავს, არ მოიცავს მას, მეტაფორა სიმილაციის კერძო შემთხვევაა (II, 2, 43).

სპარსულ სახელწოდებებში განსახილველ თემატურ სიტყვათმნიშვნელობებს შორის არსებული შინაარსობრივი კავშირები ძირითადად წარმოდგენილია ჰიპო-ჰიპერონიმული და იმპლიკაციური ტიპით. დასტურდება იმპლიკაციურობის 22 შემთხვევა, მაგ. bänd „მყესი", 2) „სახსარი"; ezär 1) „სახე, ღაწვი", 2) „თმები საფეთქლებზე", ჰიპო-ჰიპერონიმული კავშირები წარმოდგენილია 19 მაგალითით, მაგ. pänje 1) „ხელის მტევანი", 2) „ხუთი თითი"; qäs (s) – 1) – (=äzme qäs (s)) „მკერდის ძვალი", 2) იშვ. „მკერდი". სიმილაციური კავშირები საანალიზო თემატურ ჯგუფში უფრო იშვიათად გვხვდება (7 მაგალითი), მაგ del- 1) „გული", 2) „კუჭი", cårbänd – 1) „იდაყვის სახსარი", 2) „მუხლის სახსარი".

ქართულ მასალაში შინაარსობრივ კავშირთა თითოეული ტიპი 2-3 მაგალითითაა წარმოდგენილი: „ხელი" – 1) „ადამიანის ზედა კიდური", 2) „ამ ორგანოს ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე" (ჰიპო-ჰიპერ): „ყბა" – 1) „პირისახის ძვალი", 2) „იგივეა, რაც ლოყა" (იმპლიკაც.), „ნუნა" – 1) „კანი ფრჩხილის ირგვლივ", 2) „ღრძილის გარეთა ნაწილი კბილის ირგვლივ" (სიმილაც.).

რიგ შემთხვევებში თემატური სიტყვათმნიშვნელობები ერთმანეთისაგან სტილისტური ნეიტრალობა-მარკირების მიხედვითაც განსხვავდებიან. ზოგჯერ ერთი სიტყვათმნიშვნელობა სტილისტურად მარკირებულია, მეორე კი – ნეიტრალური, მაგ. didår 1) „სახე, იერი", 2) იშვ. „თვალი", qäs (s) 1) „მკერდის ძვალი", 2) იშვ. „მკერდი". ქართულ მასალაში ორი ამგვარი მაგალითი დაიძებნა: გვამი – 1. „მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი", 2) მოძვ. „სხეული, ორგანიზმი", „ძარღვი" – 1 იგივეა, რაც „სისხლძარღვი", 2. „მყესი", 3. სასაუბ. „ნერვი".

რაც შეეხება ეტიმოლოგიურ ასპექტს, ქართულ თემატურ პოლისემანტთაგან არც ერთი არაა ნასესხობის გზით შემოსული, სპარსულ მასალაში კი 14 არაბიზმი დასტურდება, ამათგან, 6 არაბულშიც თემატურად პოლისემიურია, მაგ. solbun – 1) „ხერხემალი", 2) „წელი" (არაბ.) solb (სპარს.). – II მწიგნ. 1) „ხერხემალი", 2) „წელი" (სპარს.), სხვები კი სპარსულში დამკვიდრების შემდეგ იძენენ ახალ მნიშვნელობას.

Тамар Чочуа

ПОЛИСЕМИЧНОСТЬ ПЕРСИДСКИХ И ГРУЗИНСКИХ НАИМЕНОВАНИЙ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ТЕЛА И ЕГО ЧАСТЕЙ

Резюме

В настоящей статье рассмотрены персидские полисемантические наименования человеческого тела и его частей. Они сопоставлены с аналогичными грузинскими наименованиями.

В исследуемом материале засвидетельствованы факты как грамматической, так и лексической полисемии.

Грамматическая полисемия чаще представлена образованием предлогов в персидском и послелогов, наречий в грузинском на базе анализируемых наименований. Поскольку для человека одним из основных пространственных ориентиров является его тело, то упомянутые отыменные предлоги и послелоги-наречия в основном имеют значение места или направления, хотя иногда они наполнены и другим семантическим содержанием.

Переход рассматриваемых наименований в разряд предлогов и послелогов-наречий частично зависит от природы денотата – отыменные предлоги и послелоги-наречия в основном образуются на базе наименований внешних, а не внутренних частей тела.

Наряду с предложно-послеложными и наречными значениями в семантической структуре анализируемых лексем представлены также адъективные (в перс.), рефлективно-местоименные (в груз.) и нумеративные (в перс., груз.) значения.

6 персидских наименований частей человеческого тела образуют антропонимы. Такие случаи следует отнести к пограничным фактам лексической полисемии.

Лексическая полисемия в настоящей статье рассмотрена частично. Мы касаемся лишь фактов тематической поли-

семии. В этом случае разные словозначения относятся к одной и той же тематической группе (ändām 1) "тело", 2) "часть человеческого тела", "часть тела").

Тематическая полисемия шире представлена в персидском (52 случая), в грузинском материале засвидетельствованы 6 тематических полисемантов.

При определении типа содержательных связей между тематическими словозначениями полисеманта использована классификационная схема М. В. Никитина (I; 2; 34-46). В анализируемых грузинских наименованиях каждый тип связи представлен 2-3 примерами.

В персидском материале в основном засвидетельствован импликационный (22 примера) и гипо-гипоронимичный (19 примеров) тип, симилятивные отношения встречаются реже (7 примеров).

В некоторых случаях тематические словозначения отличаются друг от друга по признаку стилистической нейтральности и маркированности.

Среди грузинских тематических полисемантов не встречаются заимствования, что же касается персидских наименований, то 14 арабизмов являются тематическими полисемантами и в самом арабском. Остальные же заимствования обрастают новыми значениями уже на персидской почве.

I. ლიტერატურა

1. Будагов Р. А. Слово и его значение. Л., 1947.
2. Никитин М. В. Лексическое значение слова. Структура и комбинаторика. – М., Высшая школа, 1983.
3. Пейсиков Л. С. Лексикология современного персидского языка, Изд-во МГУ, 1975.
4. Шмелев Д. Н. Проблемы семантического анализа лексики. Наука, 1973.

II. გამოყენებული ლექსიკონები:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული) თბ., ქსე, 1986.
2. Баранов Х. К. Арабско-русский словарь. М., Изд-во "Русский язык", 1977.
3. Персидско-русский словарь (под. ред. Ю. А. Рубинчика), т I-II. М., Изд-во "Русский язык", 1985.
4. Mohämmäd-e Moin Ferheng-e Fårsi (Motävässet) – Tehrån. – 1998.

სერგო არაბული

საქართველო – აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ასპექტების მოკლე მიმოხილვა

– სამხედრო სფეროში თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობები ოფიციალურად დაიწყო მას შემდეგ, რაც 1994 წლის 10 იანვრის ნატო-ს სამიტმა მოიწვია პარტნიორი ქვეყნები სათანამშრომლოდ და მიიღო საპროგრამო დოკუმენტი (პარტნიორობის სამუშაო პროგრამა). იმავე წლის ივლისის თვეში აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ქ. ვარშავაში (პოლონეთი) ყოფნისას წამოაყენა ინიციატივა, რომლითაც აშშ-ის სენატს სთხოვა 100 მილიონი დოლარი – „პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის ღონისძიებებში ახალი პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად. ამის შემდგომ საქართველოს მიერ 1995 წლის 7 მარტს წარდგენილ იქნა საპრეტენზიო დოკუმენტი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აცხადებს, რომ იგი ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროპული უსაფრთხოების გზაზე, რომელმაც თავიდან უნდა აგვაცილოს ევროპის ხელმეორედ დაყოფის პერსპექტივა. საქართველო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში.

საქართველოსა და აშშ-ს შორის 1997 წლის 17 ივლისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობისა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რითაც ჩაეყარა იურიდიული საფუძველი უშუალოდ ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას.

1998 წლის 24 მარტს ქ. ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა სამხედრო თანამშრომლობის გეგმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შორის. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდგომ თანამშრომლობამ მხარეთა შორის მიიღო გეგმიური ხასიათი. კერძოდ: 1998 წლის 10 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო კონტაქტებს საქართველოს შძ-ის გენერალურ შტაბსა და ევროპაში განლაგებული აშშ-ის

ჯარების სარდლობას შორის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიწყო: ამერიკელი სპეციალისტების ვიზიტები საქართველოში გამოცდილების გაზიარების მიზნით, უმცროს სამხედრო შემადგენლობას შორის კონტაქტები და სხვადასხვა საკითხებზე კონფერენციებისა და ღონისძიებების მოწყობა. ზემოხსენებული ხელშეკრულებებისა და პროგრამების წარმატებით განხორციელებამ განაპირობა შემდგომი ურთიერთობების მაღალ, თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანა.

1998 წლის 10 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრ გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის აშშ-ში ოფიციალური ვიზიტისას ხელი მოეწერა ორი ქვეყნის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გეგმას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა აშშ-თან უფრო შორსმიმავალი და მრავლისმომცველი პროგრამების განხორციელება, რაც დიდ გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის მომავალ განვითარებაზე როგორც რეგიონალური, ასევე მძიმე შიდაპოლიტიკური პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

ზემოხსენებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე აშშ-თან თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ვითარდება ორი მიმართულებით:

1. ორმხრივი ურთიერთობების დონეზე.
2. ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში.

აშშ-თან თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობების დონეზე

გასული წლის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა მიმდინარეობს მზარდი ტემპებით. ამის ნათელი დასტურია სხვადასხვა დონისა თუ შინაარსის ვიზიტებისა და შეხვედრების შედეგები, რომლებიც სულ უფრო ფართო შესაძლებლობებს გვაძლევს, ახალი პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მივიღოთ ჩვენთვის ახალ პროგრამებში, რაც უდავოდ, წაადგება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ რეორგანიზაციის პროცესსა და თანამედროვე ჯარის მშენებლობის საქმეს.

საქართველოში აშშ-ის თავდაცვის მდივნის ბ-ნ უილიამ კოენის ვიზიტმა ახალი იმპულსი შესძინა ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას, რომელიც თანდათან ღებულობს გამოკვეთილი სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების სახეს.

აშშ-ის სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურათა წარმომადგენლები (სხვადასხვა დონის) აქტიურად გვეხმარებიან ახალი თავდაცვითი სტრატეგიისა და კონცეფციის შექმნაში, რამაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს NATO-სთან თავსებადობის პრინციპის მიღწევის საქმეში. ამის დასტურია ბ-ნი დევიდ ოკმანეკის (კორპორაცია RAND-ის) წარმატებული თანამშრომლობა „უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო"-ს (ISAB) შემადგენლობაში. ზემოხსენებულ მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე დაყრდნობით 1998 წლის 22 მაისს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, განხორციელდეს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმა, რამაც მნიშვნელოვნად უნდა განაპირობოს ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარება. აღნიშნული გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო თავდაცვითი რესურსების მართვის სფეროს რეფორმირებისათვის დაწყებულმა მუშაობამ, კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა თავადაცვითი რესურსების მართვის ჯგუფი, რომელიც აშშ-ის თავდაცვითი რესურსების მართვის ინსტიტუტის (DRMI) წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს „საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების დირექტივების" (სახელმძღვანელოს – Ministerial Guidance) შექმნაზე, რომელიც პრაქტიკულად იქნება 2001-2010 წ.წ. პერიოდში შძ-ის განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამა. ამ მიმართულებით საქართველო-აშშ-ს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა მიმდინარე წლის 1-4 თებერვლის მონაკვეთში ევროპაში განლაგებული აშშ-ის ჯარების სარდლობის მიერ საქართველოს თავდაცვის სფეროს სრულმასშტაბიანი შესწავლა-შეფასების (Full Scale Defense Assessment) პროგრამის განხორციელებით. აღნიშნული შეფასების ამსახველი დოკუმენტი და შესაბამისი რეკომენდაციები ქართულ მხარეს წარედგინა ევროპაში განლაგებული აშშ-ის ჯარების სარდლის მოადგილის ადმირალ ჩარლზ ეიოტის ამა წლის 19-20 მარტს შემდგარი ვიზიტის დროს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა

რესპუბლიკებიდან ზემოხსენებული პროგრამა განხორციელდა მხოლოდ ბალტიის ქვეყნებში.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გასულ წელს დაწყებული პრინციპულად ახალი მიმართულება, რომელიც ეხება საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების დახურვას. ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის მხარის ინიციატივით დაიწყო კონსულტაციები ქართულ მხარესთან, რომელიც მიზნად ისახავს სტამბოლში მიღწეული შეთანხმების პუნქტების რეალიზაციას.

გასულ წელს რეალურად დაიწყო საქართველოში „საჰაერო სივრცის უსაფრთხოების ინიციატივის" განხორციელება (განვლილ პერიოდში ამერიკელი სპეციალისტების მიერ სრულად შესწავლილ იქნა საქართველოში არსებული როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო რადიოსალოკაციო სისტემები და შემუშავდა პირველადი რეკომენ-დაციები). ამა წლის 19-21 მარტს შედგა აშშ-ის ელექტრონული სისტემების მართვის ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში, რომლის დროსაც ქართულ მხარეს წარედგინა საქართველოს საჰაერო სივრცის მართვისა და სუვერენიტეტის სისტემების მოდერნიზაციის პროგრამის რეკომენდაციები (დოკუმენტი თარგმნილია ქართულ ენაზე).

დაიწყო თანამშრომლობა თავდაცვასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის საკითხებში (განხილულ იქნა ხელმოსაწერი შეთანხმების პროექტი).

ევროპაში განლაგებულ აშშ-ის ჯარების სარდლობასთან დაწყებული ძალზედ მჭიდრო კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდა 1999 წელს, რაც გამოიხატება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აშშ-ის სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) საქმია-ნობის დაწყებით (ამიერკავკასიაში საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც განლაგდება MLT). ეს თანამშრომლობა გვიხსნის ფართო შესაძლებლობებს რამოდენიმე მიმართულებით განვავითაროთ შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციის რთული პროცესი (სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები, ჯარის სახეობების რეორგანიზაცია, სერჟანტთა შემადგენლობის განვითარება და სხვა). ამის შესაძლებლობა გვეძლევა იმ ღონისძიებების ჩატარებით, რომლებიც მიზნად ისახავს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში არსებული გამოცდილების გაცნობა-გაზიარებას (MLT-ს ფარგლებში 2000

წლისათვის დაიგეგმა 50 ღონისძიება). აღნიშნული პროგრამა დროში არ არის შეზღუდული და ითვალისწინებს ყოველწლიურად გასამართ ღონისძიებათა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას, რისი დასტურიც არის მომავალ წელს გასამართ ღონისძიებათა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა (გასულ წელს გაიმართა სხვადასხვა სახის 13 ღონისძიება). (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: დანართი 1).

„უსაფრთხოების საკითხებში დახმარების" (Security Assistance Program – SAP) პროგრამის ფარგლებში 1999 წლიდან დაიწყო შემდეგი პროგრამების რეალიზება: **ვერტმფრენების პროგრამა** (ინფორმაცია იხილეთ: დანართი 2), **საკომუნიკაციო აპარატურის პროგრამა** და **საველე ფორმების მოწოდების პროგრამა** (ინფორმაცია იხილეთ: დანართი 4).

წარმატებულად მიმდინარეობს ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მომზადება აშშ-ში „საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის" (International Military Education and Training Program – IMET) პროგრამის ფარგლებში (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: დანართი 4), ისევე როგორც ჯ. მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ცენტრის (ქ. გარმიში, გერმანია) მიერ ჩატარებულ კურსებზე (იხილეთ: დანართი 3).

შენიშვნა: საერთო ჯამში საკომუნიკაციო აპარატურის შეძენაზე და სხვადასხვა სახის სასწავლო თუ საწვრთნელ ღონისძიებებზე უკვე დახარჯულია 4 527 734 აშშ დოლარი (1997 წლიდან).

ზემოაღნიშნული თანამშრომლობის გაღრმავებისა და არსებული პროგრამების ეფექტურად წარმართვის მიზნით, აშშ-ის მხარემ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოავლინოს (პერმანენტულ საფუძველზე სამუშაოდ) „უსაფრთხოების საკითხებში დახმარების" (SAP) პროგრამის ოფიცერი. მიმდინარე წლის მარტის თვეში აშშ-ის ჯარების ევროპული სარდლობიდან საქართველოში მოვლენილ იქნა კაპიტანი მაკქინი, რომელიც ოთხი თვე დაჰყოფს ამ პოსტზე და შეიცვლება ვიცე-პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედრო პირით. „უსაფრთხოების საკითხებში დახმარების" (SAP) პროგრამის ოფიცრის სამუშაო ოფისი განთავსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენობაში (მე-8 სართული) (SAP-ზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: დანართი 4).

მაღალ საფეხურზე ავიდა ორმხრივი თანამშრომლობა სამხედრო დაზვერვის სამსახურებს შორის. გასულ წელს ხელი მოეწერა

ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტს (გრიფი საიდუმლო), რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გაცვლის უშიშროების უზრუნველსაყოფად საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (სტრატეგიული კვლევების მთ. სამმართველო) და აშშ-ში ფუნქციონირებად საქართველოს სამხედრო ატაშატში დამონტაჟდა დაცული კავშირგაბმულობის სისტემები.

მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაიზარდა აშშ-ის სამხედრო სტრუქტურების დახმარება საქართველოში შძ-ში სპეციალური დანიშნულების ნაწილების ჩამოყალიბების პროცესში. მიმდინარე წელს ევროპული სარდლობისათვის საქართველო ნომერ პირველი პრიორიტეტის ქვეყანაა ზემოაღნიშნულ სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით (EUCOM J5-ის პოზიცია).

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მხრიდან წამოწყებულ პროექტებს შორის დამუშავების სტადიაში იმყოფება „აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებთან თანამშრომლობის გეგმის პროექტი", რომელიც ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობას შესძენს ახალ იმპულსს.

ნაყოფიერად მიმდინარეობს საქართველოს მონაწილეობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" (PFP) ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია აშშ-ის მხარის ფინანსური მხარდაჭერით.

ორმხრივი თანამშრომლობის უფრო ნაყოფიერად წარმართვის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კერძოდ, აშშ-ში დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში პირველი სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი არჩილ ცინცაძე, რაც ნათლად ადასტურებს არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

მიმდინარე წელს დაგეგმილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება

აშშ-ის მხარე საქართველოში ჩაატარებს „ჰუმანიტარული განაღმვის" წვრთნებს, რომელშიც ქართველ კოლეგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ (იგეგმება) აზერბაიჯანისა და სომხეთის მხარეთა წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით ამა წლის თებერვლის თვეში საქართველოში

იმყოფებოდნენ ამერიკელი სპეციალისტები, რომლებმაც მოინახულეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი კრწანისის (იაღლუჯა) პოლიგონი.

ამა წლის ივნისის თვეში თბილისში გაიმართა საქართველო-აშშ-ის თავდაცვის სამინისტროთა ორმხრივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. აშშ-ის დელეგაციას უხელმძღვანელებს თავდაცვის მდივნის მოადგილე ბ-ნ ედვარდ უორნერი.

— აშშ-ის როლის გაზრდა რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცების მიმართულებით

რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მის მეზობლებთან ურთიერთობების გაღრმავება და დაბალანსება. ამ მიმართულებით ძალზედ წარმატებით და მზარდი ტემპებით ვითარდება საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა სამხედრო სფეროში, რაც გამოიხატება თვისობრივად ახალი მიმართულებების განსაზღვრასა და რეალურად განხორციელებაში.

აღნიშნული პროცესების ამჟამინდელი და მომავალი წარმატება პირდაპირი შედეგია აშშ-ის მიერ საქართველოს მიმართ აღებული სტრატეგიული პარტნიორული კურსის. ზემოხსენებული პროცესების ეფექტურად წარმართვისათვის აშშ-ის მხარე ქმნის სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომლის მიზანია გააგრძელოს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტსა და თურქეთის გშ-ს შორის ამ მიმართულებით დაწყებული საქმიანობის კოორდინირებული წარმართვა. ეს მხარდაჭერა უდავოდ მისასალმებელია და დიდი იმედების მომცემი, რადგანაც სამხედრო სფეროში საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის გაღრმავების პროცესისადმი აშშ-ის პოზიტიური დამოკიდებულება გარდაუვალს გახდის ახალი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოების სისტემების გაძლიერებასაც.

გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამა (Joint Contact Team Program — JCTP)

სამხედრო მეკავშირე გუნდი (Military Liaison Team — MLT)

აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროპაში განლაგებული აშშ-ის ჯარების სარდლობას შორის და მიმდინარეობს გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამის (Joint Contact Team Program – JCTP) ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა, რომელშიც აგრეთვე შედის „ქვეყნებს შორის პარტნიორობის" პროგრამაც (State Partnership Program), უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიებს შორის (MLT-ის ხელმძღვანელის მოადგილე ინიშნება სწორედ ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიიდან – ამჟამად ვიცე-პოლკოვნიკი ნატერი) და, ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას. პირველი სამუშაო პროგრამა (1998-1999 წ.წ.) ხელმოწერილია 1998 წლის 10 ნოემბერს (საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა შმ-ის გშ-ის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯ. ფირცხალაიშვილმა), ხოლო 1999-2000 წ.წ. სამუშაო პროგრამა 1999 წლის 15 დეკემბერს (ხელი მოაწერა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა გ. ქათამაძემ). ხელმოწერილი თანამშრომლობის პროგრამის მიხედვით, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის დაგეგმარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის (J5) ეგიდით, მოქმედი სამხედრო მეკავშირე გუნდი (Military Liaison Team – MLT), 1999 წლის აგვისტოში ოთხი კაცის (პირველი ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ჰაროლდ მაკქინი. ამჟამინდელი პოლკოვნიკი ჩარლზ ბრედლი) შემადგენლობით მუშაობას შეუდგა უშუალოდ საქართველს თავდაცვის სამინისტროს შენობაში (მე-8 სართული). სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) სამუშაო ოფისის ოფიციალური პრეზენტაცია შედგა 1999 წლის 13 სექტემბერს, რომელშიც აშშ-ის მხრიდან მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აშშ-ის ელჩმა ბ-ნმა იალოვიცმა, ევროპაში განლაგებულ აშშ-ის ჯარების სარდლობის დაგეგმარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა გენერალ-მაიორ ჩარლზ ვექსმა და გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამის (JCTP) ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა მილერმა. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წლის 28 მაისს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბატონმა გრიგოლ ქათამაძემ ხელი მოაწერა აშშ-ის სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის მემორანდუმს, რომელშიც ასახულია საქართველოს თავდაცვის

სამინისტროში ამერიკელ სამხედროთა მუშაობის პირობები და განსაზღვრულია მათი სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გაცილებით კოორდინირებულად და შესაბამისად ეფექტურად წარიმართა 2001 წლის სამუშაო პროგრამის დაგეგმარების პროცესი, კერძოდ: ამა წლის თებერვლის თვეში საქართველოს თს-ოს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) ხელმძღვანელობასთან გაიმართა წინასწარი კონსულტაციები სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) 2001 წლის „ქვეყნის შიდა სამუშაო გეგმ"-ის შემუშავების მიზნით, რაც გამოიხატება კონკრეტულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით მიმართულებებისა და ღონისძიებების წინასწარი მონახაზის შექმნაში. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი მხრიდან „გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამის"-ადმი (JCTP) თვისობრივად ახალი, კოორდინირებული მიდგომა ეფექტურს გახდის სამხედრო მეკავშირე გუნდის (MLT) საქმიანობას.

დანართი №2

პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპი ჩატარდა 1999 წლის იანვრის თვეში: საქართველოში იმყოფებოდა აშშ-ის ექსპერტთა ჯგუფი (Helicopter Survey Team),რომელმაც ადგილზე შეისწავლა საქართველოში ამერიკული ვერტმფრენების დისლოცირებისა და შემდგომი მომსახურებისათვის აუცილებელი პირობები და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა აშშ-ში პროგრამის აღმასრულებელ ორგანიზაციებს (პირველადი რეკომენდაციით ვერტმფრენები უნდა ბაზირებულიყო თბილისის საავიაციო გაერთიანების კუთვნილ ანგარებში).

უკვე შეირჩა საქართველოსთვის გადმოსაცემი ვერტმფრენები: განახლებული 6 ერთ. (დისლოცირებულია გერმანიაში) და 4 ერთ. სათადარიგო ნაწილებისათვის. გამოყოფილია და დამტკიცებულია ვერტმფრენების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო 9,5 მლნ. აშშ დოლარი.

პროგრამის მეორე ეტაპის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლების (თავდაპირველად 12 მფრინავი, 24 ინჟინერ-მექანიკოსი და 4 დისპეტჩერი) აშშ-ში გადამზადებასა და საქართველოში ამერიკელი სპეციალისტების ჯგუფის ჩამოსვლას (ადგილზე მოამზადებენ ამერიკული წარმოების ვერტმფრენების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი სპეციალისტების დამატებით კონტინგენტს), საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გასულ წელს შეასრულა ორი მოთხოვნა, კერძოდ:

1. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის მიერ შეირჩა აშშ-ში გასაგზავნი კანდიდატები. მფრინავებისა და ინჟინერ-მექანიკოსების სია გადაეცა საქართველოში აშშ-ის თავდაცვის ატაშეს ოფისს. აღნიშნული ჯგუფის დაკომპლექტება შეფერხებული იყო საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებში ტექნიკური პერსონალის სიმცირის გამო.

2. გასული წლის 28 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა გ. ქათამაძემ ხელი მოაწერა „შეთავაზებისა და მიღების წერილებს" (Letter of the Offer and Acceptance – LOA), რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ კონტრაქტებს: პირველი ეხება ქართველი მფრინავებისა და ინჟინერ-მექანიკოსების აშშ-ში გადამზადებას (საერთო თანხა 2 596 347 აშშ დოლარი), ხოლო მეორე – ამერიკელი სპეციალისტების ჯგუფის საქართველოში ვიზიტს (საერთო თანხა 378 221 აშშ დოლარი).

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლების აშშ-ში გაგზავნა დაიწყო 1999 წლის ივლისის თვიდან, ხოლო ამერიკელი სპეციალისტების საქართველოში სამუშაო ვიზიტის ვადები დაზუსტდება მოგვიანებით.

რაც შეეხება უშუალოდ ვერტმფრენების მიღების პროგრამის ძირითადი ნაწილის განხორციელებას, მას 6,5 მლნ. აშშ დოლარი დასჭირდება. ამასთან დაკავშირებით გასული წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს თადაცვის მინისტრის მოადგილემ გ. ქათამაძემ ხელი მოაწერა რიგით მეორე „შეთავაზებისა და მიღების წერილ"-ს (Letter of Offer and Acceptance), რომელიც წარმოადგენს კონტრაქტს უშუალოდ ვერტმფრენების მოწოდებაზე.

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის მიერ უკვე შეირჩა სამი პასუხისმგებელი პირი, რომლებიც საქართველოში კოორდინაციას გაუწევენ პროგრამის განხორციელებასა და შემდგომი რეკომენდაციების შესრულებას:

1. პროგრამის მენეჯერი (Program Manager) – კაპიტანი იაკობიძე ნუგზარი;

2. წვრთნების მენეჯერი (Training Manager) – მაიორი ტალაბაძე გია;

3. შენაერთის მეთაური (Unit Commander) – პოლკოვნიკი დემეტრაშვილი ელგუჯა.

ვერტმფრენების საქართველოში ჩამოტანა შესაძლებელ იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომზადებული 6 მფრინავი და 24 მექანიკოსი დაბრუნდება საქართველოში. ადრე დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით, სათადარიგო ნაწილებისათვის გათვალისწინებული UH-1 ტიპის 4 ვერტმფრენის ჩამოტანა ნავარაუდევი იყო 2000 წლის მარტ-აპრილში, ხოლო UH-1H ტიპის 6 ძირითადი ვერტმფრენისა – 2000 წლის ნოემბერში. სამწუხაროდ, ჩვენი წარმომადგენლების მიერ ინგლისური ენის შესწავლის პროცესში წარუმატებლობის მიზეზით, არსებითად შეიცვალა ზემოაღნიშნული გრაფიკი, კერძოდ: საბოლოო ინფორმაციით, სათადარიგო ნაწილებად დასაშლელი ოთხი ვერტმფრენის საქართველოში ჩამოტანა განხორციელდა 2001 წლის გაზაფხულზე, ხოლო თვით 6 ვერტმფრენისა – იმავე წლის ზაფხულში. პარალელურად განზრახულია შეკეთდეს მარნეულში განლაგებული საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე არსებული ვერტმფრენების ანგარი (თანხა გათვალისწინებულია თურქეთის მხარის მიერ გამოყოფილ 2000 წლის გრანტში) და შეიქმნას ამერიკული ვერტმფრენების მომსახურების ზურგის სამსახურის პროგრამა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში თურქეთის მხარე მზადაა გადმოგვცეს ანალოგიური ტიპის 2 ვერტმფრენი.

დანართი №3

ჯ. მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ცენტრი (ქ. გარმიში, გერმანია):

რამდენიმე წელია, რაც საქართველო მონაწილეობას ღებულობს

აღნიშნულ ცენტრში გამართულ სასწავლო კურსებსა და კონფერენციებში. წლის განმავლობაში ცენტრში რამდენჯერმე იმართება სხვადასხვა შინაარსისა და მონაწილეთა რანგის სასწავლო კურსები. საქართველოდან სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად ოზავნებიან: თავდაცვის სამინისტროს, პარლამენტის, უშიშროების საბჭოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. გასულ, 1999 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ჯ. მარშალის სახელობის სასწავლო ცენტრში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. მიმდინარე წელსაც გატარდება ანალოგიური პოლიტიკა.

მიმდინარე წელს დაგეგმილი ღონისძიებებიდან ყურადღების ღირსია თვისობრივად ახალი ტიპის სემინარი, კერძოდ, ზემოხსენებული ცენტრის ეგიდით ვაშინგტონში გაიმართება (18-25 მარტის) საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარი – „ქართული დიალოგი 2000“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისა და ეკონომიკური სექტორის წარმომადგენლები.

დანართი №4

უსაფრთხოების საკითხებში დახმარების პროგრამა (SAP) მოიცავს:

საერთაშორისო სამხედრო სწავლების პროგრამა (International Military Educating Training Program – IMET)

უკვე 6 წელია, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობს IMET-ის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, რომელთა ფინანსირების ბიუჯეტი ამ წლების განმავლობაში რამდენიმე ათასი აშშ დოლარიდან გაიზარდა 400 ათასამდე 1999 წელს (ფინანსური წელი ითვლება ოქტომბერი-სექტემბერი). პროგრამის ფარგლებში ჩვენ საშუალება გვეძლევა აშშ-ში მოვამზადოთ: სამხედრო სპეციალისტები სხვადასხვა სფეროში, ინგლისური ენის პედაგოგები და მივიღოთ აშშ-ის მხრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში ინგლისური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად აუცილებელი აპარატურა (კერძოდ, ლინგოფონური კაბინეტები).

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს ინგლისური ენის შემსწავლელი კაბინეტი, მეორე ლინგოფონური კაბინეტი გაიხსნა კოჯრის სასწავლო ცენტრში, ხოლო მესამე (ფასი 60000 აშშ დოლარი) ლინგოფონური კაბინეტი გაიხსნება ქუთაისში.

განვლილი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული. მაგ: ამჟამინდელმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ დაამთავრა აშშ-ის არმიის სამეთაურო და გენერალური შტაბის კოლეჯი, შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სპეციალობის ორ ათეულზე მეტმა წარმომადგენელმა გაიარა სწავლება აშშ-ში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში სწავლებას გადის პირველი ქართველი სამხედრო მოსამსახურე (ვიცე-პოლკოვნიკი გ. გიორგობიანი). მეტი ყურადღება ეთმობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან (Decsion Making Process), სამშვიდობო ბატალიონის შექმნასთან და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებულ კურსებზე ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნას. უკვე დაიგეგმა და დამტკიცდა 1999-2000 სასწავლო წლებში საქართველოსათვის სხვადასხვა სპეციალობის 15 კურსი.

საგარეო სამხედრო გაყიდვები (Foreign Military Sales – FMS)

საქართველო ამოღებულ იქნა აშშ-ის „იარაღით საერთაშორისო რეგულირების სიიდან", რაც ავტომატურად ხსნის ორმხრივი თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებს და უკვე ამ ეტაპზე იძლევა საშუალებას საგარეო სამხედრო გაყიდვების (Foreign Military Sales – FMS) პროგრამის ფარგლებში აშშ-დან მივიღოთ სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ინვენტარი. რადგანაც ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობები, რომ დამოუკიდებლად აწარმოოს სხვადასხვა სახის სამხედრო შესყიდვები, მიღწეულ იქნა შეთანხმება, აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრებით, საგარეო დაფინანსების (Foreign Military Financing – FMF) პროგრამის ჩარჩოებში ვაწარმოოთ ზემოხსენებული შესყიდვები.

საგარეო სამხედრო დაფინანსება (Foreign Military Financing – FMF)

1. **ვერტმფრენების პროგრამა** – ითვალისწინებს: ა) საქართველოს მხარისთვის 6 ამერიკული წარმოების ვერტმფრენისა (ტიპი UH-IH; ძრავის ტიპი-22) და მათი შემდგომი მომსახურებისთვის საჭირო მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების გადმოცემას 2001 წლისათვის; ბ) აშშ-ში 12 ქართველი მფრინავისა და 24 ინჟინერ-ტექნიკოსის გადამზადებას ვერტმფრენების შემდგომი ექსპლუატაციისა და მომსახურების მიზნით (აშშ-ში უკვე გაიგზავნა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების 28 წარმომადგენელი).

უკვე შეირჩა საქართველოსთვის გადმოსაცემი ვერტმფრენები: განახლებული 6 ერთ. (დისლოცირებულია გერმანიაში) და 4 ერთ. სათადარიგო ნაწილებისათვის.

ქართველი მფრინავებისა და ინჟინერ-მექანიკოსების აშშ-ში გადამზადების საერთო თანხა შეადგენს 2 596 347 აშშ დოლარს, ამერიკელი სპეციალისტების ჯგუფის საქართველოში ვიზიტს მოხმარდება 378 221 აშშ დოლარი, ხოლო უშუალოდ ვერტმფრენების შეკეთებასა და საქართველოში ჩამოტანას დასჭირდება 6 358 233 აშშ დოლარი.

საბოლოო ინფორმაციით, სათადარიგო ნაწილებად დასაშლელი ოთხი ვერტმფრენის საქართველოში ჩამოტანა განხორციელდება 2001 წლის გაზაფხულზე, ხოლო 6 ვერტმფრენის კი იმავე წლის ზაფხულში.

2. **საკომუნიკაციო აპარატურის პროგრამა** – ითვალისწინებს: საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ამერიკული ფირმა ITT-ის წარმოების 1 500 000 აშშ დოლარის ღირებულების საკომუნიკაციო აპარატურის მოწოდებას (დამონტაჟდება სამხედრო-სატვირთო ავტომობილებზე). ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით აღნიშნული აპარატურა საქართველოში ჩამოვა 2000 წლის გაზაფხულზე.

3. **საველე ფორმების მოწოდების პროგრამა** – ითვალისწინებს: საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის 1 863

639 აშშ დოლარის ღირებულების საველე ფორმებისა და ფეხსაცმლების მოწოდებას, კერძოდ: 7 250 ცალი საველე ქურთუკი (უკვე შემოვიდა 3 086 ერთეული), 7 250 ცალი კომუფლირებული შარვალი (უკვე შემოვიდა 2 702 ერთეული), 8 250 ცალი ქუდი (უკვე შემოვიდა 4 870 ერთეული) და 15 550 წყვილი ფეხსაცმელი (უკვე შემოვიდა 8 464 წყვილი). ბოლო მონაცემებით გათავისუფლებულ იქნა რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახურის მიერ ქ. მოსკოვში დაკავებული სამხედრო ფორმების ტვირთი, რომელიც უახლოეს ხანში ტრანსპორტირებულ იქნება საქართველოში.

. ზედმეტი თავდაცვითი აღჭურვილობის პროგრამა (Excess Defense Articles)

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს აშშ-ის შძ-ის შეიარაღებიდან ამოღებული სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ინვენტარის მიღებას, რაც, თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალზედ აქტუალურია და აქვს პერსპექტივაც.

დღეისათვის აშშ-ის მხრიდან მიღებულია შემოთავაზება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ტაქტიკური რადიოების გადმოცემას. აღნიშნული რადიოები დასაწყობებულია გერმანიაში განლაგებულ აშშ-ის შძ-ის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე და მათი ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია, როგორც ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი, მაგრამ შეკეთებადი. ამჟამად ველოდებით აღნიშნული აპარატურის ტექნიკური მდგომარეობის დეტალურ დახასიათებას, გადმოსაცემი ტექნიკის რაოდენობასა და „საგარეო სამხედრო დაფინანსების" (FMF) პროგრამის ფარგლებში მის შესაძლო შეკეთებაზე პასუხს.

Серго Арабули

КРАТКИЙ ОБЗОР СОТРУДНИЧЕСТВА ГРУЗИИ И США В ВОЕННОЙ СФЕРЕ В 90-х ГОДАХ XX В.

Резюме

После распада Советского Союза мы стали свидетелями сближения интересов Грузии и стран Запада. В этом плане особую роль сыграли (и до сих пор играют) отношения с США, которые развиваются не только в экономической, но и в военной сфере. Грузия вступила в программу НАТО "Партнерство во имя мира" и многие наши офицеры прошли соответствующие курсы в военных институтах США.

США обновили материальные базы многих военных частей Грузии, что свидетельствует о большом интересе США к нашему государству.

В работе рассмотрены не использованные до настоящего времени документы.

მიხეილ მიძელაძე

საფრანგეთი პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მოღვაწეობის წლებში

თანამედროვე საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელსაც თავისი ეკონომიკური განვითარებით მეოთხე ადგილი უკავია მსოფლიოში. 1997 წ. საფრანგეთის საერთო ეროვნულმა პროდუქტმა 1351 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი საშუალო წლიური საკაჭრო მოგება 30 მლრდ. დოლარის ფარგლებში მერყეობს. საფრანგეთს მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში როგორც მრეწველობის, ასევე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის დარგში.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი საშუალო წლიური მონაცემები, დარგების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

- მშენებლობა – 132,2 მლრდ. აშშ დოლარი
- კვების მრეწველობა –111,8 მლრდ. დოლარი (ევროპის I ექსპორტიორი და IV მწარმოებელი)
- ქიმიური მრეწველობა – 70 მლრდ. დოლარი (მსოფლ. IV ექსპორტიორი)
- ფარმაცევტული მრეწ. – 28,2 მლრდ. დოლარი (მსოფლ. IV მწარმოებელი და V ექსპორტიორი)
- საავტომობილო მრეწ. – 65,6 მლრდ. დოლარი (მსოფლ. VIII მწარმოებელი და III ექსპორტიორი)
- მეტალურგია – 52,1 მლრდ. დოლარი
- ტელეკომუნიკაციები – 39,1 მლრდ. დოლარი
- სამეცნიერო კვლევები – 31,6 მლრდ. დოლარი (IV მსოფლიოში)
- ტურიზმი – 62,4 მლნ. ტურისტი წელიწადში (I ადგილი მსოფლ.)
- შაქრის ჭარხალი – 30,7 მლნ. ტ. წელიწადში (II მსოფლიოში)
- ღვინო – 59 მლნ. ჰექტოლიტრი (II ევროპასა და მსოფლიოში)
- რძე – 23,4 მლნ. ტ. (II ევროპაში, V მსოფლიოში)
- მარცვლეული – 58,5 მლნ. ტ. (I ევროპაში, VIII მსოფლიოში)

საფრანგეთი 51,4%-ით არის უზრუნველყოფილი საკუთარი ენერგიით. მისი ენერგომომარაგების 40,5% ნავთობზე მოდის, 37,5% – ელექტროენერგიაზე, 13,6% – გაზზე და 6,6% – ქვანახშირზე.

ინფლაციის საშუალო წლიური დონე 1,1% შეადგენს.

მართალია, ცხოვრების დონე საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, მაგრამ ეროვნული სიმდიდრე მეტად არათანაბრად არის განაწილებული. მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ნაწილი (5%) ფლობს ქვეყნის სიმდიდრის 40%, ხოლო 50% ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ 8%-ით არის უზრუნველყოფილი. ქვეყანაში სოციალურად ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი 6 მლნ. ადამიანია, 3 მლნ. უმუშევარი და 3 მლნ. მოსამსახურეა, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 5000 ფრანკს არ აღემატება.

ჟაკ შირაკის პრეზიდენტობის პირველსავე წელს (1995 წ.) ქვეყანას გაფიცვების უზარმაზარმა ტალღამ გადაუარა. როდესაც ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, ხელისუფლების წინაშე ორი მნიშვნელოვანი ამოცანა დადგა: საფრანგეთს უმოკლეს ვადაში უნდა მოეწესრიგებინა თავისი ფინანსური მდგომარეობა მაასტრიხტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნორმებში. პრეზიდენტსა და მის მემარჯვენე გარემოცვას არანაკლებ აღელვებდა ეროვნული კრების (ასამბლეა) მომავალი არჩევნების შედეგები, რომელიც 1998 წ. გაზაფხულისათვის იყო დაგეგმილი. ეს შიში იმითაც იყო გამოწვეული, რომ წინა არჩევნებში დამარცხების მიუხედავად, ძალას იკრებდა ლიონელ ჟოსპენის სოციალისტური პარტია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კრების დეპუტატების უმრავლესობას შირაკის თანაპარტიელები („რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანება“) და მისი მოკავშირეები შეადგენდნენ, პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრ ალენ ჟუპესა და პრეზიდენტის აპარატის მეთაურის — დომინიკ დე ვილპენის რჩევით, საბედისწერო, პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი ნაბიჯი გადადგა. მან თავისი წინამორბედის, ფ. მიტერანის მიბაძვით (რომელმაც ორჯერ დაითხოვა ეროვნული კრება და წარმატებასაც მიაღწია), დაითხოვა ეროვნული კრება და 1997 წ. მაისში მოაწყო ვადამდელი არჩევნები იმ იმედით, რომ კიდევ უფრო გაიმაგრებდა საკუთარ პოზიციებს.

„გენიალური სვლის“ შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა დიდი პოლიტიკური გამოცდილების შირაკისათვის. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს მემარცხენეებმა — სოციალისტებმა,კომუნისტებმა და „მწვანეებმა“.

აანალიზებენ რა არჩევნების შედეგებს, ანალიტიკოსები გამოყოფენ მემარჯვენეების დამარცხების ორ ძირითად მიზეზს: პირველი მათგანი

იმაში მდგომარეობს, რომ წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად, არავითარი წინსვლა არ იგრძნობოდა ქვეყნის ეკონომიკურ, საფინანსო და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ძალზე მცირე იყო საფრანგეთის შანსი, — დაეკმაყოფილებინა ევროპის ერთიანი ვალუტის შემოღების კრიტერიუმი. არჩევნების შედეგებზე არანაკლებ იმოქმედა შირაკის რჩეულის, — ალენ ჟუპეს უკიდურესმა არაპოპულარობამ, რომელმაც, ამ მხრივ მიტერანის დროინდელი პრემიერი, ედიტ კრესონიც კი დაჩრდილა (20%). თავისი არაპოპულარობით ჟუპე დიდ ზიანს აყენებდა შირაკსაც, რომელსაც ამომრჩეველების მხოლოდ 30% უჭერდა მხარს.

1998 წ. 2 ივნისს საფრანგეთის მთავრობის მეთაურის პოსტზე დაინიშნა ლ. ჟოსპენი, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, მოქნილმა, კოლეგიალურმა და ყოველგვარი დოგმების მოწინააღმდეგე ხელმძღვანელმა. ახალმა პრემიერმა უმოკლეს დროში ჩამოაყალიბა მთავრობის კაბინეტი, რომლის წევრები თავისი კომპეტენტურობითა და პირადი თვისებებით საზოგადოებრივი აზრის დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. დასაქმებისა და სოციალური პრობლემების მინისტრად დაინიშნა მარტინა ობრი (ევროპის კომიისის ყოფილი თავმჯდომარის — ჟაკ დელორის ქალიშვილი). ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის სუპერსამინისტროს სათავეში ჩაუდგა ჟოსპენის თანამებრძოლი ცნობილი ეკონომისტი დომინიკ სტროს-კანი, რომელმაც მთავარ ამოცანად დაისახა ევრო-ს შემოქმედთა შორის საფრანგეთისათვის ადგილის უზრუნველყოფა. განათლების მინისტრის პოსტი დაიკავა მსოფლიოში სახელგანთქმულმა მეცნიერ-ფიზიკოსმა კლოდ ალეგრმა. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ელისეს სასახლის ყოფილი გენერალური მდივანი იუბერ ვედრინი, რომელიც ცნობილია, როგორც ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი ავტორი, ევროკავშირისა და საერთო ვალუტის შემოღების მომხრე. ახალ მთავრობაში სამი კომუნისტია, ხოლო მთავრობის წევრთა მესამედს (7) ქალები შეადგენენ. ამრიგად, ჟოსპენმა პირნათლად შეასრულა წინასაარჩევნო დაპირება: მთავრობა გაახალგაზრდავდა და ფემინიზება განიცადა.

თავდაპირველი პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, ჟოსპენის კოალიციური მთავრობის „მემარცხენე რეალიზმის“ პოლიტიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო ჟუპემ, ადვილად განახორციელეს ჟოსპენმა და სტროს-კანმა. მათ გამოძებნეს

რესურსები ბიუჯეტის გაწონასწორებისათვის ისე, რომ იგი საკუთარი აკმაყოფილებდა მაასტრიხის მოთხოვნებს და, ამავე დროს, არ იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას.

სტროს-კანის საბიუჯეტო საქმიანობამ, რომელსაც აშკარა სოციალისტური მიმართულება აქვს, გერმანელი საფინანსო დისციპლინის ზედამხედველების და ევროკომისიის დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის გამოა, რომ 1999 წ. შემოღებული საერთოევროპული ვალუტის ერთ-ერთ შემოქმედად საფრანგეთი იქცა.

ლ. ჟოსპენის მთავრობის მოღვაწეობის შედეგები ასე შეიძლება შეფასდეს: ქვეყანა მუშაობს, უმჯობესდება საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, ხალხის განწყობა ნაკლებად პესიმისტურია, მთავრობის პლურალისტული უმრავლესობა ჯერჯერობით მყარად დგას, ბირჟის კურსი მაღლა იწევს, ევროპელი „ცენზორები" კმაყოფილები არიან. ამ სიტუაციის შემხედვარე ოპოზიციაც კი იძულებულია აღიაროს, რომ „ჟოსპენი მატინიონში (პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია) უფრო დიდხანს შეიძლება დარჩეს, ვიდრე გვგონია". თუ ასე გაგრძელდა, „ადამიანის სახის მქონე მოდერნიზაციის" ავტორის შანსები 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მკვეთრად გაიზრდება, ასკვნიან მიმომხილველები.

რაც შეეხება შირაკს, რომელიც მემარცხენე გარემოცვაში აღმოჩნდა, იძულებულია ჟოსპენთან მშვიდობიანი „თანაარსებობით" დაკმაყოფილდეს, რადგანაც იგი საკუთარი პარტიის კონტროლის უნარსაც კი კარგავს. მემარჯვენე ოპოზიციის წიაღში არსებულ კრიზისზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის აპრილში შირაკთან უთანხმოების ნიადაგზე, მთავარი მემარჯვენე პარტიის ლიდერის პოსტიდან გადადგა ფილიპ სეგენი.

მართალია, საგარეო პოლიტიკა ტრადიციულად პრეზიდენტის მოღვაწეობის პრივილეგირებულ სფეროდ მიიჩნევა, მაგრამ დღევანდელი საფრანგეთის სინამდვილეში საგარეო საქმეთა სამინისტრო აღარ კმაყოფილდება ელისეს სასახლის მრჩეველების მიერ განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური კურსის უბრალო შემსრულებლის როლით.

პოსტკომუნისტური პერიოდის „ახალმა მსოფლიო უწესრიგობამ", ძლიერ შეზღუდა საფრანგეთის საერთაშორისო ამბიციები და მისი პოლიტიკა მოკავშირეების მიმართ ბევრად უფრო ლიბერალური გახდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შირაკის საფრანგეთი დაზღვეულია „განსაკუთრებულობის" გამოვლენის რეციდივებისაგან. იგი კვლავ

დასავლეთის ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც რუსეთისა და ჩინეთის მსგავსად, დაგმო აშშ და დიდი ბრიტანეთის მიერ ერაყის დაბომბვა (1998 წ. დეკემბერი). სამაგიეროდ, საფრანგეთი აქტიურ მონაწილეობას იღებს სერბეთის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციებში, რათა „დაიცვას მშვიდობა, ადამიანის უფლებები და სტაბილურობა ბალკანეთში".

კოსოვოს კრიზისმა და ნატო-ს ოპერაციებისადმი დამოკიდებულებამ საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრის დაყოფა და დაპირისპირება გამოიწვია. პრეზიდენტი და მთავრობა (კომუნისტების გამოკლებით) მხარს უჭერენ ნატო-ს მოქმედებებს. ფრანგული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი (შარლ პასკუა, შარლ მილონი, ჟაკ ტინე, გაბრიელ რობენი, ფრანსუა ოლანდი) აშშ-სა და ნატო-ს კრიტიკით გამოდის და მოითხოვს, რომ ევროპამ თვითონ იკისროს საკუთარი უშიშროებისა და ინტერესების დაცვა. სხვათა შორის, ფილიპ სეგენმა თავისი გადადგომის ერთ-ერთ მოტივად შირაკის „ზღვარგადასული ატლანტიზმის" პოლიტიკისადმი პრინციპული უთანხმოება დაასახელა.

დღევანდელი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება: ხალხთა უფლება — თავად განაგონ თავიანთი სვე-ბედი; ადამიანის უფლებების დემოკრატიის პრინციპების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ერთა შორის თანამშრომლობის პატივისცემა; საფრანგეთის ამოცანა, — დაიცვას თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და, ამასთანავე, იღვაწოს რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ერთიანი ევროპის აშენებისათვის ზრუნვა. ევრო-ს ფულად მიმოქცევაში შემოღება, ისევე როგორც ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და ნატო-ში ახალი წევრების მიღება და ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება, — საფრანგეთის ევროპული პოლიტიკის განხორციელების კონკრეტულ მაგალითებს წარმოადგენენ.

საფრანგეთი, როგორც გაერო-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სამშვიდობო ოპერაციებში, რომელთა არეალი ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ინდოჩინეთის, ბალკანეთისა და სხვა რეგიონების ქვეყნებს მოიცავს.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებად სამყაროსთან, პირველ რიგში კი აფრიკის, ფრანკოფონიისა (ფრანგული ენის გავრცელების) და არაბული სამყაროს ქვეყნებთან ურთიერთობებს. საფრანგეთი განვითარებად ქვეყნებს ყოველწლიულად დახმარების სახით გადასცემს 7 მლრდ. დოლარზე მეტს, რომლის ორი მესამედი ფრანკოფონურ აფრიკაზე მოდის. მართალია, თანდათანობით მცირდება ყოფილი მეტროპოლიის გავლენა „შავ კონტინენტზე", მაგრამ იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს აფრიკის ხუთი ქვეყნის (სენეგალი, სპილოს ძვლის ნაპირი, გაბონი, ჩადი და ჯიბუტი) ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებს, ხოლო კიდევ უფრო მეტ ქვეყანასთან დადებული აქვს სამხედრო, ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

შირაკის საფრანგეთი არ ღალატობს ტრადიციულ პროარაბულ სიმპათიებს, რაც ლიბიისა და ერაყისათვის ემბარგოს მოხსნისა და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოთხოვნებშიც ვლინდება. უკანასკნელად, ანალოგიურმა მოთხოვნებმა ლ. ჟოსპენის ეგვიპტეში განხორციელებული ერთდღიანი ვიზიტის დროსაც (1999 წ. მაისის დასაწყისი) გაიჟღერა.

საფრანგეთ-ამერიკის ბოლო წლების ურთიერთობები შეიძლება ჩითვალოს დამაკმაყოფილებლად, თუმცა მაინც შეიმჩნევა გარკვეული გადახრები „ნორმიდან". ეს იმით არის გამოწვეული, რომ „ტექნოკრატი" ამერიკელები ქედმაღლურად უყურებენ „სოციალისტურ" სისტემაზე მიჯაჭვულ საფრანგეთს, რომელშიც ისინი თავიანთ ყველაზე სერიოზულ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს ხედავენ. ვალში არც ფრანგები რჩებიან, რომელთა 80% „შეშფოთებას გამოთქვამს აშშ-ს ჰეგემონიის გამო როგორც ბალკანეთის სამხედრო ოპერაციაში, ასევე მსოფლიო მასშტაბით". ყოველივე ამას ემატება ევროპის უსაფრთხოების განმტკიცებაში ევროპელების „განსაკუთრებული როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების" შესახებ ბოლო დროს გახშირებული განცხადებები (მათ შორის შირაკის მიერ ნატო-ს 50 წლისთავის საიუბილეო შეხვედრაზე გაკეთებული), რომელიც კოსოვოს კრიზისის „ვიეტნამიზაციის" პერსპექტივის შიშით არის გამოწვეული. ფრანგების, ისევე როგორც მრავალი ევროპელის გონებაში თანდათან ყალიბდება საკუთარი, წმინდა ევროპული სამხედრო-პოლიტიკური სისტემის შექმნის იდეა.

ორი ქვეყნის ურთიერთობებს ძაბავს, აგრეთვე, ევროპასა და

ამერიკას შორის დროდადრო წარმოშობილი ე.წ. „სავაჭრო ომები“, რომლებიც სულ უფრო და უფრო მასშტაბურ და პერმანენტულ ხასიათს იძენს.

მიტერანისაგან განსხვავებით, შირაკს ბევრად უფრო კარგი დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, რომელიც ამ უკანასკნელთან ურთიერთობებს პრივილეგირებულს უწოდებს. იგი მიიჩნევს, რომ „უსაფრთხოების ევროპული სისტემა წარმოუდგენელია რუსეთის გარეშე“. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი საერთაშორისო პრობლემის გარშემო საფრანგეთისა და რუსეთის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებიდან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სერბეთის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციებში, პირველი საფრანგეთი გამოეხმაურა ჩერნომირდინის საშუამავლო მისიას და თავის მოკავშირეებსაც ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისაკენ მოუწოდებს.

Михаил Микеладзе

ВНУТРЕННЯЯ ПОЛИТИКА ЖАКА ШИРАКА

Резюме

В данной статье рассмотрена внутренняя политика Жака Ширака. Здесь же даны показатели и динамика французской экономики. В статье использованы до сих пор не исследованные материалы.

ტრადიციული ფასეულობები ან დემოკრატია: რეალური თუ ყალბი ალტერნატივა?

თანამედროვე ქართული საზოგადოება, როგორც გარდამავალ საფეხურზე მდგომი, სოციოკულტურული სისტემა, ალბათ, ლოგიკური პრობლემის წინაშე დგას, რაც ფასეულობათა გადაფასების, საზოგადოების ორგანიზაციის ახალი მოდელის შემუშავების აუცილებლობაში მდგომარეობს. ამას მოითხოვს რეალური სიტუაცია, რადგან, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის დაშლის შემდეგ, ჩვენ არსობრივად სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდით. ამიტომ ღირებულებითი სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა, შეიძლება ითქვას, ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. თითქოს ბუნებრივად გვეჩვენება ჩვენში არსებული კონფლიქტური ვითარება, რომელიც ისევ და ისევ ღირებულებითი ორიენტაციის გარშემო იქმნება სხვადასხვა საზოგადოებრივ დაჯგუფებას შორის. აშკარაა, რომ ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას დროის მოთხოვნათა შესაბამისი ადაპტაციური მექანიზმი, რადგან „კულტურის სიძლიერე, სიცოცხლისუნარიანობა მისი დინამიზმით განისაზღვრება, ანუ იმით, თუ რამდენად ახერხებს და რამდენად სწრაფად ახერხებს იგი შეცვლილი პირობების შესაბამისად ახალი ღირებულებების გამომუშავებას“ [3,56].

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ხედავდა თავისი თანამედროვე საზოგადოების „განახლების“ საჭიროებას. მას მიაჩნდა, რომ ტრადიციული მექანიზმები, რომლებიც ეფექტურ როლს ასრულებდა წარსულში, ყოველთვის ქმედითნი არ არიან. ის, რომ ქართული კულტურა სიცოცხლისუნარიანი იყო გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში, განაპირობა იმან, რომ „იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით..., დროთა შესაფერისი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შესაფერისი ცოდნა გვქონდა“ [4,176]. ეს მოსაზრება, ალბათ, სასარგებლოა დღევანდელობაშიც, იმ თვალსაზრისით, რომ საფრთხე დავინახოთ იმაში, სადაც ის არის და არ ვეძებოთ სხვაგან, ანუ ვეცადოთ, არ აღმოვჩნდეთ დონ-კიხოტის მდგომარეობაში, რომელიც არარსებულ დევებს, სინამდვილეში კი, ქარის წისქვილებს ებრძოდა. ჯულისხმობ საქართველოში გარკვეულ წრეებში მიღებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები

საფრთხეს წარმოადგენენ ქართული კულტურის თვითმყოფადობისათვის, მისი ტრადიციული ფასეულობებისთვის. ეს წრეები ცდილობენ ამგვარი დიქოტომია ძირითად პრობლემად წარმოაჩინონ. დასავლეთის სახით საფრთხის ხატის შექმნა საკმაოდ მიღებული ხერხია არა მხოლოდ საქართველოში. ტრადიციების, წარსულის იდეალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ის აშკარად შეიცავს რეალურ სამოქმედო პროგრამას. ხშირია აგრეთვე რელიგიური ნიშნით ხალხის „დარაზმვის" მცდელობა, სწორედ იმისთვის, რომ დავუპირისპირდეთ დასავლეთს და მის „დამღუპველ" ღირებულებებს. პრობლემა კი, ალბათ, სხვაგან უნდა ვეძებოთ. კერძოდ კი იმაში, რომ „დროთა ჩარხზე გაჩარხულნი" არა ვართ.

ასეთ დროზე ლიბერალიზაციის იმ ღირებულებების გათავისება, როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, პიროვნული თავისუფლების იდეა, რაციონალიზმი, თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპები, რაც უმთავრესი პირობაა საბაზრო ეკონომიკის არსებობისათვის და სხვ., ნამდვილად წაადგებოდა ქართული ცხოვრების წესს. მათი დანერგვისათვის ქართულ სინამდვილეში ნაკლებად ან საერთოდ არ არსებობს შესაბამისი ინსტიტუტები, თუმცა საქართველოში პრიორიტეტულად იქნა აღიარებული დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ყოველივე ეს კი წარმოშობს ვითარებას, რომლის დაძლევის აუცილებლობას მივყავართ ჩვენი საზოგადოების სტრუქტურული სისტემის განახლების ანუ მოდერნიზაციის პრობლემასთან. სწორედ ეს პრობლემა ქმნის წინააღმდეგობას თანამედროვე საქართველოში, რადგან საკუთრივ მოდერნიზაციის არსი სხვადასხვანაირად გაიაზრება. ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფებისათვის დასავლურ ფასეულობებთან დაპირისპირება იგივე მოდერნიზაციის პროცესთან დაპირისპირებას ნიშნავს. თუმცა ჩვენ მას პოზიტიური მნიშვნელობით განვიხილავთ და ვფიქრობთ, რომ ამისთვის საფუძველი გაგვაჩნია, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაციის პროცესი თავდაპირველად გაიგივებული იყო ვესტერნიზაციასთან, ანუ ევროპეიზაციასთან, თანამედროვე ეტაპზე ეს დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან ის არ არის ევროპული ინსტიტუტების არადასავლურ კულტურებში ხელოვნურად გადატანის პროცესი. როგორც ფიქრობენ, მოდერნიზაციისკენ არაერთ გზას მივყავართ [5,464]. ადრეული პარადიგმით, მოდერნიზაცია არის ერთი მოდელის კვალად მიმდინარე

გლობალური და შეუქცევადი პროცესი, რომელსაც ყველა საზოგადოება აუცილებლად გაივლის. მისი განსაზღვრისათვის ძირითად კრიტერიუმად გამოიყენებოდა თანამედროვეობა-ტრადიციულობის დიქტომია [7,37], საიდანაც გამოდიოდნენ, ასე ვთქვათ, ქვედიქოტომიები: თავისუფლება-ავტორიტარიზმი, სოციალური რაციონალობა-ორიენტაცია ტრადიციებზე და ა.შ. მოდერნიზაცია მოიცავდა საზოგადოებას მთლიანად — ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტში [5.465]. ეკონომიკურ სფეროში მოდერნიზაციისათვის აუცილებელი პირობა იყო ინდუსტრიალიზმი, პოლიტიკურში — კონსტიტუციურ-დემოკრატიული რეჟიმები და სოციალურში — ლიბერალური ფასეულობები.

მოდერნიზაციის ადრეული თეორია მალე მოექცა კრიტიკის არეში. კრიტიკა, პირველ რიგში, მიმართული იყო ტრადიციულობა-თანამედროვეობის დიქოტომიის წინააღმდეგ და დადგინდა, რომ ის არსობრივად ასიმეტრიულია და არ შეიძლება დიქოტომიას წარმოადგენდეს [7,41]. აღმოჩნდა, რომ თვით მოდერნიზაციის პროცესი შეიძლება გარკვეულწილად ტრადიციული მექანიზმებითაც იყოს განპირობებული. აღიარებულ იქნა ის ფაქტიც, რომ ტრადიციულად მიჩნეული სხვადასხვა საზოგადოებები არ არიან ერთმანეთის იგივეობრივნი. ხშირად ამ საზოგადოებებს შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მათსა და მოდერნიზებულ საზოგადოებებს შორის. ამიტომ ყურადღება, ძირითადად, მიმართულ იქნა იმის გამოსავლენად, თუ რამდენად აფერხებდნენ ან უწყობდნენ ხელს ამა თუ იმ კულტურის ტრადიციები მოდერნიზაციის პროცესს [6,472].

მეორეც — სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გარდამავალი საზოგადოებები სისტემურ სიცოცხლისუნარიანობას იჩენდნენ სტაბილურობისა და თვითშენარჩუნების საკუთარი, განსაკუთრებული მექანიზმების შექმნის საშუალებით, ე.ი. ტრადიციულად მიჩნეული ინსტიტუტები და ჯგუფები გარდაქმნის უნარიანნი აღმოჩნდნენ თანამედროვე პირობების შესაბამისად [6,472].

თუ რამდენად არის მზად ქართული საზოგადოება მოდერნიზებისათვის, ჯერჯერობით ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. თუმცა შეიმჩნევა გარკვეული ტენდენციები, რაც შეიძლება ლიბერალიზაციაზე მიუთითებდეს. მაგალითისთვის, ესაა მესამე სექტორის როლის ზრდა, მეტ-ნაკლებად დაცული სიტყვის თავისუფლება და სხვ. მაგრამ „ქართული ლიბერალური ცნობიერების ან მისი შესაძლებლობების პრობლემა დღესაც აქტუალურ ამოცანად რჩება“ [1,83]. ქართულ

ხასიათში გამჯდარი ზოგიერთი სპეციფიკური სტერეოტიპი ტოტალურ წყობას უფრო მიესადაგება, ვიდრე ლიბერალიზმის ბაზურ ღირებულებებზე დაშენებულ საზოგადოებას. აქედან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოების მოდერნიზება ანუ დემოკრატიულ პეინციპებზე მოწყობა რთულ ამოცანად მოჩანს.

შევეცდებით განვმარტოთ, თუ რას ვგულისხმობთ და წარმოვაჩინოთ ის კონკრეტული კულტურული მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს მოდერნიზაციის სირთულეებს საქართველოში.

ფსიქოლოგი გ. ნიჟარაძე მიუთითებს იმ კულტურულ ტენდენციებზე, რომლებიც წარსულში ქმნიდნენ რეალურ გარემოსთან შესაბამის, სპეციფიკურ ადაპტაციურ მექანიზმებს. ეს ტენდენციები „დღევანდელ ქართულ სინამდვილეშიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს, თუმცა სახეცვლილი, ტრანსფორმირებული სახით“ [3,44] და, რაც მთავარია, – უარყოფით როლს.

ერთ-ერთი ტენდენცია: შორეულ ძალაუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულება და მისი დახმარებით ადგილზე ძალაუფლების მოპოვება, გამომუშავდა XIV-XIX სს. საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებულ ქვეყანაში. მაშინდელი ხელისუფალნი (ფეოდალები, აზნაურები, ტახტის პრეტენდენტები და ა.შ.) ცდილობდნენ შორეულ ძალაუფლებასთან (სულთანი, შაჰი, იმპერატორი), როგორც ისეთ მოცემულობასთან, რომელთანაც ბრძოლას აზრი არა აქვს, კარგი ურთიერთობის დამყარებას და ზურგის გამაგრებას, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ამით საკუთარი მცირე ძალაუფლების სივრცის გაფართოებას. ქცევის ამგვარმა მოდელმა, მისი სუბიექტის ნებისა თუ მიზნებისაგან დამოუკიდებლად, ადაპტაციური მნიშვნელობა შეიძინა და კულტურის განვითარებას თუ არა, შენარჩუნებას, კონსერვაციას მაინც უზრუნველყოფდა. მაგრამ, უფრო გვიან, ისევ და ისევ შორეულ ძალაუფლებასთან ინდიფერენტული დამოკიდებულების ტრადიციული მექანიზმის წყალობით, ქართველობა კარგად შეეთვისა საბჭოთა სისტემას. როგორც ვარაუდობენ, ამაში თავის წვლილი შეიტანა სტალინის ქართულმა წარმოშობამაც და არაა გასაკვირი, რომ შორეული მბრძანებლის როლში თანამემამულის მოვლინებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ქართულ ცნობიერებაზე და იგი სავსებით ბუნებრივად იქცა ეროვნული თვითიდენტიფიკაციის სიმბოლოდ [3, 44-45, 60], – აღნიშნავს გ. ნიჟარაძე.

ეს გარემოება შეიძლება ირიბად მაინც დავაკავშიროთ მ. ბიჭაშვილის მიერ ხაზგასმულ საყურადღებო ფენომენთან, რომელიც „პატერნალისტური ცნობიერების“ სახელწოდებით არის ცნობილი. პანერნალისტურს უწოდებენ „იმ ადამიანის გონებრივ წყობას, რომელიც თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გარე ძალაზე ორიენტაციით აგებს და ეს ძალა პერსონიფიცირებულია რომელიმე კონკრეტულ ბელადში“ [1,101]. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება გარკვეულწილად „პატერნალისტური ცნობიერების“ მატარებელია, რაც ჩანს ორ ასპექტში: 1) საკუთარ სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში და 2) საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საზოგადოება თავისსავე „მოსაგვარებელ“ პრობლემებს სხვას, მასზე მაღლა მდგომ ინსტანციას გადააბარებს და მისგან ელის საკუთარი მიზნების რეალიზაციას. მეორე მომენტის მიხედვით, ერი, მისი ელიტა უუნარობის გამო დამოუკიდებლად არსებობას ვერ ახერხებს და სხვა, უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობას ეძებს. ჩვენს შემთხვევაში ასეთი განწყობა ჩანს როგორც გარკვეული პოლიტიკური პარტიის ორიენტაციაში, ასევე მასის დონეზე. ხალხში ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: „ჩვენ ისევ რუსის ჩექმა გვიშველის“, ალბათ, ამ განწყობაზე მიუთითებს. საყურადღებო ფაქტია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი პარტიის გამოჩენა, საკმაოდ უცნაური სახელწოდებით: „ქართული ვაზის პარტია რუსეთთან ერთად“. მისი მესვეურები ქვეყნის პრობლემას ძირითადად ხედავენ იმაში, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთთან ურთიერთობის მოშლის შემდეგ, რასაც ამ ბოლო დროს სავიზო რეჟიმის შემოღება დაემატა, საქართველომ დაკარგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ბაზარი და ქართველმა გლეხებმა არ იციან, სად წაიღონ ვაშლი და ღვინო. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენში არ არსებობს ეკონომიკური ურთიერთობების ჩვევები, რომლებიც პრობლემას სხვანაირად მოაგვარებდა.

ძლიერ მეზობლებთან ურთიერთობას უკავშირებს გ. ნიჟარაძე ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ფენომენს: ე.წ. „სუსტის ძალას“, რომელიც ინგლისელმა კულტუროლოგმა ვიქტორ ტერმერმა დაარქვა იმ მოვლენას, როცა დაჩაგრული თუ დაბალი სტატუსის მქონე სოციალური ან ეთნიკური ჯგუფი გაბატონებული წარმომადგენლების თვალში ზნეობრივი დომინირების ან მაგიურობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ჩვენში გამომუშავებული

„სუსტის ძალის“ ნიშნები ვლინდება უცხოელებთან ურთიერთობის დროს ღირსების (ზოგჯერ ჰიპერტროფირებული) უპირატესობის გრძნობაში, მათზე შთაბეჭდილების მოხდენის (ხშირად წრეგადასულ) სურვილში და სხვ. [3,45-46]. „სუსტის ძალასთან“ დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ეროვნული მოძრაობის პერიოდში ხალხში გავრცელებული რწმენა, თითქოს საქართველოს განსაკუთრებულად პატრონობს ზებუნებრივი, ღვთიური ძალა, რაც ყველაზე მეტად იწვევს გაკვირვებას. მაშინ სრულიად სერიოზულად სჯეროდათ ისიც, რომ თურმე ქართველებს უცხოპლანეტელებიც გვმფარველობდნენ.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განაპირობებს ქართველ სოციოკულტურულ ინფანტილიზმს — ესაა აღზრდისა და ურთიერთობის სტილი, რომელსაც შეიძლება პირობითად „დედის ხაზი“ ეწოდოს. მის არსს წარმოადგენს უპირობო სიყვარული, ძალზე მჭიდრო ემოციური კონტაქტები, შემწყნარებლობის პრინციპი „ჩემი შვილია, ეი. მართალია“. „მამის ხაზი“ კი გულისხმობს სამართლიანობის, პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინისა და ვალდებულების შეგნების გამომუშავებას. გაცნობიერებას პრინციპისა — „ყველაფერს თავისი ფასი აქვს“. „დედის ხაზი“ ტრადიციულად ძლიერი იყო საქართველოში [3,73-74] და იგი მაშინდელი რეალობით იყო გამართლებული. მუდმივი არეულობისა და ომის პერიოდში ბავშვობის ხანა საკმაოდ მოკლე იყო. გოგონა მალე თხოვდებოდა. ბიჭიც, როგორც მომავალი მეომარი, ადრე შორდებოდა ოჯახს. ამის გამო „ბავშვობის მოკლე პერიოდში დედა ცდილობდა შვილისათვის მაქსიმალური სიყვარულის, ზრუნვის და კომფორტის ატმოსფეროს შექმნას“ [3,46].

მაგრამ თანამედროვე პერიოდში ისეთ გარემოში გვიხდება ცხოვრება, როცა არ არის აუცილებლობა, რომ ბავშვობის ასაკში მოეკიდო ოჯახს ან წახვიდე ომში, თუმცა „ძნელია მოიძებნოს სხვა კულტურა, სადაც შვილი ასე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მშობლების ოჯახთან, როგორც საქართველში. „დედის ხაზისთვის“, განსაკუთრებით კი მისი ქართული ვარიანტისთვის, სწორედ ესაა დამახასიათებელი — არაცნობიერი სურვილი, რომ ბავშვი მუდამ ბავშვად დარჩეს“ [3,75], რაც დამოუკიდებლად არსებობის უუნაროდ ხდის პიროვნებას. ამგვარმა ტენდენციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართულ ეთნოფსიქოლოგიაზეც. ჩვენში რეალურად არ არსებობს იმის შეგნება, რომ დამოუკიდებლობას პასუხისმგებლობის

ტვირთი ახლავს. გამეფებული ქაოსი, სრული დეზორგანიზაცია, დაბნეულობა, გაღიზიანება ყველასა და ყველაფერზე ძალიან წააგავს „დედის ხაზის“ გავლენით აღზრდილი ბავშვის ჭირვეულობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: მოდერნიზაციის პროცესი შეიძლება, ნაწილობრივ, განპირობებული იყოს ტრადიციული მექანიზმებითაც. მაგრამ, აღვნიშნეთ ისიც, რომ ქართული კულტურის მაგალითზე იგივეს თქმა ძნელია და საილუსტრაციოდ მივუთითეთ გარკვეულ კულტურულ ტენდენციებზე. იმ ტრადიციულ კულტურულ მახასიათებლებზე კი, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოვლენ მოდერნიზაციის პროცესთან, ამ ეტაპზე მსჯელობა არ შეგვიძლია. მათზე საუბრისათვის საჭიროა ქართული კულტურის ტიპოლოგიური თვალსაზრისით განხილვა, რომლის ტრადიცია ჩვენს მეცნიერულ სინამდვილეში არ არსებობს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, იგივე გ. ნიჟარაძე, გარდა აღნიშნული კულტურული ტენდენციებისა, მიუთითებს ქართული კულტურისათვის ნიშანდობლივ სხვა ფაქტორებზეც. ესაა „პასუხისმგებლობის სივრცის სივიწროვე“ [3,53-54]. ასევე მიანიშნებს „დროის ჰორიზონტის სივიწროვეზე ქართულ საზოგადოებაში [3,48-49].

გ. გაჩეჩილაძე საუბრობს ე.წ. „დანაშაულის“ და „სირცხვილის“ კულტურის ტრადიციაზე ქართულ ისტორიულ სინამდვილეში.

როგორც ვხედავთ,ქართული კულტურის ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, გარკვეული მუშაობა ჩატარებულია, მაგრამ „ფაქტიურად ქართული კულტურის ტიპოლოგიის თემა ჩვენში ჯერ კიდევ გაუტეხელი ყამირია“ [2,1]. ამიტომ მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეუწყობენ ხელს კონკრეტული ქართული ტრადიციული მექანიზმები მოდერნიზაციის პროცესს, ძალიან ჭირს, რადგან ეს კონკრეტული მექანიზმები ჯერჯერობით არც გამოვლენილა. ხოლო, რაც წარმოვაჩინეთ, თითქოს არც იძლევა ოპტიმისტური დასკვნის საფუძველს. სწორედ, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოების წინაშე დგას არა იმდენად დასავლური ფასეულობების ექსპანსიის საფრთხე, არამედ პრობლემა იმაშია, მოახერხებს თუ არა ქართული კულტურა ისტორიული რეალობის მოთხოვნების შესაბამისი ადაპტაციური მექანიზმების გამომუშავებას, ანუ შევძლებთ თუ არა ქართველები „დროთა ჩარხზე გაჩარხვას“.

ლიტერატურა:

1. ბიჭაშვილი მ. კრიზისი და მისი ცნობიერების მოდიფიკაციები/ /ჭკუა ვაისაგან, თბ., 1994.
2. გაჩეჩილაძე გ. RESSENMENT-ის („მტანჯველ მოგონებათა") ერთი გამოძახილის შესახებ და გამო (ნარკვევიდან „ეროვნული პრობლემატიკა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში). – სალიტერატურო ჩანართი გაზეთისა „ახალი ეპოქა", №17, თბ., 27 აპრილი – 4 მაისი, 2001.
3. ნიჟარაძე გ. პოლემიკური შენიშვნები ქართული კულტურის ზოგიერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის თაობაზე// ჭკუა ვაისაგან, თბ., 1994.
4. ჭავჭავაძე ი. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?//რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987.
5. Джермани Дж., Основные характеристики процесса модернизации (Энциклопедия «Британика»)// Сравнительное изучение цивилизаций. М., 1998.
6. Эйзенштадт Ш., Новая парадигма модернизации// Сравнительное изучение цивилизаций. М., 1998.
7. Ионин Л.Г., Социология культуры. М., 1998.
8. Коулмен Дж., Модернизация и социальное устройство общества// Сравнительное изучение цивилизаций. М., 1998.
9. Пандей Б., Критика западноцентризма в теориях модернизации// Сравнительное изучение цивилизаций. М., 1998.

Малхаз Тория

ТРАДИЦИОННЫЕ ЦЕННОСТИ ИЛИ ДЕМОКРАТИЯ: РЕАЛЬНАЯ ИЛИ МНИМАЯ АЛЬТЕРНАТИВА?

Резюме

В работе рассматриваются трудности, возникающие на пути модернизации грузинского общества. Показано противоречие в понимании самого процесса модернизации.

В частности, существует мнение, что формирование грузинского общества в соответствии с западными ценностями, т.е. модернизация, означает отказ от национальных ценностей. В работе рассматриваются ранние и более поздние теории модернизации. Отмечено, что модернизация не означает вырождения культуры, и к модернизации ведут разные пути.

Опираясь на мнение некоторых авторов (Г. Нижарадзе, Г Гачечиладзе и др.), автор перечисляет некоторые характерные особенности грузинской культуры, такие, как лояльное отношение к местной и посторонней власти, узость временного горизонта, «материнская линия» в процессе воспитания и др. Эти традиционные факторы «работают» по сей день и определяют трудности модернизации в Грузии. Исходя из этого, приходим к заключению, что главной задачей грузинского общества является не самозащита от западных ценностей, а выработка соответствующих времени адаптационных механизмов.

ნინო ნამორაძე

ამერიკული ჟურნალი „ნაპოლეონი“

ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითქოსდა ამერიკელები ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმართ შედარებით ნაკლებ დაინტერესებას და გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ, სინამდვილეში კი სრულიად სხვა ვითარებაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის თავისი ტრადიცია არსებობს. აშშ-ის ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის ღვაწლის გააზრებას, ალბათ, ერთი საინტერესო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას. ჩვენს სტატიას ამ საკითხის ფართოდ განხილვის პრეტენზია, ცხადია, არ გააჩნია. ამჯერად, ჩვენი მიზანი ფრიად მოკრძალებულია, — გვსურს ქართველ მკითხველს მცირე ინფორმაცია მივაწოდოთ ერთ ამერიკულ ჟურნალზე, სახელწოდებით — „ნაპოლეონი“.

უპირველეს ყოვლისა,ყურადღებას იპყრობს ჟურნალის ბრწყინვალე გაფორმება, კერძოდ, შესანიშნავი ფერადი ილუსტრაციები, რაც კიდევ უფრო მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებს ამ ჟურნალს. ეს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მეტყველებს, რაც, სხვათა შორის, ფრიად ნიშანდობლივია დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის და, მით უმეტეს, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ასე რომ, ამერიკული ჟურნალი თვალისთვის მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს, და ეს მისი ერთ-ერთი ღირსებაა.

ჟურნალი „ნაპოლეონი“ სასიამოვნოა არა მხოლოდ თვალისთვის, არამედ ძალზედ საინტერესოა გონებისთვის, ე.ი. შინაარსობრივად, რაც მისი მრავალფეროვნებით აიხსნება. ჟურნალი იზიდავს სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც აინტერესებს სამხედრო ჩაცმულობის ანუ ფორმის ისტორია. ასე მაგალითად: პოლონეთის ლეგიონის, ჰუსართა, ბრიტანული შენაერთის, შვედეთის არტილერიის, ფრანგი კარაბინერების, ელიტარული კავალერიის და ა.შ. ამ თემებზე საუბარს თან ერთვის ფერადი ილუსტრაციები, რაც კიდევ უფრო ამშვენებს ჟურნალს.

ჟურნალში მოთავსებულ ზოგიერთ მასალას დიდი ინტერესით გაეცნობიან სუსტი სქესის წარმომადგენლებიც, ასეთია: მარია-ანტუანეტას დეკადენტური მოდა, რომელიც ჟურნალის მეოთხე ნომერშია დასტამბული. მომდევნო, მესუთე ნომერში, ვხვდებით მასალას

ფრანგი ქალების მოდაზე ტერორის შემდგომ. ხოლო მეექვსე ნომერში განხილულია ქალთა მოდა ნაპოლეონის დროს, რაც უფრო კონსერვატიულობით ხასიათდება.

პატარა ბავშვების ყურადღებას იპყრობს ჟურნალის ფურცლებზე დასტამბული ნაპოლეონის ეპოქის სათამაშოები, განსაკუთრებით კი, ჯარისკაცები.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა ნაპოლეონის ლაშქრობებს იტალიასა (1796-1797 წ.წ.) და ეგვიპტეში (1798-1799 წ.წ.) განხილულია ბრძოლა არკოლესთან (1796 წლის 15-17 ნოემბერს) და რივოლისთან (1797 წლის 14-15 იანვარს), რომლის ერთ-ერთი გმირი იყო ახალგაზრდა გენერალი ბარტელემი ჟუბერი. საუბარია 1812 წლის ლაშქრობაზე რუსეთში და ბრძოლაზე მდინარე ბერეზინასთან. ყურადღებას იპყრობს მსჯელობები ცალკეულ ბრძოლებზე: 1813 წლის ოქტომბერში – ლაიფციგთან, 1815 წლის 18 ივნისს – ვატერლოოსთან. ყოველივე ეს სამხედრო ისტორიკოსებისათვის უეჭველად საგულისხმოა.

შინაარსობრივად კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის და ამდიდრებს ჟურნალს ის საინტერესო ინტერვიუები, რომლებიც აღებულია ნაპოლეონის ეპოქის შემსწავლელ თვალსაჩინო სპეციალისტებისგან. ამ მხრივ, აღსანიშნავია მერვე ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ ინგლისელ ისტორიკოს დევიდ ჩანდლერთან, რომელიც ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. დასტამბულია ინტერვიუები სხვა კომპეტენტურ მკვლევრებთან: ინგლისელ დოროთი ქარინგთონთან და ჯონ ელთინგთან. ამერიკელ დონალდ ჰოვარდთან და ქენ ქონელთან. სხვადასხვა მიმართულებისა და შეხედულებების მკვლევართა თანამშრომლობა ჟურნალთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. მასში, უპირველეს ყოვლისა, ევროპული ისტორიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი პლურალიზმის ანარეკლი შეიძლება დავინახოთ.

ამერიკულ ჟურნალში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეთმობა ინფორმაციას ნაპოლეონზე გამოსული ახალი წიგნების შესახებ. ამით ჟურნალი პრაქტიკულად საქმის კურსში აყენებს მკითხველს, თუ რა იწერება ახალი საფრანგეთის ყოფილ იმპერატორზე, რაც ამ გამოცემის ერთ-ერთ ღირებულ მხარედ მიგვაჩნია. ამ ჟურნალისთვის ინფორმაციული ვაკუუმი არ არსებობს, რომელიც სხვათა შორის, ფრიად დამახასიათებელი იყო ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე დღეს.

დასასრულ, უნდა დავძინოთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მისაბაძი უნდა იყოს ჟურნალის გამოცემის მეტად მაღალი კულტურა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს და ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, აქამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

Нино Наморадзе

АМЕРИКАНСКИЙ ЖУРНАЛ «НАПОЛЕОН»

Резюме

Американский журнал «Наполеон» прекрасно иллюстрированное, многообразное по содержанию и богатое новой информацией периодическое издание. Журнал интересен всем, независимо от возраста и специальности. Культура издания журнала должна послужить примером для Грузии.

ელენე მეძმარიაშვილი

ჩინეთის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში (საბჭოთა პერიოდი)

ბოლო სახელმძღვანელო მსოფლიოს უახლეს ისტორიაში, რომელიც რუსულიდან ითარგმნა, არის ვ. ფურაევის რედაქციით გამოცემული XI კლასის „უახლესი ისტორია (1939-1986 წწ.)". უკანასკნელად ის თბილისში 1988 წელს გამოიცა. მასში აზიის ქვეყნებიდან შეტანილია ძირითადად სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან და კუბასთან ერთად გაერთიანებულია თავში — „მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განვითარება..." აღნიშნულ თავში ერთი პარაგრაფი ეთმობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ისევე, როგორც თითო პარაგრაფი ეძღვნება აზიის სხვა, ბევრად უფრო პატარა და ნაკლებ მნიშვნელოვან ქვეყნებს, კერძოდ, მონღოლეთს, ჩრდილოეთ კორეას, ვიეტნამსა და ლაოსს.

ჩინეთის ისტორია ეკუთვნის პ.მ. კუზმიჩევს. ავტორმა ფაქტობრივი მასალა იმ მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური საფუძვლის შესაბამისად შეარჩია, რომლითაც დაწერილია მთელი სახელმძღვანელო. აქედან გამომდინარე, აქცენტი გადატანილია საბჭოთა ავტორისათვის ტრადიციულ საკითხებზე. თუმცა, იმდროინდელი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის დაძაბული, არამეგობრული ურთიერთობაც გავლენას ახდენდა გადმოცემული მასალის შინაარსსა და ავტორის მისდამი მიდგომაზე. ასე რომ, ობიექტურობის დაცვა ასეთ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

პ. კუზმიჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, დაენახვებინა მოსწავლეებისათვის ის „უდიდესი როლი", რომელიც ითამაშა საბჭოთა კავშირმა ჩინეთის ამ პერიოდის ისტორიაში, კერძოდ, — მისი წვლილი იაპონიის დამარცხების საქმეში, დიდი დახმარება, რომელიც მან გაუწია ჯერ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, შემდეგ კი ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყანას — ეკონომიკის განვითარებაში.

პარაგრაფი იწყება მოწოდებით მოსწავლეებისადმი, გაიხსენონ, თუ როგორ ებრძოდა ჩინელი ხალხი იაპონელ დამპყრობლებს. ამის

შემდეგ მითითებულია როგორც X კლასის სახელმძღვანელოს შესაბამისი პარაგრაფი, ასევე მოცემულია სახელმძღვანელოს გვერდები, სადაც მოტანილია დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის როლის შესახებ, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის დამსახურების შესახებ იაპონიაზე გამარჯვებაში. ასე რომ, ავტორს სურს გაახსენოს მოსწავლეებს, თუ როგორ ეხმარებოდა საბჭოთა კავშირი ჩინეთის კომუნისტურ პარტიას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში და არა ის, თუ როგორ ებრძოდნენ თვით ჩინელები თავიანთ მტრებს. მაგრამ მაშინდელმა მეთერთმეტე კლასელებმა სიმართლე არ იცოდნენ — არ იცოდნენ, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ტაქტიკა ამ ომში იყო ძალების მაქსიმალური დაზოგვა და გომინდანთან ბრძოლისათვის შენახვა, რომ თვით ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი მაო ძედუნი საერთოდ უარყოფდა საბჭოთა კავშირის დახმარების მნიშვნელობას.

ქვეპარაგრაფის — „განმათავისუფლებელი სახალხო ომი და რევოლუციის გამარჯვება" — პირველივე წინადადება მოსწავლეებს ახსენებს, რომ „მილიტარისტული იაპონიის განადგურებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, ხელშემწყობი პირობები შექმნა ჩინეთის რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის".[1] ეს ფრაზა აქსიომატურ ხასიათს ატარებს, თუმცა დასამტკიცებელია ეს ნამდვილად ასე იყო, თუ არა.

ამის შემდეგი, ცუდად თარგმნილი, სტილისტურად და გრამატიკულად გაუმართავი აბზაცის მთავარი აზრი კი ის არის, რომ სწორედ საბჭოთა არმიის დახმარების წყალობით მოხერხდა რეაქციული გომინდანის რეჟიმზე გამარჯვება. ეს იყო თურმე „ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი".[2] თუმცა სხვა ფაქტორებზე ლაპარაკი არ არის. თანაც ეს ფაქტობრივად არის იმის აღიარება, რომ საბჭოთა კავშირი უხეშად ერეოდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. გავიხსენოთ რას უკეთებს რუსეთი საქართველოს აფხაზეთის საქმეებთან დაკავშირებით. თუმცა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ერეოდა სხვა ქვეყნების საქმეებში, ჩვენი ხელმძღვანელობა ამას კატეგორიულად უარყოფდა.

ცხადია, საბჭოთა ჯარების შესვლამ მანჯურიაში და შემდგომ იაპონიის დამარცხებამ განამტკიცა ჩინელი კომუნისტების პოზიციები. მათ გადაეცათ იაპონიის კუთვნილი იარაღი და მთელი საკუთრება ჩრდილოეთ ჩინეთში, აგრეთვე საბჭოთა იარაღი. დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა 7 ათას კილომეტრიან საზღვარს საბჭოთა კავშირთან, საიდანაც ჩინელი კომუნისტები მუდმივად იღებდნენ ყოველგვარ დახმარებას, რაც მოგვიანებით მაო ძედუნმა პრაქტიკულად უარყო. მაგრამ გომინდანზე გამარჯვება მარტო საბჭოთა კავშირის დახმარების წყალობით არ მომხდარა. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩინეთის წითელი არმია, მართალია, რიცხობრივად უფრო მცირე, ვიდრე გომინდანის ჯარი, მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა, მკაცრად დისციპლინირებული და უფრო ბრძოლისუნარიანი იყო. გომინდანის ჯარში კი გავრცელებული იყო კორუფცია, ნარკომანია, რაშიც გარკვეული როლი თვით კომუნისტებმა ითამაშეს. ისინი, ჯერ კიდევ ანტიიაპონური ომის პერიოდში, საბჭოთა რაიონებში მოყვანილ ნარკოტიკულ საშუალებებს გომინდანელ ჯარისკაცებს შორის ავრცელებდნენ. კომუნისტების გამარჯვებას ხელი შეუწყო „განთავისუფლებულ“ რაიონებში გატარებულმა აგრარულმა რეფორმამაც, რომელმაც უზრუნველყო გლეხების მონაწილეობა ომში. თავის მხრივ, გომინდანის ანტიდემოკრატიული რეჟიმი ეროვნული ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილსაც კი ოპოზიციურად განაწყობდა. ასე რომ, საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოში კომუნისტების გამარჯვების მიზეზები გარკვეული არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, იქ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებაზე. ამავე დროს, დავიწყებულია ისიც, რომ ამერიკელებმა 1949 წლის იანვარში, პეკინის დაცემის შემდეგ, შეუწყვიტეს გომინდანს დახმარების გაწევა, რასაც საბოლოოდ გომინდანელთა რეჟიმის დამხობა მოჰყვა.

თვით გომინდანის ძალაუფლება — „მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ძალაუფლება“ მოიხსენიება მხოლოდ, როგორც „გომინდანის ხროვა“, „ჩან კაიშის ხროვა“, რომელსაც მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა. თუმცა 1949 წლამდე საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა სწორედ გომინდანთან ჰქონდა და ჩინეთის ერთადერთ ხელისუფლებად მას მიიჩნევდა. შემდეგ კი ის ხროვად იქცა. სწორედ „ჩან კაიშის ხროვას“ გაუჩაღებია სამოქალაქო ომიც.[3]

პ. კუზმიჩევს საერთოდ იგნორირებული აქვს ტაივანზე ჩან კაიშის მიერ სეპარატული სახელმწიფოს დაარსების ფაქტი.

მომდევნო ქვეპარაგრაფში — „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა და დემოკრატიულ გარდაქმნათა დამთავრება“ — კვლავ საბჭოთა

კავშირის დახმარებაზეა გამახვილებული ყურადღება. „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ძმურმა თანამშრომლობამ, — წერია მასში, — განამტკიცა სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციები, მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, რევოლუციით შობილი საზოგადოებრივი წყობილება"[4]. აქვე ხაზგასმულია, რომ „საბჭოთა მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისცა გრძელვადიანი სესხი 300 მილიონი დოლარის ოდენობით. მიაწოდა დიდძალი პირველხარისხოვანი ტექნიკა, გაგზავნა ჩინეთში ათასობით საბჭოთა სპეციალისტი. დაახლოებით 38 ათასმა ჩინელმა მოქალაქემ საბჭოთა კავშირში მიიღო განათლება და აიმაღლა კვალიფიკაცია"[5].

მაგრამ პ. კუზმიჩევს არ შეეძლო იმის დაწერა, რომ საბჭოთა კავშირის დახმარება არც ისე უანგარო იყო. ის 300 მილიონი დოლარი პროცენტიანი კრედიტი იყო. 1956 წლიდან ვალი და პროცენტი რომ დაებრუნებინა, ჩინეთს საბჭოთა კავშირისათვის უნდა გადაეხადა იმ თანხაზე გაცილებოით მეტი, რაც მისგან მიიღო.

საბჭოთა კავშირის დახმარებაზეა ლაპარაკი შემდეგ ქვეპარაგრაფშიც — „სოციალისტური მშენებლობის დასაწყისი"[6]. მასში ავტორი, ცხადია, ვერ იტყოდა იმას, რომ ეკონომიკაში სოციალიტური სექტორის შექმნამ, მმართველობის მბრძანებლურმა მეთოდებმა და ბიუროკრატიულმა სტილმა წარმოშვა იგივე პრობლემები, რაც საბჭოთა კავშირში უკვე არსებობდა, კერძოდ, კორუფცია, მფლანგველობა, ბიუროკრატიზმი. ჩინეთს იმ დროს უკვე აწუხებდა სხვა მანკებიც — გადასახადებზე უარის თქმა, სახელმწიფო მოსამსახურეთა მოსყიდვა, სახელმწიფო სახსრების დატაცება, მთავრობის შეკვეთების არაკეთილსინდისიერად შესრულება, სახელმწიფო დაწესებულებებში საიდუმლო ეკონომიკური ინფორმაციის მოპარვა. სწორედ ყველა ამ მანკის წინააღმდეგ მოუხდათ ბრძოლა ჩინეთში სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ (პოლიტიკური კამპანიები ე.წ. „სამი ბოროტებისა" და „ხუთი ბოროტების" წინააღმდეგ). მაგრამ ავტორი ამის შესახებ საერთოდ არაფერს ამბობს. არ ჩათვალა მან საჭიროდ არც იმ უზარმაზარი მსხვერპლის აღნიშვნა, რომელიც „სოციალიზმის მშენებლობას" მოჰყვა, არც იმისა, რომ ჩინელმა კომუნისტებმა ჩინეთში ისევე, როგორც თავის დროზე ბოლშევიკებმა, დაარღვიეს სამოქალაქო ომის დროს მიცემული დაპირებები, რომ „მიწას გლეხებს მისცემდნენ, ფაბრიკა-ქარხნებს კი — მუშებს".

ავტორი ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე საუბრისას მის მთავარ შედეგებზე არ საუბრობს. მისთვის აქაც მთავარია ის, რომ ყრილობამ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გეზი აიღო. ამავე დროს, ის ჩატარდა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებების გავლენის ქვეშ. დაგმობილ იქნა პიროვნების კულტი. მაგრამ პარტიის იდეურ საფუძვლად, მარქსიზმ-ლენინიზმთან ერთად, აღიარებულ იქნა მაო ძედუნის იდეებიც.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის ისტორიაში VIII ყრილობის შემდეგ დატრიალებული ამბები. ჩინელი კომუნისტების მუშაობის იმდროინდელი მეთოდები და სტილი ხომ ფაქტობრივად საბჭოთა კომუნისტებისას იმეორებდა. თავიდანვე აშკარა იყო, რომ პარტიული და სახელმწიფო მუშაკების მბრძანებლური მეთოდების, კორუფციის, მათი დაუსჯელობის გამო გაიზარდა საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილება, რის ჩახშობაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ სცადა კურსის „დაე აყვავდეს ყველა ყვავილი, დაე იკამათოს ყველა მეცნიერმა" გატარებით, რაც სულიერ თავისუფლებას გულისხმობდა. მაგრამ ამის შესახებ საბჭოთა მოსწავლეებს არ უნდა სცოდნოდათ. ამავე დროს, აღნიშნული პოლიტიკური კურსის გატარებას მოჰყვა ახალი რეპრესიები ქვეყანაში, ვინაიდან თავისუფალმა აზროვნებამ უკმაყოფილება, ოპოზიცია გამოავლინა. ამიტომ კურსი შეიცვალა. კრიტიკა ქვემოდან შეფასებულ იქნა, როგორც პარტიის სახელმწიფოს საფუძვლების შერყევის ცდა, ხოლო ხალხი, რომელმაც ეს გაბედა, „მემარჯვენე ბურჟუაზიულ ელემენტებად გამოცხადდა და, საბოლოოდ, რესპრესიების მსხვერპლი გახდა. სწორედ ამ უკმაყოფილების ჩახშობის შემდეგ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებმა სცადეს „კომუნიზმზე გადასვლის ტემპების დაჩქარება, 50-იანი წლების დასაწყისის ლოზუნგის — „უფრო მეტი, უფრო ჩქარა, უკეთესად, უფრო ეკონომიურად" — აღდგენა, რაც ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებას გულისხმობდა. მაგრამ, ამჯერად, საბჭოთა კავშირის დახმარების გარეშე.

სწორედ, ამ უკანასკნელის აღნიშვნა ავტორს არ შეეძლო. ვერ იტყოდა ის ვერც იმას, რომ მაო ძედუნის მიერ საკუთარი თავისადმი დასმულ კითხვაზე — „შეიძლება თუ არა გადავუხვიოთ საბჭოთა კავშირის მრუდე, ზიგზაგოვანი გზიდან, გავხდეთ უკეთესი, ვიდრე საბჭოთა კავშირია", მან დადებითი პასუხი გასცა.

ჩინელი ხელმძღვანელებისათვის უკვე მაშინ ნათელი გახდა, რომ საბჭოთა მოდელი არ მისცემდა მათ ქვეყნის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას, ვინაიდან ჩინეთში დიდი იყო სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი, სოფლის მეურნეობა კი არ იძლეოდა საკმარის სახსრებს მრეწველობის განვითარებისათვის. ამიტომ ქვეყნის წინაშე დაისვა განვითარების საკუთარი გზის ძიებისა და „ძალების მაქსიმალური დაძაბვის წინ გადახტომის ამოცანა", რომელიც ისტორიაში „დიდი ნახტომის" სახელწოდებით შევიდა, მაგრამ აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოსწავლისათვის გაუგებარი დარჩა არა მარტო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესების მიზეზები, რომელთა შორის უმთავრესი იყო ბრძოლა ჰეგემონობისათვის, არამედ მასში არ არის ახსნილი არც „დიდი ნახტომის" მიზეზები, არც საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებული განვითარების გზის ძიება, სოციალიზმის „ვადამდელი" აშენებისა და „სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის" განვითარების „ზეტემპების" მიღების გადაწყვეტილება; არ არის გარკვეული არც „დიდი ნახტომის" შინაარსი, კერძოდ, ის ღონისძიებები, რომლებიც „ნახტომის" წლებში გატარდა (მაგალითად, „ბრძოლა ფოლადისათვის", ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში და ა.შ.). გაუგებარი დარჩა თვით „ნახტომის" დაწყების თარიღიც.

მთლიანად ამოღებულია სახალხო მეურნეობის „მოწესრიგების" პერიოდი და მის დროს გატარებული ღონისძიებები („საკუთარ ძალებზე დაყრდნობის" პრინციპით მოქმედი მეურნეობების შექმნა, ანტისაბჭოთა და ანტიამერიკულ სფუძველზე „მესამე მსოფლიო ბანაკის" შექმნის ცდა და ა.შ.).

ასევე სქემატურია აღნიშნულ სახელმძღვანელოში „კულტურული რევოლუციის" პერიოდისადმი მიძღვნილი მასალა. არ არის გარკვეული მისი დაწყების მიზეზები (კერძოდ, ბრძოლა ხელისუფლებისათვის და ქვეყნის შემდგომი განვითარების გზების ირგვლივ) და ამ 10 წლის განმავლობაში გატარებული პოლიტიკის შინაარსი. ისევ ყურადღება გამახვილებულია ჩინეთის ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირთან. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე საუბრისას, ავტორს სურს არ დაავიწყოს მოსწავლეებს, რომ ამერიკელებს მრავალმხრივი ურთიერთობა აქვთ ტაივანის გომინდანურ რეჟიმთან, აშშ „იარაღითაც ამარაგებს (მიყიდვით) მას".[7]

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობასა და 1982 წლის კონსტიტუციაზე. მართალია, აქ წერია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოდის იმპერიალიზმის, ჰეგემონიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ"[8], მაგრამ არ აკონკრეტებს, რომ ჰეგემონიზმის ქვეშ პირველ რიგში საბჭოთა კავშირი იგულისხმება.

ასევე გაუგებარია, რატომ არ ახსენებს ავტორი თანამედროვე ჩინეთისადმი მიძღვნილ ქვეპარაგრაფში დენ სიაოპინის სახელს, რომელიც ჩინეთის რეფორმების არქიტექტორად არის ცნობილი. არ წერს ის არც თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ. ეკონომიკური გარდაქმნების გვერდით არ ახსენებს პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობას, რაც საბჭოთა მოსწავლეებს, ალბათ, საკუთარ ქვეყანაში ცვლილებების გატარებას აფიქრებინებდა.

პარაგრაფის დასკვნა კი ისევ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის საკითხებს ეძღვნება. ავტორის აზრით, „ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მაინც სხვადასხვანაირად უდგებიან, მაგრამ არსებობს რეალური შესაძლებლობა ორივე მხარის ურთიერთობისა თანაბარუფლებიან და პრინციპულ საფუძველზე. ამ ორ ქვეყანას აქვს თანამშრომლობის უდიდესი რეზერვები, რომელთა გამოყენება შეესაბამება საბჭოთა და ჩინელი ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებს"[9].

ავტორის ეს დასკვნა არ გამართლდა. მართალია, ურთიერთობა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს — რუსეთს შორის გაუმჯობესდა, მაგრამ ეს „სოციალიზმის საქმის ინტერესებს" ნამდვილად არ წაადგა. საბჭოთა კავშირში სოციალიზმს აღარ აშენებენ უბრალო მიზეზის — იმპერიის დაშლის გამო, ჩინეთში კი ეკონომიკური ცხოვრება ფაქტობრივად საბაზრო რელსებზე გადავიდა. თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ამიტომ დემოკრატიისათვის ბრძოლა იქ კვლავ გრძელდება.

უახლესი ისტორიის (1945-1991) ახალ ქართულ სახელმძღვანელოში, რომელიც XI კლასის მოსწავლეებისათვის დაიწერა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლი გამოსწორდა, რის გამოც გადაცემული მასალის მოცულობა გაიზარდა. ჩინეთს 4 თავი მიეძღვნა. თვისობრივად შეიცვალა მათი შინაარსიც.

Елена Медзмариашвили

ИЗУЧЕНИЕ ПОСЛЕВОЕННОЙ ИСТОРИИ КИТАЯ В ГРУЗИНСКОЙ СРЕДНЕЙ ШКОЛЕ (СОВЕТСКИЙ ПЕРИОД)

В статье автор критически анализирует вопросы изучения послевоенной истории Китая. В виде примера выбран учебник по новейшей истории для XI класса под редакцией В. Фураева (последнее издание на грузинском языке вышло в 1988 году. Автор параграфа, посвященного Китаю, – П.М. Кузьмичев).

В статье отмечаются причины необъективности данного в учебнике соответствующего материала. Китаю отводится всего один параграф. Материал подобран и передан исходя из идеологических и конъюнктурных интересов тогдашнего советского руководства. Главной задачей автора было подчеркнуть «огромный вклад» Советского Союза в историю Китая того периода. Решающим фактором в победе коммунистов над гоминдановцами и в последующем развитии страны объявлена «бескорыстная» помощь Советского Союза. О других причинах и истинных мотивах советской помощи, естественно, ничего не говорится.

Кроме этого, игнорируются также проблемы, которые возникли в стране в результате правления коммунистической партии, создания социалистического сектора в экономике и установления авторитарного режима. Не объясняются реальные причины «большого скачка», «культурной революции», ухудшения отношений между Китаем и Советским Союзом. Ничего не сказано о Ден Сяопине, свободных экономических зонах, необходимости проведения политических реформ и т.д.

В статье даются ответы на все эти вопросы, выяснены причины необъективности и тенденциозности изучения послевоенной истории Китая в советское время, подчеркивается, что в новом грузинском учебнике по новейшей истории Китаю отведены 4 главы, содержание которых качественно изменено в соответствии с целями сегодняшнего исторического образования.

ლალი ფირცხალავა

ისტორია და საიუველირო ნაწარმი

საიუველირო ნაწარმი ყოველთვის არ წარმოადგენდა სუსტი სქესის პრივილეგიას. ხანგრძლივი დროის მანძილზე მას მხოლოდ მამაკაცები ატარებდნენ კეთილშობილი წარმოშობის ნიშნად. ქალებს კი ათასეული წლები დასჭირდათ, რათა მოეპოვებინათ საიუველირო ნაწარმის ტარების უფლება. ლეგენდის თანახმად, პირველი სამკაულის შექმნა სამყაროს პირველი ქალის ევას დამსახურებაა. სამკაულის შექმნის აუცილებლობა იმაში მდგომარეობდა, რომ სამოთხიდან განდევნის შემდეგ თავზარდაცემული ადამი ევას არცკი გამოთხოვებია, ისე დატოვა იგი. თუმცა ევა არ დაიბნა, ლერწმის ფოთლისაგან გვირგვინი დაწნა, ყელზე დაიკიდა, რათა უფრო მომხიბლავი ყოფილიყო და ადამს დაედევნა. ეს, რაც შეეხება, ლეგენდას, ხოლო ისტორია სამკაულის შექმნას მამაკაცს მიაკუთვნებს. ქვის ხანაში მამაკაცის მთავარი საქმიანობა იყო ნადირობა და იარაღისათვის კაჟის მოძიება. ზოგიერთი კაჟის ქვა სამკაულად იქცა. როგორც ძლიერების სიმბოლო. არქეოლოგიური გამოკვლევების თანახმად, მამაკაცები გლუვზედაპირიან ფერად ქვებს თიხითა და სხვა წებოვანი ბუნებრივი ნივთიერებებით იმაგრებდნენ სხეულზე, შთამბეჭდავი იერსახის მისაღებად.

ოქროს სამკაულები თავდაპირველად ღმერთების, ეკლესიის მსახურთა და მეფეთა პრივილეგიას წარმოადგენდა. ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულში ეგვიპტელებმა ნილოსში იპოვეს ლითონის ბრწყინავი ქერცლები, რომელსაც „მარადიული სხივი" უწოდეს და მათ ღამღამობით აგროვებდნენ. ეს პირველი ოქროსმაძიებლები ოქროს აგროვებდნენ მზის ღვთაების სახელზე აგებული ტაძრების მოსართავად. მითი ოქროს შესახებ ნილოსის ნაპირებზე, რას ტაძრებში წარმოიშვა. ეგვიპტელ მმართველებს მიაჩნდათ, რომ „მარადიული სხივი" საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული და იგი ღმერთების, ღვთისმსახურთა, სამეფო ოჯახის გარდაცვლილ პირთა, და, რა თქმა უნდა, მათ პირად საკუთრებაში უნდა ყოფილიყო, ნუბიის ოქროს საბადოები ბუნებრივია, ფარაონთა საკუთრებად იქცა.

კარგ განწყობაზე ყოფნისას ფარაონები ოქროს სამკაულებს დროთა განმავლობაში მხედართმთავრებსა და ღვთისმსახურებს ურიგებდნენ. ქალები იშვიათად იმსახურებდნენ მათ წყალობას.

თანდათანობით ოქრომ დაკარგა თავისი წმინდა ხასიათი. ქრისტეს

შობამდე მეორე ათასწლეულში სენუსერტ I-მა, ძველი ეგვიპტის XII დინასტიის ფარაონმა, რომელიც ქვეყნის ცენტრალიზაციის პოლიტიკას ატარებდა, „გაანთავისუფლა“ მზის ლითონი. ახლა უკვე არა მხოლოდ უფლისწულები და მხედართმთავრები, არამედ მდიდარი ეგვიპტელებიც ატარებდნენ ოქროს ჩაჩქანებს, შემკულს თოპაზებით, ამეთვისტოებითა და სხვა ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი ქვებით. ეგვიპტელ ქალებში ოქროს სამკაულის ტარება კვლავ იშვიათი იყო, მხოლოდ რამოდენიმე პრინცესა და მდიდარი კურტიზანი ქალი ახერხებდა ამას.

საფრანგეთში ნამდვილი საიუველირო ნაწარმი გაჩნდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, ფრანკთა სახელმწიფოს პირველი სამეფო დინასტიის მეროვინგების წარმომადგენლები საკმაოდ მომჭირნედ ცხოვრობდნენ და მეფე დაგობერტ I (ზეობდა 629-639 წწ.) ძოწის სამკაულებით კმაყოფილდებოდა. კაროლინგები და პირველი კაპეტინგებიც არ იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. გამონაკლისს წარმოადგენდა კარლოს დიდი, ფრანკთა მეფე 768 წლიდან. რომელსაც ბაღდადის ხალიფამ ჰარუნ ალ-რაშიდმა ძვირფასი ქვებით სავსე სკივრი უბოძა.

კონსტანტინოპოლის დარბევის შემდეგ ფრანგები სამშობლოში ბრუნდებოდნენ ლალითა და საფირონის ქვებით სავსე ყუთებით. ამ უხეშ, ხეპრე ჯარისკაცებს, ფარშევანგებივით გამოწყობილებს თავი მოჰქონდათ ნაძარცვი სიმდიდრის დემონსტრირებით. ხოლო როცა 1355 წელს რუანაში დაატყვევეს ნავარის მეფე შარლ ბოროტი (ზეობდა 1349-87 წწ.), იგი და მისი ამალა იმ დონეზე იყვნენ ახუნძლული ოქროსა და ძვირფასი ქვების სამკაულებით, რომ სხვის დაუხმარებლად ცხენებიდან ვერ შეძლეს ჩამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ ძვირფას სამკაულთა ამ მფლობელებს ხშირ შემთხვევაში ზომიერება ღალატობდათ სამკაულთა ტარებაში, თავის თანამეცხედრეებთან დაკავშირებით ამჯობინებდნენ, რომ სამკაულები მათ მხოლოდ ვიწრო წრეში ეტარებინათ. და მხოლოდ XV საუკუნის შუახანებში პირველად გამოჩნდა საჯარო ადგილას ქალი ბრილიანტების ყელსაბამით და ეს ქალი გახლდათ აგნეს (ანიეს) სორელი, საფრანგეთის მეფის შარლ VII-ის (ზეობდა 1422-1461 წწ.) ფავორიტი.

საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-მა (ზეობდა 1515-1547 წწ.) ზღაპრულ ფასად იყიდა ძვირფასი ქვები და საფუძველი ჩაუყარა

სამეფო საგანძურს. ვალუათა დინასტიის ბოლო წარმომადგენელმა საფრანგეთის მეფემ ჰენრი III-მ (ზეობდა 1574-1589 წწ.) მოდაში შემოიღო მძიმე საყურეები, რომელიც ყმაწვილკაცებისათვის იყო განკუთვნილი. ბურბონთა დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა ჰენრი IV-მ (ზეობდა 1594-1610 წწ.) აკრძალა საყურეების ტარება მამაკაცებში, მაგრამ ვერ შეძლო აეძულებინა კურტიზანები ჩამოეხსნათ ძვირფასი ქვები, რომლებიც მათ სამოსს ამშვენებდა.

ბოლოს და ბოლოს, XVII ს-ში ფრანგი ქალები მოიპოვებენ უფლებას, ატარონ სამკაულები თავისი ქმრების თანასწორად. ისინი თავიანთ სალონებში ღებულობდნენ ვენეციელ და ფრანგ იუველირებს. მათ კისრებზე ჩნდება პირველი ყელსაბამები, ხოლო თითებს უმშვენებთ პირველი ბეჭდები ბრილიანტის თვლებით. ის, ვისაც ხელი არ მიუწვდებოდა ძვირფას ქვებზე, კმაყოფილდებოდა მინით, რომელსაც ამუშავებდნენ ავსტრიელი შტრასის მეთოდით, რომლის სახელიც საიუველირო ხელოვნების ისტორიაში შევიდა.

საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ, იაკობინთა ტერორის წლებში, საიუველირო ნაწარმი, ოქრო და იშვიათი ძვირფასი ქვები პრაქტიკულად კანონგარეშე აღმოჩნდა. ქალებმა დაიწყეს ფერადი კერამიკის სამკაულების ტარება, სამღვდელოებამ ხის ჯვრები შეიბა, მამაკაცები ატარებდნენ საბრძოლო ნიშნებს, არისტოკრატები — არაფერს.

1795-1799 წლებში საფრანგეთში დირექტორიასთან ერთად იწყება რევანში. თუ მამაკაცები კმაყოფილდებიან ერთი ძვირფასთვლიანი ბეჭდით ან ოქროს ცალი საყურით, ქალები ატარებენ ყელსაბამებს. დიადემებს, ბეჭდებს; ხშირ შემთხვევაში ეს ძვირფასეულობა თავისი წარმოშობით სამეფო საგანძურთან იყო დაკავშირებული, რომელიც 1792 წელს გაიძარცვა. იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის ბრძანებით განხორციელდა ყოველივე იმის კონფისკაცია, რაც ამ საგანძურიდან იყო დარჩენილი, და მან ცნობილი ალმასი „რეგენტი“-თ შეამკო თავისი საზეიმო ხმლის ტარი.

ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში მამაკაცები უარს ამბობენ სამკაულებზე, ქალები კი ზომიერები ხდებიან. რამოდენიმე საუკუნის მანძილზე გამომწვევი ფუფუნების შემდეგ მოდის მკაცრი და საქმიანი XIX საუკუნე. მრეწველები უარს ამბობენ უსარგებლო ბეჭდებზე და ადნობენ ოქროს, რათა მისგან საათების ჩარჩოები გააკეთონ. სამხრეთ აფრიკის საბადოების გახსნით კი, ეცემა ალმასის ფასი, მსხვილ

მრეწველთა, ინჟინერთა და ვაჭართა ცოლები საგვარეულო ძვირფასეულობას ჰყიდიან და ფულს მშენებლობაში აბანდებენ.

დახუნძლული სამკაულები ადგილს უთმობენ მსუბუქ, ელეგანტურ ბეჭდებსა და ბროშებს. თუმცა ახლა მდგომარეობა იგივეა, რაც რამოდენიმე ასწლეულის მიღმა. ძვირფასი საიუველირო ნაწარმი ახლად გამდიდრებულ ასობით საგვარეულოთა და ათეულობით ქარაფშუტა ქალების ატრიბუტი ხდება. ასე რომ, ისტორია თავის სიტყვას ამბობს საიუველირო ნაწარმისა და მისი ტარების კულტურაში.

როგორც ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი აღნიშნავდა, „ისტორია – ეს არის მეცნიერება" – ადამიანებზე დროში". წარსულის ყველა „ნარჩენი" კი არის საყრდენი პუნქტი მკვლევრის აზროვნებისათვის. ერთ-ერთ „ნარჩენად" საიუველირო ნაწარმიც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან სამკაულებშიც ჰპოვებს ისტორია ასახვას და ისიც დამატებით მასალას იძლევა ისტორიის სრული სახის წარმოსაჩენად.

Лали Пирцхалава

ИСТОРИЯ И ЮВЕЛИРНЫЕ ИЗДЕЛИЯ

Резюме

Ювелирные изделия не всегда были привилегией женщин. Долгое время их носили только мужчины как знак власти, благородного происхождения. Женщине потребовались тысячи лет, чтобы завоевать это право. Легенда гласит, что первое украшение придумала Ева. Исторически более правдоподобно, что украшения придуманы мужчиной. В развитии ювелирного дела и в культуре ношения ювелирных украшений весьма интересно отображена смена исторических этапов развития человечества. Как отмечал французский историк Марк Блок, «история – это наука «о людях во времени». А любой «остаток» прошлого является отправным пунктом для исследовательской мысли». Одним из «остатков» мы можем считать и ювелирные изделия, так как история отображена и в украшениях, дающих дополнительный материал для более полного воссоздания прошлого.

ლალი ფირცხალავა

ისტორია და მსოფლიო ისტორიის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოთა მიზნები

ისტორიის, როგორც საგნის მნიშვნელობა სკოლაში უნიკალურია. ისტორიის ცოდნის განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე შემდეგში მდგომარეობს:

პირველ რიგში ეს საგანი უნიკალურია თავისი ზემოქმედებით აზროვნების სისტემის ჩამოყალიბებაზე. ის შესაძლებლობას აძლევს მოზარდს თავისუფლად გადაადგილდეს ისტორიულ სივრცეში, აღჭურავს მას ისტორიული გამოცდილებით, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მოსწავლეებს სწორად შეაფასონ თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური პროცესები. გარდა ამისა, ისტორიული ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ თავიანთი საკუთარი შეხედულებანი, მასალის დამოუკიდებელი შეფასების უნარი, ამასთანავე, ასწავლის მათ, დააფასონ და პატივი სცენ სხვის აზრს.

ისტორია წარმოადგენს საფუძველს ისეთი დისციპლინების სწავლებისათვის, როგორიცაა: საზოგადოებათმცოდნეობა, სახელმწიფო და სამართალი, ქმნის რა ბაზას, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სასიცოცხლო ქმედების ისეთი ფუძემდებლური პრინციპების გაგებისა და რეალიზაციისათვის, როგორიცაა ადამიანის უფლებები და დემოკრატია.

ისტორიული დისციპლინები უყალიბებენ მოზარდებს თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრებისათვის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორიცაა ფართო აზროვნება და მსოფლმხედველობა, ტოლერანტობა, მოქალაქეობრივი სიმამაცე, შემოქმედებითი წარმოსახვა.

ისტორიული ცოდნა ამზადებს ახალგაზრდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის წინააღმდეგობებით სავსე თანამედროვე სამყაროში, ქმნის პირობებს სხვადასხვა კულტურის, ეთნიკური, ლინგვისტური და რელიგიური ტრადიციების მქონე ადამიანებს შორის ურთიერთგაგებისათვის, ეხმარება ადამიანს იგრძნოს თავი არა მხოლოდ განსაზღვრული ქვეყნისა და რეგიონის წარმომადგენლად, არამედ მსოფლიოს მოქალაქედ.

სწორედ სკოლაში, ისტორიის საგნის სწავლების საშუალებით ყალიბდება დემოკრატიული სახელმწიფოს მომავალი თაობის მოქალაქეთა მსოფლმხედველობა.

ისტორიის კარგი სახელმძღვანელო ეხმარება მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მრავალგანზომილებიანი აღქმა საკუთარი თავისა თანამედროვე სამყაროში, იცხოვროს პოლიკულტურულ საზოგადოებაში, რომელიც შესაბამისობაში იქნება დემოკრატიულ ფასეულობებთან; ესაა წიგნი, რომელიც ასწავლის კრიტიკულ აზროვნებას, მოთმინებით მოეკიდოს სხვის აზრს, დაფასოს ისტორია, თავისი და სხვა ხალხების კულტურული მემკვიდრეობა. კარგი სახელმძღვანელო უნდა იყოს აგებული დიალოგის ფორმით ავტორსა და თავის ნორჩ მკითხველებს შორის და უნდა მიესადაგებოდეს მათ ასაკს, ე.ი. გაითვალისწინოს ასაკობრივი ფაქტორი. ეს გახლავთ ის მიზნები, რომლებსაც ემსახურება ერთ სისტემაში მოქცეული მსოფლიო ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები. მსოფლიო ისტორიის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული, რომ სკოლა განსაზღვრავს საქართველოს მომავალს და წარმოადგენს აუცილებელ პირობას მისი აღორძინებისათვის, მითუმეტეს რომ, საქართველოში საზოგადოებრივი შეგნების დომინანტი ყოველთვის იყო ისტორიული მსოფლმხედველობა.

ისტორია ხომ უზარმაზარი მასივია სულიერი და კულტურული გამოცდილებისა, რომელიც დაგროვილია ადამიანთა უამრავი თაობის მიერ და მისი სწორად წარმოჩენა უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ისტორიის სახელმძღვანელოები სწორედ ის მნიშვნელოვანი არხია, რომლითაც ისტორიული კვლევის შედეგები გადაეცემა მომავალ თაობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა განსაკუთრებულად დგას X კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში, რომლის მესამე კარში, – ისტორიის სპეციალური და დამხმარე ისტორიული დისციპლინების სწავლებისას – ჩვენ მიზნად დავისახეთ მოსწავლეების შეყვანა ისტორიკოსის ლაბორატორიაში.

სახელმძღვანელოს ავტორებისათვის უმნიშვნელოვანესია გამოკვეთილი კონცეფციის გამომუშავება სახელმძღვანელოს მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მათ უწევთ არჩევანის გაკეთება, თუ როგორი უნდა იყოს შინაარსი, ფასეულობანი, შეხედულებები და მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი, და, ამასთანავე, უნდა აუხსნან მასწავლებლებს, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი, რადგან ისტორიის მასწავლებლები მჭიდრო კავშირში არიან თავიანთი მოსწავლეების ინტელექტუალურ და პირად განვითარებასთან.

სასკოლო ისტორიას თავისი საკუთარი სპეციფიკური ამოცანები გააჩნია. სკოლაში ისტორიის სწავლების ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება წარსულისადმი, მისასალმებელია, როცა ისინი სვამენ წარსულთან დაკავშირებულ კითხვებს. ისტორიის სწავლების ამოცანა ასახვას ჰპოვებს სახელმძღვანელოში შინაარსის შერჩევისას და მისი საშუალებით ხდება ფასეულობათა და შეხედულებათა ჩვევების განვითარება. ისტორია მოითხოვს წარმოსახვის ვარჯიშსა და წარსულისადმი სიმპატიით გამსჭვალვის უნარს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია წარსული ზუსტად აღვადგინოთ, რის გამოც ისტორიის შესწავლა ყოველთვის დაუსრულებელია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მსოფლიო ისტორიის ახალ სახელმძღვანელოთა ავტორებს გათავისებული აქვთ ისტორიული განათლების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ერებს შორის უკეთ ურთიერთგაგების შემდგომ განვითარებაში. მსოფლიო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები გვთავაზობენ ბალანსს რეგიონალურ, ეროვნულ, ევროპულ და მსოფლიო ისტორიებს შორის.

კარგი სახელმძღვანელო ხომ სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ავტორთა პროფესიონალიზმი არის გარანტი სახელმძღვანელო-სამეცნიერო დონისა და მასში ფაქტების მოწესრიგებულად გადმოცემისა. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები შეესაბამება თავისი მკითხველის დონეს, ამასთანავე, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა მეტყველების დახვეწას და შემდგომ განვითარებას.

მსოფლიო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები არ იძლევა საბოლოო პასუხებს მოვლენათა შესახებ, არამედ ისინი გზას უხსნიან შემდგომ შეკითხვებსა და პირად გამოკვლევებს. ისინი ბიძგს აძლევენ კრიტიკულ აზროვნებასა და უვითარებენ მოსწავლეებს პირადი მსჯელობის უნარს. ახალი სახელმძღვანელოების მიზანია, ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს მასალის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევები. მათ უნდა შეძლონ ტექსტის გამოყენება მასწავლებლის გარეშე, ამაში მათ ეხმარებათ თითოეულ გაკვეთილზე თან დართული მასალა.

სახელმძღვანელოებში შეძლებისდაგვარად მოცემულია წარსულის პლურალისტული ინტერპრეტაცია. ისინი შეიცავენ რესურსებს, რომლებიც ადასტურებენ სხვადასხვა აზრის არსებობას ერთსა და იმავე ფაქტზე.

მსოფლიო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები შექმნილია კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და ითვალისწინებენ თავისი მკითხველის ასაკობრივ დონეს, საპროგრამო მოთხოვნებს და, ამასთანავე,

ადგილს უთმობენ ექსპერიმენტებსა და არაპროგრამულ საქმიანობასაც. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ისინი მიმზიდველად გამოიყურებიან თავისი გაფორმებით, რადგან ილუსტრაციები მხოლოდ სილამაზისათვის კი არ არის მათში, არამედ ისინი ფუნქციონალურ სარესურსო მასალას წარმოადგენენ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სახელმძღვანელოები განიცდიან მუდმივ სრულყოფას და მათი ავტორებიც მუდმივ შემოქმედებით ძიებაში არიან, რითაც მოზარდი თაობა არათუ ზარალდება, არამედ პირიქით, უფრო და უფრო სრულყოფილ სახელმძღვანელოებთან უხდება ურთიერთობა.

Лали Пирцхалава

ИСТОРИЯ И ЦЕЛИ НОВЫХ ШКОЛЬНЫХ УЧЕБНИКОВ ПО ВСЕМИРНОЙ ИСТОРИИ

Резюме

Ценность истории как предмета уникальна. Исторические дисциплины воспитывают в личности такие важные для жизни качества, как широта мышления и мировоззрения, толерантность, гражданская смелость, творческое воображение. В Грузии доминантой общественного сознания всегда являлось историческое миропонимание.

Хороший учебник истории – это книга, которая помогает школьнику формировать многомерное восприятие себя в современном мире, жить в поликультурном обществе в соответствии с демократическими ценностями.

Ведь история – это огромный массив духовного, социального и культурного опыта, накопленного многими поколениями, и ее правильное воссоздание является огромной ответственностью. Учебники истории – это значительные каналы, по которым результаты исторических исследований передаются будущему поколению. Следует особо подчеркнуть, что эта задача особенно актуальна в учебнике X класса, в третьем разделе которого, при изучении специальных и вспомогательных исторических дисциплин, мы ставили своей целью ввести учащихся в лабораторию историка.

მერაბ კალანდაძე

რამაზ ცუხიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

როდესაც ხელი მოვკიდე კალამს და გადავწყვიტე დამეწერა სტატია ჩემს უდროოდ დაღუპულ კოლეგაზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატზე, დოცენტ რამაზ ცუხიშვილზე, უნებლიეთ მარკუს ავრელიუსის ეს სიტყვები გამახსენდა. „საკურთხეველზე გუნდრუკის უთვალავი მარცვალი ძევს. ზოგი უფრო ადრე ცვივა სამსხვერპლო ცეცხლში, ზოგი კი უფრო გვიან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?“ ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე უფრო კარგად მიესადაგება რამაზის მიერ განვლილ გზას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე ადრე წავიდა ამ წუთისოფლიდან, მან მაინც მოასწრო ეთქვა თავისი მოკრძალებული სიტყვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა, რა თქმა უნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრი ჰქონდა და მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი და ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

რამაზ ცუხიშვილი დაიბადა 1965 წლის 1 იანვარს საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში. დედა, ნანული ერაძე, მამა, კუკური ცუხიშვილი. ჰყავდა და, მარინა ცუხიშვილი და ძმა, თეიმურაზ ცუხიშვილი.

1982 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. რამაზი უფროსი შვილი იყო ოჯახში და უმალ ამოუდგა გვერდში მშობლებს. დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1982-83 წლებში მუშაობდა სოფელ ჩიხის კოლმეურნეობაში მუშად.

1983 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ იგი იძულებული იყო დროებით შეეწყვიტა სწავლა და მოეხადა სამხედრო ვალდებულება. 1990 წელს წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით, სადისერტაციო თემად მან აირჩია „ინგლისი-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ.“ კათედრამ თემის ხელმძღვანელად გამოყო პროფესორი ილია ტაბაღუა.

რამაზი გულმოდგინედ მუშაობდა თემაზე, აგროვებდა მასალებს. ამ პერიოდში მან გადაწყვიტა შეექმნა ოჯახი. 1992 წლის 3

ნოემბერს მან ცოლად შეირთო ხათუნა ასანიძე. 1995 წლის 12 ოქტომბერს მათ შეეძინათ ქალიშვილი მარიამი.

შეიძლება ითქვას, რომ 1995 წელი ბედნიერი აღმოჩნდა რამაზის ცხოვრებაში. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ჯერ იყო და გამოვიდა მისი წიგნი „ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ.“, ხოლო შემდეგ ამ თემაზე მან ისტორიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ რ. ცუხიშვილი მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროში და, ამავე დროს, შეთავსებით კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1991 წლის ოქტომბრიდან პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი რამაზ ცუხიშვილი მუშაობას იწყებს შინაგანი სამინისტროს ორგანოებში – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი კვლევის სამეცნიერო კვლევითი განყოფილების უფროსად, ხოლო 1993 წლიდან – 1996 წლის დეკემბრამდე მუშაობდა პოლიციის აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი დოცენტად. იგი მოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე და საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს უკითხავდა ახალი ისტორიის კურსს.

მომდევნო, 1996 წელს, გამოვიდა რამაზ ცუხიშვილის მეორე წიგნი „ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში (1918-1921 წწ.). ყველაფერი კარგად მიდიოდა. რამაზი ოცნებობდა ინგლისში წასვლაზე და კიდეც ახლო იყო მიზანთან და სწორედ ამ წუთებში უმტყუნა ბედისწერამ.

1996 წლის 1 დეკემბერს ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა რამაზ ცუხიშვილი. ეს იყო დიდი დანაკლისი არა მარტო მშობლებისათვის, ოჯახისათვის, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რომელმაც დაკარგა ნიჭიერი ახალგაზრდა, კარგი ლექტორი და პერსპექტიული მკვლევარი. ამ წუთისოფლიდან მისმა უდროოდ წასვლამ ყველანი დიდად დაამწუხრა, ყველას გული დაგვწყვიტა.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ რამაზ ცუხიშვილის მეცნიერული კვლევა პირველ ნაბიჯებზევე შეწყდა,

და მაინც, მიუხედავად ამ ხანმოკლე პერიოდისა, მის მიერ ჩატარებული საკვლევი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მის მიერ დატოვებული ორი წიგნი ამის ნათელი დასტურია.

დოცენტ რამაზ ცუხიშვილის პირველი წიგნი „ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ." არის მისი საკანდიდატო დისერტაცია, იგი წარმატებით იქნა დაცული ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1995 წლის ივნისში. ოფიციალური ოპონენტების პროფ. ალ. ბენდიანიშვილის და დოც. ვ. გურულის დადებითი რეცენზია რ. ცუხიშვილის მეცნიერული საქმიანობის შეფასების პირველ სერიოზულ ცდად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან დაკავშირებით აქვე დავსძენთ, რომ 1998 წელს, ჩვენი ხელმძღვანელობით, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო ცისკარაულმა დაიცვა სადიპლომო ნაშრომი — „რამაზ ცუხიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა".

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას არჩეული თემის „ინგლის-საქართველოს ურთიერთობას 1918-21 წლებში" აქტუალობას. მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ეს საკითხი კვლავაც მნიშვნელოვანია.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისაგან და დასკვნისაგან. აქვს საკმაოდ ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

პირველ თავში განხილულია ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918 წელს, მეორე თავი ეძღვნება ინგლის-საქართველოს ურთიერთობებს 1919 წელს. მესამე თავში საუბარია ინგლის-საქართველოს ურთიერთობებზე 1920 წელს, დაბოლოს, მეოთხე თავი ეხება ინგლის-საქართველოს ურთიერთობებს 1921 წელს.

უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მესამე და მეოთხე თავის გაერთიანება? მით უმეტეს, როგორც ჩანს, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე 1921 წელს მასალები მაინცდამაინც უხვად არ მოგვეპოვება.

ნაშრომის ყველაზე უფრო ტევად, მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე თავი, რამეთუ აქ ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა განხილულია საკმაოდ ფართო სპექტრით: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო საქმის მხრივ.

საინტერესოა ნაშრომში 1918-1921 წლებში ინგლის-საქართველოს ურთიერთობების პერიოდიზაცია. ავტორი ფიქრობს, რომ ამ წლებში ინგლის-საქართველოს ურთიერთობა შეიძლება ოთხ პერიოდად დაიყოს

: 1. 1918 წლის ნოემბრიდან – 1919 წლის სექტემბრამდე. 2. 1919 წლის სექტემბრიდან – 1920 წლის დასაწყისამდე. 3. 1920 წლის დასაწყისი – 1920 წლის ივლისი. 4. 1920 წლის ივლისი – 1921 წლის თებერვალ-მარტი.

ჩვენი აზრით, უფრო უკეთესი იქნებოდა, ნაშრომი სწორედ ამ პერიოდიზაციაზე ყოფილიყო აგებული. ამ შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ის განსხვავება, რომელიც არსებობს ნაშრომის შიგნით მოცემულ პერიოდიზაციასა და ნაშრომის შინაარსში არსებულ დაყოფას შორის.

ვფიქრობთ, აუცილებლად საჭირო იყო, ავტორს შესავალში მოკლედ განეხილა საკითხის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა. ეს საშუალებას მისცემდა მას, კიდევ უფრო მკაფიოდ, ნათლად გამოეკვეთა თავისი წვლილი აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში.

დოც, რ. ცუხიშვილის დამსახურებას იმაში ვხედავთ, რომ ამ წიგნით მან გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი აღნიშნული პრობლემის ახლებურად გაშუქებისათვის.

1996 წელს გამოვიდა რ. ცუხიშვილის მეორე წიგნი – „ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში" (1918-1921 წწ.). ამ აქტუალური საკითხის წინ წამოწევა ახალგაზრდა მკვლევრის სერიოზულ წარმატებად მიგვაჩნია. ირკვევა, რომ ამ ნაშრომის გამოცემა ავტორს სამ წიგნად ჰქონია განზრახული. პირველ ნაწილში იგი განიხილავს ბათუმის და არტაანის საკითხს. მეორე მონაკვეთში მას განზრახული ჰქონია განეხილა სოჭისა და სოხუმის ოლქების, ბორჩალოს მაზრის პრობლემა, ხოლო მესამე მონაკვეთში – წყაროების პუბლიკაცია, დღემდე გამოუქვეყნებელი ისტორიული წყაროების გამოცემა. სამწუხაროდ, ავტორმა ამ იდეის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრო, რაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული დანაკლისია.

პირველ ნაწილში, რომლის გამოცემაც ავტორმა მოასწრო, განხილულია შემდეგი საკითხები: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ბათუმის საკითხი ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1919-1920 წწ.), არტაანის საკითხი ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1919 წ.).

მიუხედავად მეცნიერული საქმიანობის მცირე მონაკვეთისა, ამ მიმართულებით რამაზ ცუხიშვილის მიერ ჩატარებული შრომა მისასალმებელია, რამეთუ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მოკრძალებულ წვლილს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვასო კაჭარავა

კალვინ კულიჯის გზა პრეზიდენტობისაკენ

1923 წლის 2 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტი უორენ ჰარდინგი გულის შეტევით გარდაიცვალა და აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად მისი ადგილი ვიცე-პრეზიდენტმა კალვინ კულიჯმა დაიკავა. კულიჯის პრეზიდენტობა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ წლებს დაემთხვა, წლებს, რომელნიც აყვავების (პროსპერიტის) წლებად არის მიჩნეული.

მართლაც, თუ ოციანი წლების მაჩვენებლებს გადავხედავთ, საოცარ ეკონომიკურ წინსვლას დავინახავთ. კერძოდ, თუ 1921 წელს შეერთებული შტატების ერთიანი ეროვნული პროდუქტი 69,6 მლრდ. დოლარად ფასდებოდა, 1229 წელს, ანუ აყვავების ბოლო წელს, იგი უკვე 103 მლრდ. დოლარს აღწევდა. შესაბამისად, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 641 დოლარიდან 847 დოლარამდე გაიზარდა[1]. 1922 წლიდან 1929 წლამდე დამამუშავებელი მრეწველობა 91%-ით გაიზარდა[2].

თუ 1921 წელს აშშ-ში 1,6 მლნ ავტომობილი ააწყვეს, 1929 წელს უკვე 5,4 მლნ. და საერთოდ, 1920-იანი წლების დასასრულისათვის აშშ აწარმოებდა იმდროინდელი კაპიტალისტური სამყაროს პროდუქციის 48%[3].

რასაკვირველია, ყველა დარგი ერთნაირად არ ვითარდებოდა და, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, პირიქით, კრიზისულ მდგომარეობაშიც კი იყო, მაგრამ საერთო სურათი მაინც მეტად შთამბეჭდავ წარმატებას ასახავდა.

საერთოდ, ითვლება, რომ პრეზიდენტს მოეკითხება პირველ რიგში ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა, მაგრამ კ. კულიჯი თვლიდა, რომ პრეზიდენტი მაქსიმალურად უნდა ჩამოშორდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას და ამ ასპექტში ინიციატივა ბიზნესსა და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა დაუთმოს. მისი მსოფლმხედველობა იმ პერიოდში გავრცელებულ ამერიკული ინდივიდუალიზმის იდეოლოგიას ასახავდა (სხვათა შორის, ბროშურა „ამერიკული ინდივიდუალიზმი“ კულიჯის მთავრობის წევრმა, ვაჭრობის მინისტრმა, ჰ. ჰუვერმა, გამოაქვეყნა 1923 წელს). მაშინ გავრცელებული აზრით, პრეზიდენტს ღამის დარაჯის ფუნქცია ეკისრებოდა, ანუ ის

მაშინ უნდა გამოჩენილიყო ავანსცენაზე, როდესაც ქვეყანას რაიმე უცხო საფრთხე, ან ეროვნული მასშტაბის სტიქიური უბედურება დაემუქრებოდა. კულიჯმა ერთხელ სიამაყით თქვა: „უეცრად რომ გარდავიცვალო, ამას რამოდენიმე დღის მანძილზე ვერავინ გაიგებს".

როდესაც პრეზიდენტის რანგის თანამდებობაზეა საუბარი, მაშინ პასიური პოზიციაც კი, სერიოზული პოზიციაა და მასაც სერიოზული დაცვა და ცხოვრებაში გატარების უნარი სჭირდება, და თუმცა კ. კულიჯი სრულებითაც არ მიეკუთვნება ამერიკელ ისტორიკოსთა ფავორიტების რიცხვს, ჩვენის აზრით, მის პოზიციას საკმაოდ ძლიერი ნებისყოფა და მოქალაქეობრივი სულისკვეთება სჭირდებოდა. ისიც ფაქტია, რომ თუ არა მის მიერ საკუთარი მსოფლმხედველობის სწორი მისადაგება 1920-იანი წლების ეკონომიკური კონიუნქტურისათვის, ვინ იცის, ამერიკული პროსპერიტი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი ყოფილიყო.

აი რას წერდა კულიჯის შესახებ ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ფ. ალენი — „კულიჯი პატიოსანი, ფრთხილი და საღი გონების ადამიანი იყო. ამავე დროს, იგი ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი პერსონაჟია, რომელიც ოდესმე ყოფილა ამერიკის უმაღლეს თანამდებობაზე... კულიჯი არ შეეჭიდებოდა ეროვნული მასშტაბის არც ერთ პრობლემას, სანამ ძალით არ მიაპყრობდნენ მის ყურადღებას ასეთისადმი, მას შეეძლო ხმაამოუღებლივ მჯდარიყო, რომელიმე გაჭიანურებულ ლონისძიებაზე... უყვარდა ნაშუადღევს წაძინება 2-4 საათით. კულიჯის არააქტიურობის გენია მისაღები იყო ამერიკელთა უმრავლესობისათვის[4]...

ამ პიროვნების საქმიანობის შესწავლა დიდ და სერიოზულ გამოკვლევას მოითხოვს, მით უმეტეს, ქართულ ისტორიოგრაფიაში, სადაც მისი სახელი თითქმის უცნობია. ამჯერად, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ მისი ბიოგრაფიის პრეზიდენტამდელ პერიოდზე, ვინაიდან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, სწორედ მაშინ მოხდა კულიჯის პიროვნების ჩამოყალიბებაც.

კ. კულიჯი დაიბადა 1872 წელს ვერმონტის შტატის ქალაქ პლიმუტში, წვრილი ვაჭრის ოჯახში. მამამისი იმდენად კეთილსინდისიერი და ბრძენი კაცი იყო, რომ მისი გარეუბნის ხალხი სწორედ მასთან მოდიოდა სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

1890-95 წლებში ახალგაზრდა კულიჯი ამჰერსტის კოლეჯში სწავლობდა და საკმაოდ კარგი აკადემიური მაჩვენებლებიც ჰქონდა. თუმცა, როგორც ბევრს, მის ერთ-ერთ თანაკურსელს, „არასოდეს

წარმომედგინა, რომ კულიჯი რაიმე მნიშვნელოვან კარიერას მიაღწევდა. იგი ცოტას ლაპარაკობდა და მუდამ ჩრდილში იყო...“[5].

კოლეჯის დასრულების შემდეგ ის აქტიურად და საკმაოდ წარმატებულად ჩაება შტატის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კულიჯი არ ჰგავდა ტიპიურ ამერიკელ პოლიტიკოსს,რომელიც ამომრჩევლებს მხარზე ხელს დაჰკრავდა, ან სიგარით გაუმასპინძლდებოდა. მას არ უყვარდა ზედმეტი დაპირებების მიცემა და კვლავ სიტყვაძუნწ ადამიანად რჩებოდა. მაგრამ თუკი რაიმეს იტყოდა, მისი ნათქვამი მუდამ რეალურ საქმეს ეხებოდა და დანაპირებსაც ასრულებდა. მსგავსი პერსონაჟები საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდნენ ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამომრჩევლებს სულ უფრო იზიდავდა მისი ურთიერთობის საქმიანი და გულახდილი სტილი.

1906 წელს კულიჯი მასაჩუსეტსის შტატის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრი გახდა. საინტერესოა, რომ მისი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა მოითხოვდა შტატში ავტომობილების სიჩქარის შეზღუდვას 20 მილით საათში.

შემდგომში მისი ინიციატივები უფრო რეალისტური იყო და მან მრავალ კარგ წამოწყებას დაუჭირა მხარი, მათ შორის, ისეთ კანონპროექტებს, როგორებიცაა:

1. სანიტარული სამედიცინო აღჭურვილობის არსებობის აუცილებლობა მასაჩუსეტსის ყველა საწარმოში;

2. შვიდდღიან კვირაში ერთი აუცილებელი დასვენების დღის დაწესება;

3. ბავშვთა სათამაშო მოედნების რაოდენობის ზრდა;

4. რკინიგზაზე მუშებისათვის სპეციალური იაფი ბილეთების, ხოლო [illegible] შვილებისათვის ნახევარფასიანი ბილეთების შემოღება.

5. კანონი ნასშირის ბიზნესში არსებული თაღლითობის წინააღმდეგ.

1909 წელს კულიჯი ნორტჰემპტონის მერად აირჩიეს. ამ პოსტზე მან ქალაქის ვალი 30 000 დოლარით შეამცირა და, ამავე დროს, გადასახადის შემცირებაც მოახერხა, გაზარდა მასწავლებელთა ხელფასები, გაარემონტა გზები და ა. შ[6].

მალე იგი შტატის სენატის წევრი ხდება, სადაც ასევე წარმატებით საქმიანობს. იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა [illegible] ეერიოდში აყვავებული კორუფციის ფონზე და ამომრჩ[illegible] დიდი ნდობა დაიმსახურა. კულიჯის აღიარებული ბიოგრაფიის ავტორი უ. უატი წერდა, „კულიჯი არ იყო კორუმპირებული, მას ამაღლებული იდეალები ჰქონდა. იგი ნათელი წერტილი [illegible] კორუმპირებული ბოსტონის

რეალობაში, თუმცა იგი მეტისმეტად დებდა თავს მოუსყიდველობასა და უცოდველობაზე. იგი სუფთა თამაშს აწარმოებდა თავიდანვე მონიშნული კარტით[7].

1918 წელს კულიჯმა უკვე მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის პოსტი დაიკავა და ეს უკვე ზოგადეროვნული მასშტაბი იყო. მით უმეტეს, რომ მასაჩუსეტში ჩაისახა ამერიკული რევოლუცია და იგი გამორჩეული პოლიტიკური ტრადიციისა და გავლენის შტატი იყო. აქაც კულიჯი წარმატებულად საქმიანობდა.

მაგრამ 1919 წელს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც იგი ზოგადეროვნული მასშტაბის გმირად აქცია. ამ დროს ბოსტონის პოლიციელები, რომელნიც თავისი ხელფასის გაზრდას მოითხოვდნენ, ამერიკის შრომის ფედერაციას შეუერთდნენ და მკაცრი ულტიმატუმი წაუყენეს პოლიციის კომისარს. კომისარი არ შეხვდა მათ დელეგატებს და ამ ინიციატივის 19 მოთავე გაანთავისუფლა სამსახურიდან. ამის საპასუხოდ ბოსტონის პოლიციელთა სამმა მეოთხედმა დატოვა თავისი პოსტები, რის გამოც ქალაქში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ღამით კრიმინალური ელემენტები ქუჩაში გამოვიდნენ და დაარბიეს მაღაზიები. თუ რას ნიშნავს პოლიციის საქმიანობის პარალიზება, საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის არც თუ შორეული წარსულის მაგალითზე. საპასუხოდ გუბერნატორმა ეროვნული გვარდია გამოიყვანა ქუჩებში და პოლიციის შევსება დაიწყო მოხალისეების ხარჯზე.

რაც შეეხება გაფიცულებს, მათ კატეგორიულად აეკრძალათ ბოსტონის პოლიციაში მუშაობა. შემდეგში კულიჯი იხსენებდა, რომ ზოგიერთ პოლიციელს იგი სამუშაოს შოვნაშიც კი დაეხმარა, მაგრამ პოლიციის კარი სამუდამოდ დახურა მათ წინაშე.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ, უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე სამუელ გომპერსმა, დეპეშა გაუგზავნა კულიჯს, რომელშიაც გაფიცულთა მხარეს ჩარევა და მათი სამსახურში აღდგენა მოითხოვა.

კულიჯმა პრესის მეშვეობით გასცა მას პასუხი, რომელიც მთელს ამერიკას მოედო — „ბოსტონის პოლიციის უფლება რაიმე კავშირში გაერთიანების თაობაზე მუდამ საეჭვო იყო და არასოდეს იყო გარანტირებული, ახლა კი, საერთოდ, არ არსებობს. პრეზიდენტ ვილსონის მოწოდება ვაშინგტონისათვის სულაც არ არის საკალ-დებულო ბოსტონისათვის. აქ პოლიციამ არ შეასრულა თავისი

მოვალეობა. ეს ისეთი აქციაა, რომელსაც თვით პრეზიდენტი ვილსონი აცხადებს დანაშაულად ცივილიზაციის წინააღმდეგ. თქვენი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ პოლიციის კომისარი შეცდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაფარავს იმ ფაქტს, რომ ქალაქი დაცვის გარეშე დარჩა და კრიმინალურ ელემენტს ხელსაყრელი პირობები შეექმნათ. საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ გაფიცვის უფლება არავის, არასდროს, და არსად არ აქვს.

თქვენ მოითხოვთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა იმავე პოლიციელთა ხელში დავაბრუნოთ, თუმცა ისინი კვლავ აგრძელებენ მასაჩუსეტსის კანონის დარღვევას და არ ასრულებენ პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებებს. ცხრამეტმა სცადა ეს და ისინი მოიცილეს, დანარჩენებმაც, ვინც მიატოვეს თავისი პოსტი, ასევე, გაანთავისუფლეს ადგილები და უმაღლესმა კომისარმა მათი თანამდებობები ვაკანტურად გამოაცხადა. მე ვერ ვურჩევ ვერცერთ ხელისუფალს სასამართლოს გარეშე რაიმე სხვა ზომების მიღებას... ყოველ ჩვენთაგანს დიდი პასუხისმგებლობა აწევს. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ დამეყრდნოთ ყოველგვარ კანონიერ საქმეში და მტკიცე პოლიტიკაში. მე თანაბრად დავიცავ მასაჩუსეტსის შტატის სუვერენიტეტს და სამართალს, მიუხედავად მოხელეთა წინააღმდეგობისა, როგორც ეს აღნიშნულია კონსტიტუციასა და ჩვენს კანონებში"[8].

აღნიშნულ დეპეშაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შტატის უფლებებისა და სუვერენიტეტის უზენაესობის პრინციპი. ავტორი პრეზიდენტსაც კი ახსენებს ამის შესახებ, თუმცა, ამჯერად, ვილსონი მის მხარეს არის. მეორეს მხრივ, გომპერს საკმაოდ მკვახედ მიუთითეს, რომ არ ჩაერიოს ამ კონფლიქტში და, რომ მას შტატი საკუთარი ძალებით გადაწყვეტს, საკუთარი კანონების საფუძველზე. ასეთი ხისტი პასუხი ამერიკის ყველაზე გავლენიანი პროფკავშირის ლიდერისადმი, გუბერნატორისაგანაც კი დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა და ამერიკამ დაუფასა კულიჯს ეს სიმტკიცე. ბუნებრივია, კულიჯის სიმკაცრემ რიგითი ამერიკელების გულიც მოიგო, რომელნიც ძალზე დააფრთხო პოლიციის ესოდენ უპასუხისმგებლო მოქმედებამ.

როგორც თვით კულიჯმა აღიარა თავის მოგონებებში, სწორედ ბოსტონის გაფიცვის დროს გამოვლენილმა სიმტკიცემ და ინიციატივამ შეუქმნა მას ზოგადეროვნული პაბლისიტი[9].

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ქმედების შედეგად შექმნილმა რეპუტაციამ განაპირობა რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე რიგითი დელეგატების მხარდაჭერა კულიჯის მიმართ, როდესაც იგი ვიცე

პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს. თუმცა, დელეგატებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ კულიჯმა თავისი გუბერნატორობის პერიოდში მნიშვნელოვნად გამოასწორა შტატის ფინანსური მდგომარეობა. ქალების და ბავშვებისათვის მაქსიმალური სამუშაო კვირა 48 საათამდე დაიყვანა, დაეხმარა სარკინიგზო კომპანიებს და სხვა. სხვათა შორის, ამ კონვენტზე ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ჰუვერისა და კულიჯის ტანდემი[10].

1. Historical Statistics of the United States. Colonial Times to 1970. Washington D. C. 1975. p. 224.

2. Recent Social Trends in the United States. N. T., London, 1933. p. 233.

3. Сивачев Н. В. Языков Е. Ф. Новеишая история США. М. 1980. стр. 53.

4. Allen F. The Big Change. America Transters Itself. 1900-1950. Pirrenial Library., Harper & Row, Publishers, N. Y., 1969., p. 117.

5. Fuess C. M. Calvin Coolidge. The Man from Vermont., Boston 1940. p. 71.

6. Ibid., P. 107.

7. Write W. A. A Puritan in Babilon. N. T.,1940,p. 99.

8. Twentieth Century America. Selected Readings. By E. D. Cronin. Homewood, Illinois. 1965. v. I p. 307.

9. The Aoutobiography of Calvin Coolidge. N. Y. 1929 p. 141.

10. Best G. D. The Politics of American Individualism. Greenwood Press Westport, Lonlon. 1975. p. 112.

В. Качарава

ПУТЬ КАЛВИНА КУЛИДЖА К ПРУЗИДЕНСТВУ

Резюме

В статье кратко описывается становление Калвина Кулиджа как политика общенационального масштаба, его человеческие и деловые качества. Особое внимание уделяется деятельности губернатора Кулиджа во время забастовки бостонских полицейских в 1918 году.

ვასო კაჭარავა

ჰერბერტ ჰუვერის დანიშვნა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე

აშშ-ში მრავალი მინისტრი დაუნიშნავთ და, ბუნებრივია, რომ ყოველ მსგავს დანიშვნას ნამდვილად არ მიეძღვნება, თუნდაც ამერიკელი ისტორიკოსის და, თუნდაც მცირე სტატია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჰ. ჰუვერის უდიდეს როლს ვაჭრობის სამინისტროს საქმიანობის განვითარებაში. 1920-იანი წლების აშშ-ის პოლიტიკაში და, ბოლოს, მის პრეზიდენტობას 1929-1933 წლებში, ალბათ, ეს დანიშვნა ნამდვილად იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას.

1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად აშშ-ის პრეზიდენტი რესპუბლიკელი სენატორი ოჰაიოს შტატიდან უორენ ყარდინგი გახდა. დაუპირისპირდა რა ვ. ვილსონის ეტატისტური რეფორმების კურსს, რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „უკან ნორმალურობისაკენ" ანუ სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ, როგორც იტყვიან, განვლილ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ვილსონამდელი და I მსოფლიო ომამდელი ვითარების აღდგენა შეუძლებელი იყო. განვლილმა ათწლეულმა ბევრი რამ შეცვალა როგორც გარე სამყაროში, ისე თვით ამერიკაშიც, იქნებოდა ეს ამერიკული ეკონომიკის მასშტაბები და ფორმები, თუ ამერიკელი მოსახლეობის მსოფლმხედველობა. მოუწოდებდა რა — „უკან ნორმალურობისაკენ" — რესპუბლიკური პარტია ითვალისწინებდა ახალ რეალობებს და მან პარტიაში, კლასიკურ კონსერვატორებთან ერთად, რესპუბლიკელთა იდეალების ცხოვრებაში უფრო მოქნილი გამტარებლების მოზიდვა დაიწყო.

სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ჰ. ჰუვერიც, ადამიანი, რომელიც უბრალო ოჯახიდან გამოვიდა, კარგი განათლება მიიღო, მაშინ ჯერ კიდევ ახალ სტენფორდის უნივერსიტეტში, და წარმატებული ბიზნესმენი გახდა. მაგრამ წარმატებული ბიზნესმენობით ამერიკას ვერ გააკვირვებდი. ჰუვერმა კი, არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ჰუვერი იყო I მსოფლიო ომის დროს უდიდესი მასშტაბის საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზატორი გერმანიის მიერ ოკუპირებულ და ომის შედეგად გაჩანაგებულ

ტერიტორიებზე. სწორედ მას მიანდო აშშ-ის მთავრობამ ოკუპირებული ბელგიის გამოკვება და ამ ქვეყნის მოსახლეობა შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. ომის შემდგომ კი, ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის მეშვეობით, მთელს ევროპაში 300 მილიონამდე ადამიანი გადაურჩა შიმშილს. ბელგიიდან პოლონეთამდე მილიონობით ადამიანისათვის სწორედ ჰუვერი განასახიერებდა ამერიკის სიდიადესა და დახმარებას.

უდავოა, რომ აშშ-ის ომის შემდგომი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაში ჰუვერსაც მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი. ბუნებრივია, ეს ჰუვერს სამშობლოშიც დაუფასეს და ამერიკაში იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ორივე წამყვან პარტიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ჰუვერი არც სენატორი და არც გუბერნატორი ყოფილა (დღემდე პრეზიდენტობისათვის ყველაზე მისაღები ტრამპლინი ამერიკაში), სავსებით სერიოზულად მიიჩნევდნენ მას პრეზიდენტობის კანდიდატად.

მაგალითად, ფრანკლინ რუზველტი ერთ-ერთ მეგობარს წერდა — „ის ნამდვილი საოცრებაა და მე ვისურვებდი, რომ შეგვეძლოს მისგან პრეზიდენტი შევქმნათ, მასზე უკეთესი არავინ იქნება[1].

ისეთი გაზეთები, როგორებიცაა: „ნიუ-იორკ თაიმსი", „დეტროიტ ნიუსი" და „ფილადელფია ფაბლიკ ლიდერი", იმასაც კი წერდნენ, რომ ჰუვერის პრეზიდენტობა თვით ვილსონს სურდა. თუმცა, სულ მალე მათი ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა.

1920 წლის 30 მარტს ჰუვერმა, რომელიც თავდაპირველად ორ პარტიას შორის ყოყმანობდა, განაცხადა, რომ რესპუბლიკურ პარტიას მიემხრობოდა. თუმცა ისიც ცნობილია, რომ წარსულში იგი მაინც უფრო რესპუბლიკელებისაკენ იხრებოდა. 1896 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან ხმა რესპუბლიკელ კანდიდატს მაკ კინლის მისცა, ხოლო 1909 წლიდან 1917 წლამდე, როდესაც მან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ვილსონის ადმინისტრაციასთან, იგი ნიუ-იორკის რესპუბლიკური კლუბის წევრი იყო[2]. მაშინდელ ამერიკელ საზოგადოებაში ჰუვერს ბევრი ცნობილი პიროვნება უჭერდა მხარს, მაგ., ფ. რუზველტი, უ. ლიპმანი, ი. ტარბელი, ფ. ალენი, ლ. ბრენდისი და სხვები.

ჰუვერის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ საინჟინრო ასოციაციები, სამეცნიერო ორგანიზაციები და

უნივერსიტეტები. განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰარვარდის უნივერსიტეტმა გამოამჟღავნა. მაგრამ, რასაკვირველია, ჰუვერი ჯერ კიდევ არ იყო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ფიგურა და, რაც მთავარია, არც რესპუბლიკური პარტიის მმართველ წრეებში გააჩნდა ძლიერი პოზიციები და რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე პრეზიდენტის კანდიდატის ნომინაციაში მან მხოლოდ 10 ხმა მიიღო. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, მე-10 კენჭისყრაში უორენ ჰარდინგის კანდიდატურამ გაიმარჯვა.

არჩევნების შემდეგ ჰუვერმა გადაწყვიტა თავი დაენებებინა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მაგრამ სწორედ მაშინ მიიწვია იგი ჰარდინგმა თავის კაბინეტში, იმ საბაბით, რომ მას ამერიკის „საუკეთესო ტვინები" სჭირდებოდა მთავრობაში. პრეზიდენტმა ჰუვერს ასარჩევად შესთავაზა ან საშინაო საქმეთა, ან ვაჭრობის სამინისტრო.

როგორც ჰუვერი იხსენებდა თავის მემუარებში, „ჩემის აზრით, მთავარი პრობლემები რეკონსტრუქციასა და ეროვნულ განვითარებაში იყო და სწორედ ამიტომ ვარჩიე ვაჭრობის სამინისტრო, თუმცა, იმ დროს იგი საშინაო საქმეთა სამინისტროზე ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო"[3]. პრეზიდენტისადმი პასუხში მან აღნიშნა, რომ შეიძლება რესპუბლიკური პარტიის ძველი გვარდიისათვის მიუღებელი ყოფილიყო მისი კანდიდატურა. უფრო მეტიც, ერთ წერილში პრეზიდენტს მან პირდაპირ მისწერა: „ამოიღეთ თავიდან ნებისმიერი აზრი ჩემი დანიშვნის შესახებ"[4]. ამის შემდეგ, თითქმის სამი თვის მანძილზე, ჰარდინგისაგან პასუხი არ მიუღია და ეგონა, რომ მან გადაიფიქრა კიდეც. მით უმეტეს, რომ ისეთი კონსერვატორი რესპუბლიკელები, როგორც სენატორები — ფ. ნოკსი, რ. სმუუთი და ჩ. კერტისი, წინააღმდეგი იყვნენ. იგი არც ისეთ გავლენიან იზოლაციონისტებს მოსწონდათ, როგორც სენატორები: ჰ. ჯონსონი, უ. ბორა იყვნენ, და არც პროგრესისტებს — რ. რობინსს, ჯ. პინჩოტს. ჯ. ნორისს. როგორც ჰუვერის საქმიანობის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ჯოან უილსონი აღნიშნავს — მათთვის ჰუვერი მეტისმეტად აპოლიტიკური, მეტისმეტად პროგრესისტული, მეტისმეტად ინტერნაციონალური აზროვნების, მეტისმეტად პოპულარული და, უბრალოდ, მეტისმეტად ამბიციური იყო[5].

ჰარდინგის პასუხის გაჭიანურება სენატორების — პენროუზისა და ჰ. ლოჯის წინააღმდეგობამაც განაპირობა, რომელთაც ძალზე არ მოსწონდათ ჰუვერის აქტიური მხარდაჭერა ვერსალის ზავისა და ერთა ლიგაში აშშ-ს გაწევრიანებისადმი. ერთა ლიგასთან დაკავშირებით

პარადოქსული ვითარება შეიქმნა. მისი დაფუძნების ინიციატორი ამერიკის პრეზიდენტი ვ. ვილსონი იყო, მაგრამ სწორედ ამერიკამ განაცხადა უარი ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებაზე იმ საბაბით, რომ ერთა ლიგის წევრობა, ერთის მხრივ, კვლავ ჩაითრევდა აშშ-ს ევროპის სისხლიან საქმეებში და, ამავე დროს, შებოჭავდა ამერიკულ საგარეო პოლიტიკას და მას ლიგის გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულს გახდიდა. ასე რომ, ჰუვერის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჰარდინგს საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა თავის პარტიაში. სწორედ ამ დანიშვნასთან დაკავშირებით ამერიკის მმართველ წრეებში კლასიკური პოლიტიკური ვაჭრობა და გარიგებანი წარიმართა.

საქმე იმაშია, რომ ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ჰარდინგს ჩიკაგოელი ბანკირი ჩ. დაუესის დანიშვნა უნდოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე. როდესაც ეს ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, ბუნებრივია, ამ თანამდებობაზე მრავალი პრეტენდენტი გაჩნდა, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ სანაპიროს ფინანსური წრეებიდან. მათ შორის, ბოსტონელი ბანკირი — ჯ. იუკსი, ნიუ-იორკელი ფინანსისტი — ფ. ვანდერლიპი და ყოფილი სენატორი ნიუ-იორკიდან — ჩ. ჰილესი. აღმოსავლეთისა და შუა დასავლეთის ფინანსური ჯგუფების დაპირისპირების შედეგად, სენატში გამოიკვეთა ცნობილი პიტსბურგელი მილიონერის, ე. მელონის გვარი, რომელიც რესპუბლიკელი სენატორებისათვის, მათ შორის, ნოკსისა და პენროუზისათვის, მისაღები იყო, უფრო მეტიც, ისინი აქტიურად ჩაებნენ მელონის მხარეზე ბრძოლაში. ამავე დროს, ეს სენატორები სწორედ იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთაც არ სურდათ ჰუვერის დამტკიცება ვაჭრობის მინისტრის პოსტზე. მათთვის ის არასაკმარისად კონსერვატული იყო.

სწორედ აქ დაიწყო ჰარდინგმა ვაჭრობა და განუცხადა სენატორებს: ან ჰუვერიცა და მელონიც გახდებოდნენ კაბინეტის წევრები და ისინი შეწყვეტდნენ ჰუვერის წინააღმდეგ მუშაობას, ან არც ერთი კანდიდატურა არ გავიდოდა. საბოლოოდ, სწორედ ამ კომპრომისულმა გადაწყვეტილებამ გაიმარჯვა და მეამბოხე სენატორები დათანხმდნენ პრეზიდენტის წინადადებას. აღსანიშნავია, რომ მომავალში არა მარტო ჰუვერმა, არამედ მელონმაც უდიდესი კვალი დაატყო 1920-იანი წლების აყვავებას და ისიც ამ ეპოქის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

მაგრამ ახალი პრობლემა სრულიად მოულოდნელი მხრიდან

გამოჩნდა, კერძოდ მას შემდეგ, რაც ჰარდინგისაგან ოფიციალური შემოთავაზება მიიღო 12 თებერვალს, ჰუვერმა უარი განაცხადა ამ პოსტზე იმ საბაბით, რომ იგი დაკავებული იყო თანამშრომლობით დ. გუგენჰაიმის მომპოვებელ და მეტალურგიულ კომპლექსთან და, ამავე დროს, მიაჩნდა, რომ ის ტრადიციულად მოკრძალებული როლი და ფუნქციები, რომელიც ჰქონდა ვაჭრობის სამინისტროს, მისი დაბალი პრესტიჟი და მცირე გავლენა საზოგადოებაში უინტერესოდ ხდიდა მისთვის ამ თანამდებობას...

ბუნებრივია, ჰარდინგი, რომელმაც ამდენი გააკეთა ჰუვერის კანდიდატურისადმი მხარდაჭერის მისალებად, გაოგნებული იყო, თუმცა კარგად ესმოდა ჰუვერის არგუმენტაციის სამართლიანობა. ამიტომაც ამ საქმის დასარეგულირებლად მან სახელმწიფო მდივანი ჩ. ჰიუჯესი და ეროვნული რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე უ. ჰაისი გამოიყენა. ორივე პრეზიდენტის სახელით უხსნიდა ჰუვერს, რომ იგი ყველა მისთვის საჭირო უფლებამოსილებას მიიღებდა და ვაჭრობის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილება მაქსიმალურად გაიზრდებოდა... საბოლოოდ, თვით პრეზიდენტიც ელაპარაკა მას ტელეფონით და მაქსიმალურად დაუყვავა. ასე რომ, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ჰუვერი დაითანხმეს.

ამ მხრივ მაინც საინტერესოა ის თანხმობის დეპეშა, რომელიც 1921 წლის 23 თებერვალს ჰუვერმა გაუგზავნა ჰარდინგს: — მე ნამდვილად მირჩევნია არ ვითავო ის ტვირთი, რომელიც სახელმწიფო სამსახურს ახლავს, მაგრამ მე არა მაქვს უფლება თქვენს სურვილს შევეწინააღმდეგო და მე თანახმა ვარ დავიკავო ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა[6].

საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ჰუვერი გახდა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი და, თამამად შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანი იყო, რომელიც ჰარდინგმა გააკეთა თავისი კაბინეტის ჩამოყალიბებისას. სულ მალე ვაჭრობის სამინისტროს ფუნქციები, მართლაც, ძალზე გაიზარდა და, შეიძლება ითქვას რომ, იგი ერთ-ერთი წამყვანი სამინისტრო გახდა. ხოლო ჰუვერის პირადი აქტიურობის შედეგი ის იყო, რომ მას ყველა სხვა სამინისტროს „თანახელმძღვანელსაც“ კი უწოდებდნენ.

ჰუვერმა უდიდესი როლი ითამაშა 1920-იანი წლების ალმავლობაში და იგი ზომიერი ინდივიდუალიზმის (როგორც იგი თვითონ უწოდებდა — ამერიკული ინდივიდუალიზმის) მებაირახტრე გახდა ამ პერიოდის

ამერიკაში და, თუმცა იგი ძირითადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეოლოგიას ქადაგებდა, მაინც ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის საქმიანი თანამშრომლობისათვის. როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვაჩვენა, ამერიკული ინდივიდუალიზმი კარგად მოერგო ეკონომიკური აღმავლობის ტალღას, მაგრამ არასაკმარისი აღმოჩნდა სერიოზული კრიზისული მოვლენების დასარეგულირებლად.

1. Burner D. Herbert Hoover A. Public Life. Athencum N. Y., 1984. p. 151

2. Best G. D. The politics of American Individualism. Greewood Press Westprt, London 1975. p. 70

3. The Memoirs of Herbert Hoover. The Cabinet and the Presidency 1920-1933 MacMillann Company N. Y. 1952. p. 36

4. Murray R. K. Herbert Hoover and Harding Cabinet. Herbert Hoover As Secretary of Connerce: Studies in New Era Thought and Practice. University of Iowa Press. Iowa City 1081. p. 20

5. Wilson J. H. Herbert Hoover Forgotten Prohressove Little, Brown and Company. Bpston, Toronto. 1975. p. 80

6. Murray R. K. Op cit. p. 21

В. Качарава

НАЗНАЧЕНИЕ ГЕРБЕРТА ГУВЕРА НА ПОСТ МИНИСТРА ТОРГОВЛИ США

Резюме

В данной статье описывается процесс назначения Герберта Гувера на пост министра торговли США, а именно кулуарная борьба в коридорах власти. Кратко обозревается предыдущая деятельность Г. Гувера и причины избрания президентом Уоррена Гардинга.

ვაჟა თევალაშაძე

მეფრინველეობა სამტრედიის რეგიონში (XIXს. ბოლო – XXს. დასაწყისი)

სამტრედიული ქათამი და კვერცხი დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს. ეს საყოველთაო აღიარება მიღწეულ იქნა წინა თაობების მიზანმიმართული საქმიანობითა და ყოველდღიური შრომით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში სამტრედიაში ტარდებოდა კვლევითი სამუშაოები შინაური ფრინველის ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი ჯიშის ქათმებს აჯვარებდნენ იტალიურ, ესპანურ, მალაიზიურ, ლანგშანის ჯიშებზე, პეკინის იხვებზე. ყოველწლიურად ეწყობოდა გამოფენა-დათვალიერებები, რომლის შედეგების მიხედვით აჯილდოვებდნენ გამარჯვებულებს და ა.შ.

სამეურნეო ფრინველების რუსეთის მომშენებელი საზოგადოების განყოფილების გახსნამდე ე.ი. 1902 წლამდე სამტრედიის რაიონში ფრინველთა მოშენებას მესვეურობდა ქუთაისის საგუბერნიო განყოფილების საბჭო. აწყობდა საორგანიზაციო და სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის შეკრებებს, გამოფენებს და ა.შ. აღნიშნული საბჭოს დახმარებით და სოფიო მიქელაძის თაოსნობით სოფ. კულაშში დაარსდა „სამეურნეო ფრინველთა გამაუმჯობესებული კომიტეტი", რომლის თავმჯდომარე თვითონვე იყო. ამ კომიტეტის მეცადინეობით სოფელში გამრავლდა ქათმი გაუმჯობესებული ჯიშები, რომელთა კვერცხებს დიდი რაოდენობით აგზავნდნენ უცხოეთში. სოფიო მიქელაძის საზოგადო მოღვაწეობას დიდად აფასებდა და პატივს სცემდა ისეთი რეაქციონერი და შოვინისტი, როგორიც იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ.პ. იანოვსკი. 1895 წელს ს. კულაშის ქალთა სასწავლებლის (რომლის დაარსებაში ს. მიქელაძეს დიდი წვლილი მიუძღოდა) შემოწმების დროს მან შემდეგ სიტყვებით მიმართა ს. მიქელაძეს: „მახარებს თავადის ასულო თქვენი ედობრივი ზრუნვა ადგილობრივ სასწავლებელზედ და მოზარდ თაობაზ მაგრამ არ მიკვირს კი, რადგანაც ქართველ ქალს ხვედრად ხვდა საქართველოს განმანათლებელ წმ. ნინოსაგან საქართველოზედ ზრუნვა. (1, 1900, №272).

1900 წელს, ქუთაისის „სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოების" დახმარებით ს. კულაშში „დედა მასწავლებელთან" აშენდა დიდი საქათმე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ.იანოვსკის ბრძანებით ამავე სასწავლებელში სავალდებულო გახდა

ფრინველთა მოვლა-მოშენების სწავლება (1, 1900, № 157).

1900 წლის 29 ივნისს კულაშში ჩამოყალიბდა ფრინველთა მომშენებლი სამეურნეო საზოგადოების მეთვალყურე კომიტეტი, რომლის საპატიო წევრებად არჩეული იყვნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გერშელმანი, ს.ხოჯაევი, ა.კუჩინო, ვ. მიქელაძე, მ. ნაკაშიძე და ს. იაშჩენკო.

„მეთვალყურე კომიტეტს" შემწეობა უნდა აღმოეჩინა ფრინველთა მომშენებლებისათვის სხვადასხვა რჩევით, მიეწოდებინა მათთვის შესაფერისი ჯიშის ფრინველები, გაეწია ვეტერინალური მომსახურება, დაეცვა ჩარჩებისაგან, დასაჯილდოებლად წარედგინა ისინი, ვინც თავს გამოიჩენდა ფრინველთა მოვლა-მოშენების საქმეში და სხვ. თვით კომიტეტის წევრები კი, ქუთაისის განყოფილების შუამდგომლობით, შეიძლებოდა წარდგენილიყვნენ დასაჯილდოებლად რუსეთის „ფრინველთ მომშენებელი საზოგადოების" წინაშე (1, 1900, №157).

სამტრედიის რეგიონის სოფლებში მეფრინველეობა თანდათან სულ უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა, რაც უმთავრესად ფრინველების მომშენებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების დამსახურება იყო. იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ადგილებზე ამ დარგის განვითარებას: ეხმარებოდა ფულით, აწყობდა მოძრავ გამოფენებს, სამაგალითო საქათმეებს, ბეჭდავდა სპეციალურ ლიტერატურას, ატარებდა ლექციებს და სხვ. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ამიტომ სამტრედიელებმა ს. სიხარულიძისა და ს. სტურუას თაოსნობით თხოვნით მიმართეს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს კ. მაჭავარიანს, რათა „მათის ნივთიერის მონაწილეობით დაარსებულ იქნას სამტრედიაში, როგორც გუბერნიის შუა-გულში, სამეურნეო სკოლა ფრინველების მოშენებისა, მეაბრეშუმეობისა და მებოსტნეობის განყოფილებებით" (1, 1902, №35). ასეთი სკოლის გახსნა და სამტრედიაში სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება დაევალა რუსეთის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოების ქუთაისის გაყოფილების მდივანს ნ. მკურნალს. მისი თაოსნობით ასეთი საზოგადოება დაარსდა, რომლის აქტიური წევრები იყვნენ რკინიგზის სადგურის უფროსი ა.ს. ბაქრაძე, ბოქაული ს. იაშვილი, ვ. კალაძე, ს. სტურუა, ლ. ჯაში, დ. კირთაძე, ბ. ქართველისშვილი, ი. ქართველისშვილი და სხვ. (1, 1902, №216).

1903 წლის ოქტომბერში ჩატარდა ფრინველთა მომშენებელი საზოგადოების მორიგი კრება, რომლის მონაწილეთა ერთ-ერთი მოთხოვნა ითვალისწინებდა რეგიონის ყველა სასწავლებელში სამეურნეო ფრინველების მოვლა-მოშენების სწავლების შემოღებას, აგრეთვე, სამტრედიის ქალთა სასწავლებელთან უნდა დაარსებულიყო დამატებითი სპეციალური კლასი, სადაც ასწავლიდნენ „ფრინველთ მოვლა-მოშენებას".

მეფრინველეობის განვითარების პრობლემებისადმი ამგვარმა სერიოზულმა დამოკიდებულებამ და მზრუნველობამ მალე სათანადო შედეგიც გამოიღო — სამტრედიული ქათამი და კვერცხი ცნობილი გახდა მთელს რუსეთში და საზღვარგარეთაც. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზ. „ივერია": „სამტრედია, როგორც გული მთელის გუბერნიისა, საიდანაც ურიცხვი კვერცხი, პარკი, სიმინდი, ხილი და ბოსტნეულობა და სხვ. ჭირნახული იგზავნება კავკასის ყველა ქალაქებში, ზოგი სამხრეთ რუსეთში და უცხოეთში, დიდ ყურადღებას იქცევს რუსეთის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთებისას, არა ერთს უცხოეთელ ფირმას იზიდავს..." (1, 1903, №199).

XIX საუკუნის მიწურულისათვის ქუთაისის გუბერნიაში მნიშვნელოვნად იმატა ქათმის კვერცხით ვაჭრობამ (2, 1900, № 1061), რაც მეფრინველეობის განვითარებაზე განსაკუთრებული ზრუნვის შედეგი იყო. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მეფრინველეობის განყოფილების მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში, ნორმალურ პირობებში, ყოველწლიურად ზრდიდნენ საშუალოდ 27000000 ქათამს, 1000000 ბატს, ამდენივე რაოდენობით იხვს, 60000 ინდაურს (3, გვ. 31). ამ მონაცემებში არ შედის ქალაქებსა და დაბებში აღრიცხული ფრინველების რაოდენობა.

შინაური ფრინველის ხორცსა და კვერცხზე დიდი მოთხოვნილება იყო არა მარტო ადგილობრივ, არამედ თბილისის, ბათუმის და ბაქოს ბაზრებზეც, ქუთაისის გუბერნია აქტიურად იყო ჩაბმული კვერცხით ვაჭრობის მსოფლიო ბაზარში. აქაური კვერცხი გაჰქონდათ ლონდონში, ჰამბურგში, ბერლინში, პარიზში და მსოფლიოს სხვა ქალაქებში (4, გვ. 33).

ქუთაისის გუბერნიიდან საექსპორტოდ გაგზავნილი შინაური ფრინველისა და კვერცხის მნიშვნელოვანი რაოდენობა სამტრედიის სოფლებში იწარმოებოდა. ბათუმსა და სამტრედიაში დააარსეს

სპეციალური კანტორები, სადაც ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებიდან დიდი რაოდენობით კვერცხს აბარებდა გლეხობა. გაზ. „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენციაში ეკითხულობთ: „სამტრედიის კანტორას, რომელიც ეკუთვნის უცხოელ ფირმას „ზეფერტს“ და რომელიც გაიხსნა შარშან დეკემბერში, დღემდის უყიდნია და გაუგზავნია საზღვარგარეთ 300000 კვერცხი 6799 მანეთად ღირებული, კვერცხები იგზავნება საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიასა და ინგლისში... მარტო იმერეთიდან წელიწადში გაიგზავნება 50 ვაგონი კვერცხი, სულ 50 მილიონი. რომლებშიაც მცხოვრებნი მიიღებენ 300 ათას მანეთს“ (2, 1900, №1061). 1901 წელს ქუთაისის გუბერნიის 1059 სოფელს საზღვარგარეთ (მარსელში, ჰამბურგში, ლონდონსა და ბერლინში) გაუგზავნიათ 1200000 მანეთის კვერცხი და ქათამი, აქედან 800000 მანეთის საქონელი სამტრედიიდან გაუტანიათ (2, 1900, №1065). არა მხოლოდ საზღვარგარეთის, არამედ შიდა ბაზარზეც სამტრედია და მისი მიმდებარე სოფლები გადაიქცა ქათმისა და კვერცხის მთავარ მიშწოდებლად (3, გვ, 80). სამტრედიის რეგიონის სოფლებში მეფრინველეობა სულ უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა, რაც იწვევდა ადგილობრივ ბაზარზე ფრინველსა და კვერცხზე საბაზრო ფასების დაცემას.

ლიტერატურა

1. გაზ. „ივერია”
2. გაზ. „ცნობის ფურცელი”
3. Обзор Кутаисской губернии за 1906 год.
4. იგივე.
5. კ. ანთაძე, ქვემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი (უძველესი დროიდან 1921 წლამდე, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 1960, ტ. XIII, გვ. 63.

Важа Твалавадзе

ПТИЦЕВОДСТВО В САМТРЕДСКОМ РЕГИОНЕ (КОНЕЦ XIX – НАЧАЛО XX ВЕКА)

Резюме

С целью улучшения пород домашних птиц научная работа в Самтредиа велась с начала прошлого века: домашних птиц местной породы скрещивали с итальянскими, испанскими, малоазийскими и пекинскими породами.

В селах Самтредского региона птицеводство постепенно становится ведущей отраслью хозяйства: куриное мясо и яйца начали вывозить в Марсель, Гамбург, Лондон и Берлин.

Села Самтредского региона становятся основным поставщиком куриного мяса и яиц не только за рубеж, но и на внутренний рынок.

რუსუდან დაუშვილი

ქართული საკავშირო შტაბი და კავკასიური საბჭო

სტალინგრადთან გერმანიის მარცხის, კავკასიიდან უკანდახევისა და ირაკლი ბაგრატიონის ხელმძღვანელობით „ქართული პოლიტიკური კომიტეტის" შექმნის შულენბურგისეული გეგმის ჩაშლის შემდეგ, 1943 წ. გაზაფხულზე დაარსდა „ქართული ეროვნული კომიტეტი" — მიხეილ წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, სპირიდონ კედიასა და გიორგი მაღალაშვილის შემადგენლობით. ჰიტლერმა პოლიტიკური შეფერილობის ეს კომიტეტიც აკრძალა, ამიტომ 1943 წ. შემოდგომაზე გადაწყდა სამხედრო ტიპის „საკავშირო შტაბის" (ფერბინდუნგსშტაბი) დაარსება.

„ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია განგიმარტოთ ქართული შტაბის დაარსების ისტორია, მისი მოქმედების მიზანი და ამოცანები,— იუწყებოდა შტაბი 1944 წ. აპრილის მოწოდებაში,— ამასთანავე ერთად გვინდა გაგაცნოთ შტაბის მიერ უკვე ჩატარებული მუშაობა... თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო ცდა ასეთი ქართული ცენტრალური ორგანიზაციის დაარსებისა. მოლაპარაკებებში სათანადო გერმანული უწყებებიც იღებდნენ მონაწილეობას. იყო რამდენიმე წამოწყება, მათ შორის მნიშვნელოვანი და საიმედო გამოდგა ცნობილი ქართველი მეცნიერის და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ წერეთლის მიერ დაარსებული ეროვნული კომიტეტი, რომელმაც ერთგვარი მუშაობა გასწია სათანადო განმარტება მიეცა გერმანელთათვის ქართული საკითხის ირგვლივ. სხვადასხვა წმინდა ქართული თუ გარეშე მიზეზების გამო, რომელთაც აქ არ შევეხებით, ეს კომიტეტი ოთხი თვის წინ დაიშალა. მდგომარეობა გვიკარნახებდა ჩვენი საქმის ერთ ქართულ ცენტრში თავმოყრის აუცილებლობას. ამის საჭიროებას გერმანელებიც ხედავდნენ, ამიტომ გასული წლის 26 ოქტომბერს გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროს, გერმანიის უმაღლესი სარდლობის, საპროპაგანდო განყოფილების, აღმოსავლეთის ჯარების გენერლისა და რაიხის უშიშროების მთავარ უწყების თანხმობით დაარსდა ქართული საკავშირო შტაბი" (1).

შტაბის გამგეობაში შედიოდნენ: მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი, მიხეილ ალშიბაია და გივი გაბლიანი. ემიგრაციის ნაწილმა შტაბს მხარი დაუჭირა. პარიზში მ. კედიამ მანდატი და

დავალება მიიღო საქართველოს ყოფილი მთავრობისაგან, რადგან 1940 წ. ნოე ჟორდანიას დეკლარაციის გამო, მათ არ შეეძლოთ აშკარად მიეღოთ მონაწილეობა გერმანელების მიერ შექმნილ ორგანიზაციაში. ეს კარგად ჩანს ევგენი გეგეჭკორის მიერ 1943 წ. 27 ოქტომბერს პარიზში მოწვეული ეროვნული თათბირის რეზოლუციაში და აგრეთვე, ნოე ჟორდანიას წერილში: „კარგი იქნებოდა პოლიტიკური მხარე თავიდანვე ყოფილიყო გამოჩენილი, მაგრამ რაკი ეს არ ხერხდება, დაკუცადოთ შესაფერის მომენტს",– წერდა იგი (2).

შტაბთან თანამშრომლობდნენ: ვიქტორ ნოზაძე, ალექსანდრე ქორქია, ალექსანდრე ასათიანი, ემიგრანტი ოფიცრები – დავით შალიკაშვილი, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი ინჯია, ტყვეთაგან – ბოკერია და ალიმბარაშვილი. შიკრიკებად და კარისკაცებად მსახურობდა რამდენიმე უნტეროფიცერი – აკაკი ალშიბაია და ალიოშა აბაშიძე.

შტაბის წინაშე 5 პრობლემა იდგა: 1. ქართველები გერმანულ ჯარში; 2. ტყვეთა ბანაკებში; 3. სხვადასხვა სამუშაოებზე; 4. ქართველი ემიგრანტები გერმანიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და გერმანიაში; 5. კავშირი სხვა კავკასიელებთან და, საერთოდ – აღმოსავლეთის ერებთან. შესაბამისად, შტაბს გააჩნდა ოთხი განყოფილება – სამოქალაქო, პოლიტიკური, ფინანსურ-მომმარაგებელი და სამხედრო. დაბრკოლებების მიუხედავად, შტაბი შეუდგა ფუნქციონირებას. გარკვეული შედეგები მას უკვე ჰქონდა ექვსი თვის შემდეგ: ქართველი და კავკასიელი მუშები გამოყვანილ იქნენ „აღმოსავლეთის მუშების" (ოსტარბაიტერ) პირობებიდან და უფლებრივად გაუთანაბრეს უცხოელ მუშებს, ქართველი ჯარისკაცები – გერმანელ ჯარისკაცებს ფორმით, განმასხვავებელი ნიშნებით და ყველა სახის საბრძოლო ჯილდოს მიღებით, აღნუსხეს სხვადასხვა ბანაკებში გაფანტული ქართველები გასათავისუფლებლად. ორი პერიოდული გამოცემა „საქართველო" და „ქართველი ერი" გაერთიანდა შტაბის ხელმძღვანელობის ქვეშ.

შტაბის მთავარი ფუნქცია სამხედრო ხასიათისა იყო – მას წესრიგში უნდა მოეყვანა გერმანელების ინიციატივით უკვე გამოყვანილი და სამხედრო ერთეულებად ქცეული კავკასიელები, რომელთა რიცხვი 100 ათასს აღემატებოდა. საჭირო იყო მათი იურიდიულ-ლეგალური მდგომარეობის განსაზღვრაც. შტაბებს ურთიერთობა ჰქონდათ საკუთარ ქვეყნებთან, აგრეთვე კავკასიურ შტაბებსაც – ერთმანეთთან. იგი წარმოადგენდა შემაერთებელ რგოლს

უმაღლეს სარდლობასა და ქართული ნაწილების გერმანულ კადრებს შორის.

სამოქალაქო განყოფილების ფუნქციებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი მაღალაშვილი, შედიოდა ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილ ქართველ ემიგრანტთა, ყოფილ თუ ჯერ კიდევ ბანაკებში მყოფ ტყვეთა გამოყვანა და პატრონობა. განყოფილებაში შედიოდნენ: კალისტრატე სალია, არჩილ ლომინაძე, ვალოდია ცხომელიძე, ტყვეებიდან — ყალიჩავა და გოგიაშვილი.

პირველი ქართველი ტყვეები გერმანიაში პოლონეთიდან გაჩნდნენ. მათი ბანაკებიდან გამოყვანაში დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილმა ელჩმა გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელმა, პროფესორებმა — გიორგი ნაკაშიძემ, ალექსანდრე ნიკურაძემ და სხვებმა; პოლონეთში — ნიკოლოზ მათიკაშვილმა. შტაბის შექმნის შემდეგ ტყვეთა გამოყვანა უფრო ორგანიზებული გასდა. გენერალ კოსტრინგის დახმარებით შტაბმა მიაღწია ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველების გამოყვანას პოლონეთიდან, რათა გერმანელებს ისინი პოლონელ პარტიზანთა წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ. მათთვის ბერლინის ახლოს, უსტრაუში, მოაწყვეს პატარა ბანაკი, საიდანაც არჩევდნენ საორგანიზაციო კადრს. ტყვეობიდან თავდახსნილები ხშირად თვითონვე ებმებოდნენ ტყვეთა განთავისუფლების კამპანიაში. საორგანიზაციო განყოფილება ეხმარებოდა მათ სამუშაოზე მოწყობაში.

1940 წ. პარიზელმა ქართველებმა დეპორტაციას გადაარჩინეს ჯერ მაჰმადიანი ქართველები, შემდეგ კი, მ. კედიას შექმნილი მითით — ებრაელები, თითქოს ისინიც ეთნიკურად ქართველები, მაგრამ მოსეს რჯულის მიმდევრები იყვნენ. ამ კამპანიის შემდეგ ქართველები უფრო თავდაჯერებულად განაგრძობდნენ დატყვევებული ებრაელების გამოხსნას. მათთან ერთად ხშირად პოლონელები, რუსები, უკრაინელები და სხვა ევროპელებიც გამოჰყავდათ. ამ გზით მათ 1000-ზე მეტი ებრაელი გადაარჩინეს სიკვდილს. ამის გამო ნ. ჟორდანიამ და მ. კედიამ პარიზის დიდი რაბინ ვაისის და ებრაული საზოგადოება „არადატის" წერილობითი მადლობა დაიმსახურეს (3).

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველ ტყვეთა ნაწილი პარტიზანულ რაზმებს მიეკედლა, რომლებსაც გერმანელები დაუნდობლად ანადგურებდნენ. მათ გადასარჩენად გამოუშვეს პროკლამაცია, რომელიც პარტიზანებს მოუწოდებდა: „ქართველებო! ქართულმა შტაბმა, რომელიც მთელ ქართულ საქმეს ხელმძღვანელობს, გერმანულ

მთავარსარდლობისაგან მიიღო გარანტია იმისა, რომ იმ ქართველის სიცოცხლეს, რომელიც პარტიზანებს ჩამოსცილდება და ჩვენს მხარეზედ გადმოვა, არავითარი საფრთხე არ მოელის. ჩვენ ვიცით, რომ უმრავლესობა თქვენგან, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაა ტყეში წასული, ულირსი ქართველი მეთაურის მიერ მოტყუებული, ანდა თავისი შეუგნებლობის წყალობით. თქვენ დაღუპვის გზაზედ დგახართ, თქვენი უფროსების რწმუნება წითლების მიერ ყირიმის აღების შესახებ, ტყუილი გამოდგა; ამ უფროსებს სინდისი იმისთვისაც კი არ ჰყოფნით, რომ შიმშილი თქვენთან ერთად გაინაწილონ, თითონ იკვებებიან კარგად, თქვენ კი? ქართულმა ხელმძღვანელობამ ყველა ზომები მიიღო თქვენს გადასარჩენად, ენდეთ მას მეტად, ვიდრე თქვენს ულირს ეხლანდელ მეთაურებს. გამოცხადდით უახლოეს კომენდატურებში, სამშობლო გეძახით თქვენ! საქართველოს გაუმარჯოს! ქართული შტაბი" (4). პროკლამაციის მეორე გვერდზე რუსულ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი იყო საშვი ვერმახტის ბეჭდით, რომელიც გერმანიის, ან რუმინეთის შეიარაღებულ ძალებში უნდა წარედგინათ.

შტაბს პოლიტიკური საკითხები არ ეკისრებოდა, მაგრამ საიდუმლო განყოფილება ალ. ცომაიას ხელმძღვანელობით ზოგჯერ ისეთ საქმეებს აკეთებდა, რომლებიც არც ისე შორს იყო პოლიტიკური აქციისაგან. ასეთი იყო, მაგალითად, საქართველოსთან კავშირის გაბმა, რაც მან ალ. ასათიანთან ერთად მოახერხა. ისინი დაუკავშირდნენ ნალჩიკის მიდამოებში მცხოვრებ რაჭველ კოლმეურნეებს, რომლებსაც დაუბრკოლებლად შეეძლოთ რაჭაში გადასვლა (5). პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იყო მიხეილ კედია, რომელსაც გერმანელები ადრევე დაუკავშირდნენ სპირიდონ კედიას საშუალებით. როგორც პროფ. ჰანს რაუპახი დახასიათებაში წერდა, მ. კედიას 1940 წ. მიუპყრია მისი ყურადღება იმით, რომ განურჩევლად პარტიულობისა და დაჯგუფების წევრობისა, თანაბრად ზრუნავდა ყველა გასაჭირში მყოფზე (6). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ მისი უშუალო ჩარევით მოხერხდა ჯერ ქართველ მაჰმადიანთა, შემდეგ ქართველ ებრაელთა გადარჩენა. მისი შუამავლობით შეიქმნა „თამარ პირველისა" და „თამარ მეორის" ბატალიონები ემიგრანტებისგან. ეს ნაწილები მაშინ ერთადერთი საშუალება იყო საქართველოს ინტერესების დასაცავად და გერმანიაში პოზიციების დასაჭერად, ამიტომ იქ მრავალი მოხალისე ჩაეწერა, თუმცა ჰიტლერულმა პოლიტიკამ მალე ჩაახშო ეს ენთუზიაზმი. „თამარ მეორის" დაშლის

შემდეგ ჯგუფის პოლიტიკური გეგმები გაანდეს მ. კედიას, მან, თავის მხრივ — ნ. ჟორდანიას, რომელმაც გეგმა მოიწონა და მის განსახორციელებლად ოსმალეთში ს. მენაღარიშვილი გაგზავნა, ჩრდილო კავკასიაში — ალ. ასათიანი, ალ. ცომაია და დ. სინჯიკაშვილი. კედიას აზრით, აუცილებელი იყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა „საბჭოთა კავშირში შემავალ ერებთან მჭიდრო კავშირში", ამდენად, არარუს ერების უმაღლეს საბჭოში იგი იყო ქართული შტაბის წარმომადგენელი. მის განყოფილებაში იყვნენ: შოთა ბერეჟიანი, კაკო ალშიბაია, დავით შალიკაშვილი, დიმიტრი სინჯიკაშვილი, იოსებ გვარამაძე და სხვები.

ამ დროისათვის ყველა გერმანულ დივიზიას ჰყავდა ტყვეთა ჯგუფები ზურგში გადასასროლად. მ. კედიამ მოახერხა მათი თავმოყრა ერთ ორგანიზაციაში — „ცეპელინი". ამით შეიძლებოდა ქართველთა მეთვალყურეობა, რათა უაზრო მსხვერპლი აეცდინათ თავიდან. მას დაუკავშირდა ს. მენაღარიშვილი და ალ. ასათიანი. ორივე ჯგუფს საკმაო წარმატება ჰქონდა, მაგრამ სტალინგრადის შემდეგ მათ დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა. კედიამ თურქეთშიც იმოგზაურა და გააცნო იქაურებს გერმანელთა მიზნები. საქართველოშიც გაგზავნეს ინფორმაცია გეგმის სისრულეში მოსაყვანად, რათა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, როგორც კი გერმანელები კავკასიას მიუახლოვდებოდნენ.

როცა მ. კედია შტაბში შევიდა, იგი უკვე ხვდებოდა, რომ გერმანია ომს ვეღარ მოიგებდა, მაგრამ ხალხის ხსნა იყო საჭირო. ის გერმანელთა საშუალებით ცდილობდა საქართველოს საკითხის გადაწყვეტას, ქართველების დაცვას და არსებულ ნაწილებისგან შეძლებისდაგვარად საქართველოს დამცველი ძალის მომზადებას. ატლანტიკის სანაპიროზე გერმანული სარდლობის მიერ ქართველთა დაუკითხავად გადაყვანილი რამდენიმე ბატალიონის დათვალიერების უფლება მხოლოდ შტაბის დაარსების შემდეგ მისცეს. ქართველ ტყვეთა უფლებრივად გერმანელი მუშებისათვის გათანაბრების საქმეში მას ეხმარებოდა როზენბერგთან დაახლოებული კონტინენტალური ევროპის ინსტიტუტის დირექტორი ალ. ნიკურაძე. სანდერსის ფსევდონიმით გამოცემული მისი ორი წიგნი „აღმოსავლეთ ევროპა" და „კავკასია" სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, ავტორი კი — კავკასიის საკითხის ექსპერტად. წიგნებში ხაზგასმულია კავკასიის, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილის, ისტორიული, პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა (7).

ჰიმლერმა მოახერხა როზენბერგთან მაღალ თანამდებობაზე თავისი წარმომადგენლის დანიშვნა. მან გ. მაღალაშვილს მოსთხოვა ერთი ქართული ნაწილის შექმნა პრივილეგირებულ სამხედრო ნაწილ „ვაფენ ესეს"-ში. ისიც იძულებული გახდა, შტაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოთხოვნა შეესრულებინა. ეს ნაწილი ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით, ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიქმნა, შემდეგ კი — იტალიაში გადაიყვანეს.

შტაბის ფინანსურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა მიხეილ ალშიბაია. იგი ჯერ პოლონეთში ცხოვრობდა, შემდეგ გერმანულ ჯარში ჩაეწერა, როგორც თარჯიმანი და პირველი რკინის ჯვარიც მან მიიღო. მოლარე იყო ჯერ დავით ქვარიანი, შემდეგ — კაკო ალშიბაია. კულტ.-საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა ყოფილი ტყვე შოთა აბაშიძე, ბიბლიოთეკას — ილია კუჭუხიძე.

სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს ყოფილი ტყვე, ახალგაზრდა ექიმი გივი გაბლიანი, რომელმაც გერმანელ ოფიცერთა სკოლა დაამთავრა. განყოფილებას ევალებოდა არსებული ქართული ლეგიონის, მისი ბატალიონების და ყველა სხვა გერმანულ ნაწილებში შესული ქართული ერთეულების აღნუსხვა, მდგომარეობის შესწავლა, ნაკლის გამოსწორება, ჯარისკაცთა ფიზიკური გადარჩენა და მათგან საქართველოსთვის საჭირო ეროვნული ძალის მომზადება შესაფერისი მომენტის დადგომისათვის.

მიუხედავად შტაბის მცდელობისა, ტყვეთა ბატალიონებს არ მიეღოთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, გერმანელებმა ბატალიონი №795 მაინც გაგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე. პირველსავე ბრძოლებში ბატალიონის ნაწილი (ერთი ასეული), საბჭოთა კავშირის მხარეზე გადავიდა. საბჭოთა სარდლობამ კაპიტანი ჭიჭინაძე ადგილზე დახვრიტა, დანარჩენები კი ისეთ დავალებაზე გაგზავნეს, იქიდან ცოცხალი აღარავინ დაბრუნებულა (5). ამის შემდეგ გერმანელებს ქართული ბატალიონები აღმოსავლეთის ფრონტზე აღარ გამოუყენებიათ. ისინი დასავლეთის ფრონტზე გადაანაწილეს — იტალიაში, საფრანგეთში (ალბი, კასტრი, შერბურგი, სან-ნაზერი, პერგო, სან-რაფაელი) ჰოლანდიაში (ზანდამი, ცანდვორტი, ტექსელი). ბალკანეთზე დარჩა „ბერგმან I" და მომმარაგებელი ერთეული. შტაბის ძალისხმევით მათ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ, რათა ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის სირთულეები არ შეექმნათ. საჭირო იყო იტალიასა

და საფრანგეთში მდგომ ნაწილებში მათი მუშაობა, რათა ადგილობრივ მოსახლეობასთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ. ამ მიზნით, შტაბის დავალებით მილანში ჩავიდა ალ. ასათიანი, ნორმანდიაში — გ. გაბლიანი და გ. გაგუა.

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, ატლანტიკის სანაპიროზე გერმანული დაცვის ხაზში მოქცეულმა ქართულმა ნაწილებმა მიიღეს პირველი დარტყმა. ბევრი მათგანი მძიმედ დაზიანდა, ზოგი კი გარემოცვიდან ვერც გამოვიდა. შედარებით გადარჩა ის ნაწილები, რომლებიც დანიაში, ჩრდილო იტალიასა და ჰოლანდიაში იდგნენ, გარდა კუნძულ ტექელის აჯანყებული ბატალიონისა, რომელსაც 500-ზე მეტი ქართველი ტყვე და ემიგრანტი შეეწირა.

შტაბის საქმიანობის შესახებ ინფორმაციები და მოწოდებები იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოში", რომელიც გამოდიოდა 1942-45 წწ. ბერლინში, არჩილ მეტრეველის ქართულ სტამბაში. როგორც გაზეთი იუწყება, შტაბთან დაუარსებიათ ქართული ეროვნული ფონდი და სანიტარული განყოფილება, რომელსაც ლაზარეთები ჰქონდა გერმანიაში, აგრეთვე, საფრანგეთის — ქ. ალბიში; შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების ინიციატივით, ბავარიის სოფ. რუპოლდინგსა და საფრანგეთში, ზღვის სანაპიროზე, დაჭრილ ლეგიონერთათვის დაარსებულა დასასვენებელი სახლი; შტაბის დავალებით არჩილ მეტრეველს შეუდგენია ჯარისკაცებისათვის გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი, რომლითაც სარგებლობდნენ არა მარტო ქართველები, რომლებსაც გ. მალალაშვილი გზავნიდა გერმანული ენის კურსებზე, არამედ — გერმანელებიც. გაზეთში აღწერილია, თუ როგორ სწავლობდნენ ბრაიტნერის მოწოდებით ქართულ ენას გერმანელები — ობერლეიტენანტი კრიგე და ობერეფრეიტორი გრუზე, ან ფელდფებელი მ-ნი, რომელიც პასუხობს ქართულად: „ჩემო ბატონო, მე კარგად არ ვიცი ქართული იმიტომ, რომ ჯერ არ ვყოფილვარ თქვენს მშვენიერ საქართველოში" (8). ეწყობოდა საველე მეცადინეობები, ექსკურსიები გერმანიის, ავსტრიის ქალაქებში, პარიზში და ა.შ.

1944 წ. თებერვლიდან პოტსდამში გაიხსნა მოხალისეთა სამხედრო-პროპაგანდისტთა ორკვირიანი კურსები ლეიტენანტ ნოეკირხერის ხელმძღვანელობით, რომლის პირველ გამოშვებას 21 თებერვალს სასტუმრო „ობელისკის" დარბაზში დაესწრნენ უმაღლესი სარდლობისა და ქართული საკავშირო შტაბის წარმომადგენლები. ოფიციალურთან ერთად, იყო კურსდამთავრებულთა ძალებით მომზადებული საკონ-

ცერტო ნაწილიც (9). ასეთივე კურსები მოეწყო სხვა კავკასიელი და თურქესტანელი მოხალისეებისათვის, რომელთა სასწავლო გეგმების საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ლექტორები და პროგრამა. კურსების სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობდა ალ. ასათიანი, რომელმაც სპეციალურად მოხალისეთათვის შეადგინა „ქართველი ლეგიონერის უბის წიგნი". ლექტორებად მიწვეული იყვნენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩრდილო კავკასიელი და გერმანელი ლექტორები. ლექციები ეკითხებოდათ საქართველოს ძველ და ახალ ისტორიაში, საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე, გერმანია-საქართველოს ურთიერთობებზე, ქრისტიანობის მნიშვნელობაზე ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ბრძოლაზე, მიმდინარე მოვლენებზე და ა.შ. პროგრამაში შეტანილია ექსკურსიები, წირვაზე, კონცერტებსა და კინოსეანსებზე დასწრება, შეხვედრები გერმანელ მოქალაქეებთან, გერმანიის არმიის ობერკომანდოსა და ქართული შტაბის წარმომადგენლებთან, სპორტული ღონისძიებები და სხვა (10). საპროპაგანდო სამმართველოსთან მუშაობდა რადიოგადაცემები ქართულ ენაზე კვირაში სამჯერ — ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს 5 საათიდან (11).

შტაბის განყოფილება გ. მაღალაშვილმა პარიზშიც შექმნა ფონტენის ავენიუზე, ე. წ. „სამხედრო ტყვეებისა და ლეგიონერების სამმართველო" (12). თავმჯდომარედ დანიშნა დურმიშხან ჟურული. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა ელისე პატარიძე, სოციალისტ-ფედერალისტებს — ნიკო ურუშაძე, „თეთრ გიორგის" — ალექსანდრე მანველიშვილი, უპარტიოებს — ვიკტორ ნოზაძე, ყოფილ ტყვეებს — დავით ქვარიანი. სამმართველოს ძირითადი ფუნქცია იყო ტყვეების მოვლა-პატრონობა. კვირაში სამჯერ ქართულ ენაზე უშვებდა მოხალისეთა ცნობის ფურცელს — პატარა ფორმატის გაზეთს — „ლეგიონერს" და თანამშრომლობდა 1933 წ. საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბებულ „ლტოლვილთა ოფისთან". წლების განმავლობაში „ოფისს" ლეგაციის ყოფილი პირველი მდივანი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი ხელმძღვანელობდა. 1940 წ. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, გერმანელებმა შექმნეს ახალი ოფისი, რომლის დირექტორად დანიშნეს ალექსანდრე ქორქია. მან დიდი როლი შეასრულა არა მარტო ქართველთა, არამედ ებრაელთა დასაცავ კამპანიაში. შტაბს წარმომადგენელი ავსტრიაშიც, ქ. ვენაშიც

ჰყავდა — აკაკი შავგულიძე. მას დიდ დახმარებას უწევდა ბერლინის „ფელშტრაუშტელეს", ანუ სათვისტომოს ხელმძღვანელი ლეო კერესელიძის ძმა გიორგი კერესელიძე, რომელმაც 1942 წ. აგვისტოში გარდაცვლილი ლადო ახმეტელი შეცვალა. ჩეხიის და მორავიის პროტექტორატში არსებულმა ქართულმა საზოგადოებამაც ჩაატარა ყრილობა. გამგეობამ, რომელშიც შედიოდნენ ვლასა ინწკირველი, სილიბისტრო მაღნარაძე და შალვა ჯაფარიძე, თავისი მუშაობა დაუკავშირა ქართულ საკავშირო შტაბს.

1944 წ. 1 ივლისს, პოტსდამში — „ალტერ ფრიცის" ისტორიულ დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა კავკასიის დამოუკიდებლობის დღე. „ერცელი დარბაზი სტუმრებს ველარ იტევს. აქ არიან კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო-კავკასიელები. ზეიმზე დასასწრებად მოსულან მხედრები, ნაციონალური ლეგიონების ლეგიონერები, გერმანელი და უცხოელი სტუმრები" (13). საზეიმო საღამო გახსნა ქართული საკავშირო შტაბის წევრმა გ. მაღალაშვილმა, სომხეთის საკავშირო შტაბის სახელით სიტყვით გამოვიდა პოლკოვნიკი ვ. სარქისიანი, აზერბაიჯანის საკავშირო შტაბის სახელით — ა. ათამ-ალაბეკუმი, ქართული საკავშირო შტაბის სახელით — ობერლეიტენანტი გ. გაბლიანი, ჩრდილო კავკასიის ნაციონალური კომიტეტის სახელით — მისი თავმჯდომარე ახმედნაბი მაგომა. მეორე განყოფილება დაეთმო კონცერტს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სომხური ხალხური ცეკვისა და სიმღერის ჯგუფმა ა. სევანიანის ხელმძღვანელობით, ქართულმა გუნდმა ლოტბარ დ. კავსაძის და ქორეოგრაფ ქავთარაძის ხელმძღვანელობით და ჩრდილო კავკასიურმა ანსამბლმა ა. იუსკაევის ლოტბარობით. შეკრებილთ მიესალმა გენერალი ფონ ვარტენბურგი, გენერალი კოსტრინგი და გენერალი ჰაიგენდორფი (13).

განიხილავდნენ რა კავკასიას, როგორც ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულს, კავკასიელი ერების ერთიანობის და საქმიანობის კოორდინაციისათვის აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის შტაბებმა და ჩრდილო კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს კავკასიური საბჭოს შექმნა. 1944 წ. 18 დეკემბერს გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა ქართული საკავშირო შტაბის მიმართვა „კავკასიელი ერების ერთიანობისათვის", რომელშიც გაცხადებული იყო საერთო კავკასიური საბჭოს შექმნის აუცილებლობა (14). ამას მოჰყვა 1945 წ. 12 თებერვლის კავკასიური საბჭოს განაცხადი:

„აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საკავშირო შტაბებმა და ჩრდილო კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენლებს, გადაწყვიტეს დაარსონ კავკასიური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: აზერბაიჯანის საკავშირო შტაბიდან 1. ალიბეკოვი, 2. მაიორი დუდანვინსკი, 3. დასახელებული იქნება მომავალში; საქართველოს საკავშირო შტაბიდან 1. კედია, 2. მაღალაშვილი, 3. კაპიტანი გაბლიანი; სომხეთის საკავშირო შტაბიდან 1. ჯამალიანი, 2. პოლკოვნიკი სარქისიანი, 3. პოლკოვნიკი ტიგრისი; ჩრდილო კავკასიის ნაციონალური კომიტეტიდან 1. კანტემირი, 2. მაგომა, 3. დასახელებული იქნება მომავალში. კავკასიური კომიტეტის მიზანია: გაერთიანება, კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მთელი იმ საქმიანობისა, რომელსაც დღეს აწარმოებენ კავკასიური ერების წარმომადგენლები, რათა ამ გზით უფრო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარონ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის" (15).

კავკასიელთა სამხედრო ძალების გასაერთიანებლად მ. კედიას ინიციატივით შეიქნა კავკასიური შტაბი 1924 წ. აჯანყების მონაწილე გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძის მეთაურობით. ქართველებიდან იყვნენ აგრეთვე ირ. ნიკოლაძე და მისი ძმა, ალ. ასათიანი, ალ. ცომაია, ფ. შარაძე.

ომის მიწურულს ჰიტლერმა სცადა საბჭოთა კავშირიდან გამოსული ყველა ეროვნების ლეგიონები ვლასოვის არმიისთვის შეეერთებინათ. ასე რომ, რუსეთის იმპერია ხელუხლებელი რჩებოდა. ეს გეგმა მ. კედიამ ჩაშალა კავკასიური საბჭოს სახელით და ამით ახალ კაბალას გადაარჩინა კავკასიური ბატალიონები.

აღმოსავლეთის ფრონტზე სამხედრო წარუმატებლობებს დაემატა დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების უკმაყოფილება, რომლებიც თავდაპირველად გერმანელებს ისე შეხვდნენ, როგორც განმანთავისუფლებლებს. გერმანელებმა კი ეროვნული მთავრობების ნაცვლად მათ „გაულაიტერები" ჩაუყენეს, ხოლო ეროვნული თავისუფლების ნაცვლად — მონობის ახალი აპარატი მოახვიეს თავზე. ამის გამო უკმაყოფილება ყოველდღიურად იზრდებოდა. როზენბერგი ბოლოს იძულებული გახდა შტაბები კომიტეტებად ეცნო და ამით ხაზი გაესვა, სიმბოლურად მაინც, მათი პოლიტიკური მნიშვნელობისათვის. კომიტეტად ქცეული ორგანოს თავმჯდომარედ მ. კედიამ გ. მაღალაშვილი დაასახელა. პოლიტიკურმა ცენტრმა

1944 წ. ბერლინში გამოსცა ბროშურა „ჩვენი ბრძოლის მიზანი", რომელშიც მოკლედაა მოთხრობილი, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო ორჯერ, აღწერილია მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ახსნილია თუ რატომ დადგნენ ქართველები გერმანიის მხარეზე:

„საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა საბჭოთა კავშირი დაიმსხვრევა და რუსი კავკასიიდან განიდევნება. ეს დრო მოახლოებულია. ამ მიზნით დღეს იბრძვიან არა ერთეულები ან ასეულები, არამედ ათასეულები. გერმანიის ჯარს გვერდით უდგას მრავალი ათასი ქართველი მებრძოლი, გერმანული სამხედრო წესით გაწვრთნილი ლეგიონერები, რომელთაც თავიანთ სამშობლოში მიაქვთ თავისუფლების ფართედ გაშლილი დროშა. ამ შეიარაღებულ, ქართული დროშის ქვეშ მებრძოლ ძალას მეთაურობს გერმანელების მიერ უფლებამოსილი ქართული ხელმძღვანელობა. ასეთია მდგომარეობა საზღვარგარედ. საქართველოს განთავისუფლება დღის წესრიგში სდგას. მომავალში ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენი შეგნებისაგან, ჩვენი უნარისაგან და ჩვენი მომზადებისაგან... საქართველომ უნდა გაამახვილოს ყურადღება, განიმტკიცოს ეროვნული ნებისყოფა და მზად იყოს საჭირო მომენტისათვის. ერთი საათით აჩქარება ქვეყანას დაღუპავს, მაგრამ დაგვიანებაც საფრთხეს გვიმზადებს" (16).

საბჭოთა არმიის წინსვლამ გამოიწვია ლტოლვილთა დიდი ნაკადი პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. შტაბმა გადაწყვიტა ავსტრიაში ბავშვებისა და ავადმყოფი ტყვეებისათვის ბანაკის მოწყობა ავსტრიაში, ზალცურგის მახლობლად, სოფელ მიტერზინში, ორი სკოლის შენობაში მოთავსდა ბანაკი და იქ 1944 წ. შეიქმნა ახალი ქართული სათვისტომო. ბანაკს ჰქონდა თავისი მეურნეობა, მას განაგებდა თამარ რევია „მადამ ტიცის" სახელით. როცა 1945 წ. 8 მაისს გამოცხადდა გერმანიის კაპიტულაცია. იყო იმის საშიშროება, რომ რუსები დაიკავებდნენ ავსტრიას, ამიტომ იქ ჩავიდა დიმიტრი შალიკაშვილი და ქართველების ნაწილი იტალიაში, ამერიკულ ზონაში გადაიყვანა. ტყვეებისა და ლტოლვილების ნაწილი წაიყვანეს, ნაწილი მიტერზინის ბანაკში დარჩა. რუსეთის სარდლობამ გამოგზავნა ორი ქართველი ოფიცერი და ტყვეების ნაწილი წაიყვანეს. 9 მაისს ამერიკულმა ნაწილმა დაიკავა მიტერზინი.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, საჭირო იყო სამხედრო ნაწილების გადარჩენა – მათი განლაგება მოკავშირეთა საკარაუდო ზონებში. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიის მხარეზე მებრძოლი ემიგრანტებიც და ტყვეებიც:

„კავკასიური შტაბების საერთო ძალით და ღვაწლით მიღწეული იქმნა კავკასიური სამხედრო ნაწილების ისეთ რაიონებში გადაყვანა, სადაც, ჩვენი აზრით, მოსალოდნელი იყო ანგლო-საქსონური ჯარის გადმოსხმა (დანმარკი, იტალია, საფრანგეთი და სხვა). კავკასიური სამხედრო ერთეულების მეთაურობა ჩაბარდა სანდო კავკასიელ ოფიცრებს (აქ გადაიყვანეს 50.000 ზურგში მუშახელად)" (17).

ომის შემდეგ, სანამ კავკასიური საბჭოს წარმომადგენლები მოკავშირეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, სამხედრო ერთეულები დასავლეთის შესაფერის ადგილებზე შეჯგუფდნენ. მ. კედია ნეიტრალურ ტერიტორიაზე, შვეიცარიაში გადავიდა, რათა ლეგიონერები რუსებისათვის არ გადაეცათ. შტაბის სხვა წევრების და ფონ მენდეს მცდელობიდანაც არაფერი გამოვიდა; მოკავშირეებმა 1945 წ. რუსებს გადასცეს არა მარტო სამხედრო ერთეულები, არამედ სამუშაოდ წაყვანილი ლტოლვილები და ტყვეთა ბანაკებში მყოფი ტყვეებიც. გადასცეს დასავლეთში თავმოყრილი კავკასიელი და ქართველი ჯარისკაცები, მათ შორის, იტალიაში მდგომი ათასეულიც. მათგან, ნაწილმა, დასავლეთში გაქცევით უშველა თავს, ზოგი სამშობლოში ნებით დაბრუნდა და რეპრესიებში მოჰყვა, ზოგი დარჩა და ემიგრაციის ახალ ტალღას შეუერთდა.

ლიტერატურა

1. ქართული საკავშირო შტაბის მოწოდება – „საქართველო", ბერლინი, 1944, №16 გვ.2
2. გაბლიანი გ., მეორე მსოფლიო ომი და ქართველები – „ივერია", პარიზი, 1981, XI, გვ. 5-25
3. ცომაია ალ., მიხეილ კედია, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 2000, გვ.277-93
4. ქართული შტაბის პროკლამაცია, ბერლინი, 1943
5. გაბლიანი გ., მოგონებანი, თბილისი, 1971, გვ.157, 284
6. ქავთარაძე მ., მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს – „ივერია", პარიზი, 1990, №34, გვ. 82,85

7. Sanders A. Osteuropa, Munchen,1944 da Sanders A. Kaukasien, Munchen,1944.
8. „საქართველო", ბერლინი, 1944, №30, გვ.5
9. „საქართველო", ბერლინი, 1944, №9, გვ.1
10. სპეციალური კურსების თურქესტანის და კავკასიის ხალხების მოხალისეებისათვის, სამუშაო გეგმა, ბერლინი, 1944
11. „საქართველო", ბერლინი, 1944, №29, გვ.8
12. მანველიშვილი ა. რამდენიმე შენიშვნა, ნარკვევები და წერილები, სან-ფრანცისკო, 1990, გვ.18, 26
13. „საქართველო", ბერლინი, 1944, №27, გვ.3
14. „საქართველო", ბერლინი, 1944, №50, გვ.1
15. „საქართველო", ბერლინი, 1945, № 7, გვ.1
16. საქართველოს პოლიტიკური ცენტრი, ჩვენი ბრძოლის მიზანი, ბერლინი, 1944, გვ.3-4
17. გაბლიანი გ., ქართული ემიგრაცია ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში, „ქართული აზრი", ნიუ-იორკი, 1959, № 31, გვ. 2-3

Даушвили Русудан

ГРУЗИНСКИЙ СОЮЗНЫЙ ШТАБ И КАВКАЗСКИЙ СОВЕТ

Резюме

Осенью 1943 г. в Берлине под руководством Михаила Кедия был создан "Грузинский союзный штаб", функция которого была военного характера: учёт грузинских военопленных с целью их освобождения и забота о освобожденных из плена. Штаб был связующим звеном между немецким военным руководством и легионерами, которые состояли в немецких военных частях и национальных батальонах.

Для координации своей деятельности в 1944 г. кавказские штабы создали "Кавказский совет" во главе ТСТ генералом Спиридоном Чавчавадзе.

Обе эти организации физически спасли многих выходцев из Кавказа во время Второй Мировой Войны.

ვაჟა თეთალაშაძე

მეაბრეშუმეობა სამტრედიის რეგიონში (XIX ს. ბოლო–XXს.დასაწყისი)

სამტრედიის რეგიონის მოსახლეობისათვის შემოსავლის ძირითადი წყარო მესიმინდეობასთან ერთად მეაბრეშუმეობა იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 90- იანი წლებიდან მეევენახეობა–მეღვინეობისაგან სარგებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთანავე, მცირემიწიან ადგილებში მეაბრეშუმეობა მოსახლეობის, უმეტესად ქალების, დასაქმების საუკეთესო სშუალება იყო. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები — თუთის ხეების სიმრავლე, ტვირთის გადატან-გადმოტანისათვის საჭირო გზების რამდენადმე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რკინიგზასთან სიახლოვე და სხვა, კარგ პირობებს უქმნიდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებას. აბრეშუმისაგან თითოეულ ოჯახს 20-25 მან. შემოსავალი ჰქონდა[1]. იმ დროს, როცა გლეხს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ფული, — გაზაფხულზე მას უნდა გადაეხადა სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადასახადები, მოუსავლიანობაც ყველაზე მეტად ამ პერიოდში იჩენდა თავს.

აბრეშუმის მოსავლის რაოდენობა დამოკიდებული იყო ამინდზე, გრენის ხარისხზე, მოვლაზე და სხვა ფაქტორებზე.

XIX ს. შუა წლებამდე ა/კავკასიის მეაბრეშუმეები ადგილობრივი წარმოების გრენს ხმარობდნენ, მაგრამ თანდათან მისი ხარისხი გაუარესდა, რადგანაც გრენის დასამზადებლად არ არჩევდნენ საუკეთესო ხარისხის პარკს[2]; 60-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ თითქმის სულ გაანადგურა მეაბრეშუმეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო 1868-1869 წლები. 70-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში გრენი უმეტესად საზღვარგარეთიდან — იაპონიიდან, ჩინეთიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.

სამტრედიელი მეაბრეშუმეები აბრეშუმის ჭიას იღებდნენ თბილისის საბრეშუმეო სადგურიდან და კერძო ფირმებისაგან. ზოგიერთი თვითონ ამზადებდა თესლს, რაც უფრო კარგად ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს. საერთოდ, დასავლეთ საქართველოში უმეტესად გავრცელებული იყო აბრეშუმის ქუთაისური ჯიში[3]. შენახვის ცუდი პირობების, ტემპერატურის ხშირი ცვალებადობის გამო შემოტანილი გრენი

ხშირად ფუჭდებოდა. „სამტრედიის ახლო-მახლო სოფლებში დარიგებული იყო რამოდენიმე ფუთი გრენი ხრისტო დულიდისა, გალფარა და პერიესი, ბერტესი, ვარნიკ არსენიანის, ჩილინგარიანისა და სხვა. ამ ფირმების გრენი უმეტესად უვარგისი გამოდგა.. ამის გამო თითოეულმა მეაბრეშუმემ წააგო 20-25 მანეთამდე შრომისა და ტანჯვის გარდა“ — იუწყებოდა „ცნობის ფურცელი“[4]

კერძო პირებისაგან თესლის შესყიდვა არასაიმედო იყო და, ამავე დროს, ყველას არ შეეძლო მისი ყიდვა. მოსახლეობა გრენს ყიდულობდა ნაღდ ფულზე ან ვალით, ანდა აძლევდა მოწეული ნედლი პარკის 1/3—1/4[5]. ამიტომ არსდებოდა საკრედიტო ბანკები. ერთ—ერთი ასეთი ბანკი 1914 წელს სოფ. იანეთში დააარსეს.

ზემოთ დასახელებულ აბრეშუმის თესლის გამავრცელებელ ფირმებს მოგვიანებით დაემატა პასხალიდის, ლოჟიესა, ი. კაკაბაძისა და ხარჯიანის ფირმები[6]. მოსავლის რაოდენობით და ხარისხით ამ ფირმებს შორის გამოირჩეოდა ლოჟიეს ფირმის თესლი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ღვაწლი სამტრედიის რეგიონში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. დასახელებული სადგური მოსახლეობას ეხმარებოდა კარგი ხარისხის გრენის შეძენაში, ზოგჯერ უფასოდ ამარაგებდა მათ, აწყობდა აბრეშუმის ჭიის საჩვენებელ კვებას, პარკის გასაყიდად მართავდა ბაზრობებს საზოგადო (საკონტროლო) სასწორებით, ატარებდა ლექცია-საუბრებს, საზაფხულო კურსებზე თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვა. ამ ღონისძიებებს კარგი შედეგები მოჰყვა: გაიზარდა თუთის ხეების პლანტაციები და აბრეშუმის მოყვანის მსურველთა რაოდენობა, დაარსდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობები: ქუთაისში — „კოლხიდა“, გურიაში — „შუამავალი“, ხონში — „ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“ და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი, ხოლო XVII საუკუნეში ქუთაისი და მისი შემოგარენი აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრი იყო (2, გვ. 11), ჩვენში მისი მომსახურება და წარმოება დაბალ დონეზე იდგა. ახალგამოსულ აბრეშუმის ჭიებს სხამდნენ ხარის ან ძროხის ახალი ნეხვისაგან გაკეთებულ „კელამინდებზე“, შემდეგ სიმინდის ჩალის ნაძირალასაგან გაკეთებულ „ჩაფრებზე“, ბოლოს კი წნელისაგან დაღობილ ჩელტებზე. ყველა ეს პროცედურა დიდ დროს მოითხოვდა და ჭიები ხშირად მშივრები

რჩებოდა. ამიტომ ოთხი-ხუთი კვირის ნაცვლად ჭიებს ორ თვე ნახევარს, სამ თვეს აჩერებდნენ. აბრეშუმის ჭიის მოვლის, პარკის გაშრობისა და სხვა საჭირო ცოდნის შესაძენად სამტრედიაში პერიოდულად ტარდებოდა ლექციები, ცალკეული პირები იგზავნებოდნენ კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურში სასწავლებად და სხვა. სოფ. კულაშში მეაბრეშუმეობის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის სოფიო მიქელაძეს. მან პირველმა გააცნო ადგილობრივ მეაბრეშუმეებს ევროპული თესლის პარკი და ასწავლა ჭიის მოვლა. მისი შემწეობით ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებელს მუქთად ჰქონდა დათმობილი ვეებერთელა სახლი, თუთის ხეების ბაღი და ყოველნაირი საჭირო მოწყობილობა.

თავდაპირველად აბრეშუმის მოვლა ქალების საქმე იყო, მაგრამ XX ს. დასაწყისიდან, როდესაც აბრეშუმის შემოსავალი თვალსაჩინო შეიქნა, მამაკაცებიც ჩაებნენ ამ საქმეში. სამტრედიის რაიონიდან საექსპერტო საქონელს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აბრეშუმის ნაწარმმა, ძირითადად ნედლმა პარკმა, რომლის უმეტესი ნაწილი საფრანგეთში გაჰქონდათ[7] (საზღვარგარეთ პარკი გაჰქონდათ როგორც ადგილობრივ ჩარჩებს, ისე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ სომხებსა და თათრებს, რომლებიც ადგილობრივ ვაჭრებს დიდ კონკურენციას უწევდნენ, ამიტომ, პარკის ფასი რომ არ აწეულიყო, სამტრედიელი ვაჭრები ფარულად იკრიბებოდნენ და ერთმანეთს უთანხმდებოდნენ შესასყიდ ფასზე (7 იქვე).

ცალკეული ვაჭრების გარდა აბრეშუმის მზა პროდუქციას ყიდულობდნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები: ქუთაისის მეაბრეშუმეთა პირველი საზოგადოება, საზოგადოება „კოლხიდა", გურიისა და ძველი სენაკის საზოგადოებები — „შუამავალი" და სხვ. გაზ. „კოლხიდა" წერდა: „დიდი ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ მარსელს „ლიონის საზოგადოებაში" გასაყიდად გაგზავნა 125 ფუთი გამხმარი პარკი. მათი წარმომადგენელი ბ-ნი ზიბერმანი იწერება, რომ თუმცა ახლა პარკს კარგი ფასი აქვს, მაგრამ თქვენი, რადგან კარგი გამოდგა, ზომიერ ფასად გაიყიდება"[8].

საზოგადოებების შექმნა მოსახლეობისათვის ხელსაყრელი იყო იმიტომაც, რომ ისინი რამდენადმე ზღუდავდნენ კერძო ვაჭრების თვითნებობას. მაგალითად, 1905 წელს, რევოლუციის დასაწყისში, როცა გახშირდა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის ფაქტები, კერძო შემსყიდველებმა იმის შიშით, რომ შესწყიდული

ნედლი პარკის გატანა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მნიშვნელოვნად დასცეს შესასყიდი ფასები. მაშინ აღინშნულმა საზოგადოებებმა და კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურმა იხსნეს პარკის მწარმოებლები გაკოტრებისაგან, ამას გარდა, 1905 წელს, როცა რევოლუციის დროს სომეხ-თათართა ჟლეტის გამო, დასავლეთ საქართველოში ჩამოსულმა ბევრმა სომეხმა და მუსლიმმა ვაჭარმა ვერ გაბედა პარკის გატანა და შესყიდულ პარკს ან ადგილზე ჰყიდდნენ, ან ადგილობრივ ძაფსასვევ ფაბრიკებში ამუშავებდნენ, საზოგადოება „კოლხიდამ" და სხვა ამხანაგობებმა 20000 ფუთი მშრალი პარკი გაიტანეს საზღვარგარეთ[9]. 1906 წელს ვაჭრებმა განიზრახეს მშრალი პარკის შესყიდვა საზღვარგარეთ არსებულ ფასებთან შედარებით იაფად იმ მოტივით, რომ თითქოსდა ადგილობრივი პარკი დაბალი ხარისხის იყო; მაშინ კავკასიის მეაბრეშუმეობის საცდელ სადგურში ჩატარებულმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადასტურა მილანსა და მარსელში ანალოგიური გამოკვლევების შედეგები, რომლებიც მეტყველებენ ჩვენში დამზადებული პარკის მაღალ ხარისხზე. ამის შემდეგ ვაჭრები იძულებული გახდნენ მნიშვნელოვნად გაეზარდათ (51-54 მანეთამდე ფუთში, როცა ადრე 42-45 მანეთს იძლეოდნენ) მშრალი პარკის შესასყიდი ფასები[10]. ამის გარდა, ზოგიერთმა მეაბრეშუმემ, როცა დარწმუნდა, რომ მისი საქონლის ხარისხი არ ჩამოუვარდებოდა უცხოურს, თვითონ დაიწყო პარკის გატანა მილანსა და მარსელში[11].

ამხანაგობების დახმარების მიუხედავად, კერძო ვაჭრების წყალობით, გლეხები ზოგჯერ არა თუ დახარჯულ შრომას ვერ ინაზღაურებდნენ, არამედ ზარალობდნენ კიდეც. ვაჭრებს ხშირად პარკი ნისიად მიჰქონდათ, ფულს დროზე არ აძლევდნენ, ატყუებდნენ ფასებსა და წონაშიც. ამიტომ გლეხი, ხშირად სასამართლოს საშუალებით იღებდა კუთვნილ თანხას.

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში აბრეშუმის პარკის ფასი მერყეობდა. გურიაში უცხო ვაჭრები იშვიათად ჩადიოდნენ. ამიტომ აქ ფუთი პარკი გაცილებით იაფი ღირდა. ამით სარგებლობდნენ შემსყიდველები. ისინი ნედლი პარკის დიდ რაოდენობას ყიდულობდნენ, ჩაქონდათ სამტრედიასა და ქუთაისში, სადაც ფუთში 5-6 მანეთს იგებდნენ.

იმისათვის, რომ დახლოებით ერთნაირი ფასები ყოფილიყო ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეობის რაიონებში, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ინსტრუქტორი ყოველდღე აგზავნიდა ცნობებს შიდა და საზღვარგარეთის ბაზრებზე არსებული ფასების შესახებ[12].

ამგვარად, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, სამტრედიის რეგიონში მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს, რომელზეც ბევრად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

ლიტერატურა:

1. Обзор Кутаисской губернии за 1904 год, с. 23.
2. П.В. Гугушвили. Шелководство в Грузии и Закавказье в XIX-XX вв. Тб., с. 60.
3. შ. ღვინეფაძე, მეაბრეშუმეობა, თბ., 1953, გვ. 55.
4. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899, №207.
5. Обзор Кутаисской губернии за 1896 год, с. 22.
6. Обзор Кутаисской губернии за 1912 год, с. 16.
7. გაზ. „სახალხო გაზეთი", 1911, №337.
8. გაზ. „კოლხიდა, 1912, №26.
9. Обзор Кутаисской губернии за 1905 год, с. 18.
10. Обзор Кутаисской губернии за 1906 год, с. 31.
11. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904, №2549.
12. Обзор Кутаисской губернии за 1907 год, с. 36.

Важа Твалавадзе

ШЕЛКОВОДСТВО В САМТРЕДСКОМ РЕГИОНЕ (КОНЕЦ XIX – НАЧАЛО XX вв.)

Резюме

В конце XIX – начале XX вв. в Самтредском регионе шелководство становится ведущей отраслью хозяйства. Сырой кокон местного производства пользовался большим спросом не только на внутреннем, но и на внешних рынках – их вывозили в Марсель, Лион, Париж, Гамбург, Лондон и др. города. Высокое качество местной продукции шелка было обусловлено природно-климатическими условиями, а также той большой организационно- просветительской работой, которую проводила тбилисская станция шелководства.

სარჩევი

მერაბ კალანდაძე
პროფესორი უშანგი სიდამონიძე 3
გივი გამრეკელი
ამიანე მარცელინე და იულიანე განდგომილი 9
ნინო ნამორაძე
ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი თბილისში 21
ელენე მეძმარიაშვილი
ისრაელისა და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 24
ნიკა ხიდურელი
ჯონ მაინორდ კეინზის იდეები და მათი მნიშვნელობა 35
რუსუდან დაუშვილი
სტამბულის პოლიტიკური კომისია 41
ეკა ანთია
მიხაკო წერეთელი და გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში 50
ლალი ფირცხალავა
გაზეთი „ივერია“ ევროპის სახელმწიფოებში არსებული განათლების სისტემის შესახებ 58
თამარ ჭოჭუა
ადამიანის სხეულისა და მის ნაწილთა აღმნიშვნელი სპარსული და ქართული სახელწოდებების პოლისემურობა 64
სერგო არაბული
საქართველო – აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ასპექტების მოკლე მიმოხილვა 75
მიხეილ მიქელაძე
საფრანგეთი პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მოღვაწეობის წლებში 91
მალხაზ თორია
ტრადიციული ფასეულობები ან დემოკრატია: რეალური თუ ყალბი ალტერნატივა? 98
ნინო ნამორაძე
ამერიკული ჟურნალი „ნაპოლეონი“ 107
ელენე მეძმარიაშვილი
ჩინეთის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში (საბჭოთა პერიოდი) 110

ლალი ფირცხალავა
ისტორია და საიუველირო ნაწარმი 118
ლალი ფირცხალავა
ისტორია და მსოფლიო ისტორიის ახალ სასკოლო
სახელმძღვანელოთა მიზნები 122
მერაბ კალანდაძე
რამაზ ცუხიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა 126
ვასო კაჭარავა
კალვინ კულიჯის გზა პრეზიდენტობისაკენ 130
ვასო კაჭარავა
ჰერბერტ ჰუვერის დანიშვნა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის
თანამდებობაზე 136
ვაჟა თვალავაძე
მეფრინველეობა სამტრედიის რეგიონში
(XIXს. ბოლო – XXს. დასაწყისი) 142
რუსუდან დაუშვილი
ქართული საკავშირო შტაბი და კავკასიური საბჭო 147
ვაჟა თვალავაძე
მეაბრეშუმეობა სამტრედიის რეგიონში
(XIX ს. ბოლო–XXს.დასაწყისი) 160

გამომცემლობის რედაქტორი ც. ხეთერელი
კორექტორი მ. ვარამაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.07.02
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 10,5
სააღრ. საგამომც. თაბახი 8,41

შეკვეთა №35 ტირაჟი 130

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №14.